საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა
www.geworld.ge
№39 (557)
28 ოქტომბერი - 3 ნოემბერი, 2020

# საქართველო და მსოფლიო

ფასი 1 ლარი
geworld@inbox.ru

## როგორ და რატომ დაგვემატა ერთ თვეში 2 მლრდ ლარის ვალი

6

# ...და კვლავ არჩევნები არჩევანის გარეშე

## საქართველოში პოლიტიკური ცხოვრება ჩაკეტილ ლიბერალურ წრეზე ტრიალებს




სასწრაფოდ უნდა ჩამოყალიბდეს ლიბერალური პოლიტიკური ძალის საპირწონე ჭეშმარიტი, ეროვნული სახელმწიფოებრივი სულისკვეთების პოლიტიკური ძალა, რომელზეც მოთხოვნა საზოგადოების უდიდეს ნაწილში არსებობს 3



ვიქტორ ცაავა:

**გონიერმა ამომრჩეველმა იცის, რომ რუსეთთან ურთიერთობის მოუგვარებლად არც წლების წინათ დაწყებული ომი დასრულდება, არც ეკონომიკა ამუშავდება და არც უმუშევრობას მოეღება ბოლო**

5



ლევან ჩაჩუა:

**ჩვენ ამ არჩევნებით არ ვამთავრებთ, ჩვენ ამ არჩევნებით ვიწყებთ**

4



დავით სონღულაშვილი:

**ვიყავი და ვარ ქვეყნის ერთი რიგითი ჯარისკაცი, რომლის სურვილიც ქვეყნის წარმატება და წინსვლაა**

7

# სოდომი და გომორა ვატიკანში

10-11-14

## წმინდა პეტრეს ტაძარზე უწმინდური ლგბტ-თა დროშა ფრიალებს





რომის პაპი ხელზე კოცნის დევიდ როკფელერს. იქვე დგანან ჰენრი კისინჯერი და ჯონ როტშილდი

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## ჩაკურსი

**გვეუბნებიან, რომ ყველაფერი რიგზეა, მაგრამ უფლებას ვიტოვებთ, არ დავიჯეროთ. ანდა როგორ უნდა დავიჯეროთ, როცა აგერ, ორიოდე თვის წინათ ნათქვამი ყოფილა ტყუილი — თურმე კორონავირუსის არანაირი ტალღა არ გვქონია და მხოლოდ რამდენიმე ინფიცირებულ ადამიანს გაუმკლავდა სახელმწიფოს ჯანდაცვის სისტემა; თურმე გადავრიეთ ევროპა და... ამ ლოგიკით, სოლომონის კუნძულებსაც გადაურევიათ მსოფლიო — ამ ხნის განმავლობაში სულ 4 ინფიცირებული და 4-ვე გამოჯანმრთელებული ჰყავთ.**

# 30 წელია, სადღაც მივდივართ და ამ გზას ბოლო არ უჩანს

**კორონავირუსით ინფიცირების პირველი შემთხვევების შემდეგ კინაღამ პანიკამ მოიცვა ქვეყანა, მაგრამ მალე დაგვამშვიდეს, — ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის რეკომენდაციებს ზედმიწევნით ვასრულებთ და შედეგიც გვაქვს, ევროპას ვჯობივართო. ეგ კი არა, ლამის უქმე დღედ გამოვაცხადეთ პირველი ტალღის მშვიდობიანად გადაგორება. ისიც აქტიურად ვიძახეთ: ჩვენი ექიმების ცოდნით გაოგნდა ევროპა და ამერიკაო... ჰოდა, შემოგვიტია ვირუსმა და თანაც როგორ შემოგვიტია, დღეში ათასი ინფიცირებული სანატრელი გვაქვს. სწორედ ამ შემოტევამ გვაჩვენა მნიშვნელოვანი რაღაცები, ისეთები, რომლებსაც მანამდე ყურადღებას არ ვაქცევდით.**

პირველ რიგში, ის, რომ **ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის რეკომენდაციებმა არ გაამართლა. ეს ადვილი მისახვედრიც იყო, რადგან ამ რეკომენდაციებმა არც ერთ ქვეყანაში არ გაამართლა და რაღა ჩვენთან გაამართლებდა?!** თუმცა, საქმე ის არის, რომ საქართველოს ვალდებულება აქვს, საერთაშორისო ორგანიზაციებს დაუჯეროს იმის მიუხედავად, ეს რეკომენდაციები კარგია თუ ცუდი. არის რეკომენდაცია? — უნდა შესრულდეს და უნდა შესრულდეს თუნდაც ჩვენი სიცოცხლის ფასად. სწორედ ამ ფასს ვიხდით ახლა ყოველდღიურად ათასობით დაავადებულით. **მეორე საკითხი, რომელმაც გაოგნება გამოიწვია, არის ის, რომ თურმე... საქართველოში კორონავირუსის პირველი ტალღა არ ყოფილა და ახლა გვაქვს, ანუ მაშინ, როცა მთელი მსოფლიო პირველ ტალღას ებრძოდა, ჩვენ არ გვქონია, „გვატყუებდნენ, მაკარ", და ახლა, როცა დანარჩენი მსოფლიო მეორე ტალღას ებრძვის, პირველმა ჩვენ დაგვარტყა.** დაგვარტყა და გაფიქრებაც კი გვზარავს იმისა, რა მოხდება მეორე ტალღის პირობებში. მზად არ აღმოვჩნდით, პრაქტიკულად, არაფრისთვის. არადა, მოსამზადებლად ნახევარ წელზე მეტი გვქონდა და თანაც, საამისოდ რამდენიმე მილიარდი ვისესხეთ, გახარია სპეციალურად იყო წასული ევროპაში. ჩვენი ნაქები ლუგარის ლაბორატორია ანალიზების პასუხს ვეღარ აუდის, სხვა კლინიკებშიც გახსნეს ლაბორატორიები და საკმარისი ესეც არ არის. ახლა გეტყვით, რა ხდება, როცა ვირუსით ინფიცირდებით.

პირველ რიგში, **რეკავთ 112-ზე, საიდანაც გიპასუხებენ, რომ დაგიკავშირდებათ ოჯახის ექიმი. გიკავშირდება ექიმი და გუბნება, რომ მინიმუმ 4, მაქსიმუმ 7 დღე უნდა იყოთ თვითიზოლაციაში, დააკვირდეთ სიმპტომებს და თუ მდგომარეობა არ გაუმჯობესდება, აიღებენ ტესტს. ჰო, ტესტს, სულ ცოტა, 4 დღის შემდეგ იღებენ და ეს იმიტომ, რომ ლაბორატორიები ტესტების შემოწმებას ფიზიკურად ვერ ასწრებენ.** საუბარი არ არის კონტაქტების შემოწმებაზე, რადგან შემთხვევები გეომეტრიული პროგრესიით იზრდება და, უბრალოდ, აზრი არ აქვს. ჰო, ექიმი არაფერს არ გეუბნებათ, რა უნდა გააკეთოთ, თუ ერთოთახიან ბინაში ცხოვრობთ და თვითიზოლაციის საშუალება, უბრალოდ, არ გაქვთ, რადგან ასეთ შემთხვევაში, ცოლ-შვილი გარეთ უნდა გაუშვათ. ჰო, ერთოთახიანში ვინც ცხოვრობს, ავადობის უფლება არ აქვს. მართალია, ეს ჯერ კანონში არ წერია, მაგრამ ჩაწერენ, რადგან ასეთ შემთხვევაში გამოსავალი, პრაქტიკულად, არ არსებობს. დასრულებულია საწოლების რეზერვზე საუბარიც. აქამდე ხომ ამბობდნენ: რაც არ უნდა მოხდეს, მზად ვართო? ახლა გამოდის, ჩვენი საწოლების იმედად ყოფილან — შინ ლოგინები რომ გიდგათ, მათ იმედად არის სახელმწიფო და ნუ გაიკვირვებთ, ხელისუფლების წარმომადგენლები, საზოგადოდ, სულ ჩვენ იმედად არიან, ჩვენი იმედით იმატებენ ხელფასებს და იწერენ პრემიებს.

სავარაუდოდ, საერთაშორისო ორგანიზაციების რეკომენდაციაა ის, რომ რესტორნები 22 საათის შემდეგ არ უნდა მუშაობდეს. რა გამოდის? **კორონას სამუშაო საათები აქვს, 22 საათამდე აქტიური არ არის და მშვიდად შეგიძლიათ რესტორანში გაერთოთ. 22 საათის შემდეგ კი აქტიურდება და რესტორნებში სულ კუპე-კუპე დადის?** არაერთხელ გავხვეულვართ შარში და ჩვენი საქციელი იდიოტიზმს დამსგავსებია, როცა ბრმად ვიზიარებდით საერთაშორისო ორგანიზაციების რეკომენდაციებს. რეალურად, **რეკომენდაციები უნდა მოვისმინოთ და ჩვენს რეალობას მოვარგოთ, სხვანაირად არაფერი არ გამოვა.** უბედურებაც ის არის, რომ საერთაშორისო ორგანიზაციების რეკომენდაციებს ვერ გადავუხვევთ, მერე თითს დაგვიქნევენ, ყურს აგვიწევენ და შეიძლება ისე მწარედ, რომ აგვეხეს კიდეც. რა მივიღეთ საერთაშორისო ორგანიზაციებისგან თუ სტრატეგიული პარტნიორებისგან? პრაქტიკულად, არაფერი, მარტო რამდენიმემილიარდიანი ვალი აგვკიდეს (საიდანც ხალხს მიზერი გადაუგდეს და მთელი ფული საკუთარ ბიზნესებზე გადაინაწილეს) და **ლუგარის ლაბორატორიაც, რომლითაც ლამის ყურები გამოვუჭედეთ მსოფლიოს, ვერ აღმოჩნდა ისეთი ეფექტიანი, როგორადაც წარმოაჩენდნენ.** კრიტიკულ მომენტებში იზომება ამა თუ იმ საწარმოს ეფექტიანობა, თორემ მშვიდობიანობის პერიოდში ყველა მაგარია. შესაბამისად, ჩნდება ლოგიკური ეჭვი: თუ ლუგარის ლაბორატორია კრიტიკულ პერიოდში ვერ ახერხებს მოსახლეობის უზრუნველყოფას ტესტირებით, რა მიზნით შეიქმნა ის? შეთქმულების თეორიების არ გვჯერა, მაგრამ ვინმე ხომ უნდა გამოვიდეს და ერთხელ და სამუდამოდ დამაჯერებელი პასუხი გაგვცეს ამ კითხვაზე?! მაგრამ დამაჯერებელი და ამომწურავი პასუხები, დიდი ხანია, აღარ გვაქვს არაფერზე, არც საშინაო და არც საგარეო საკითხებზე. საგარეო კურსი ავიღოთ: **30 წელია, სადღაც მივდივართ და ამ გზას ბოლო არ უჩანს.** გვეუბნებიან, რომ ყველაფერი რიგზეა, მაგრამ უფლებას ვიტოვებთ, არ დავიჯეროთ. როგორ უნდა დავიჯეროთ, როცა აგერ, ორიოდე თვის წინათ ნათქვამი ყოფილა ტყუილი — თურმე კორონავირუსის არანაირი ტალღა არ გვქონია და მხოლოდ რამდენიმე ინფიცირებულ ადამიანს გაუმკლავდა სახელმწიფოს ჯანდაცვის სისტემა, თურმე გადავრიეთ ევროპა და... ამ ლოგიკით, სოლომონის კუნძულებსაც მსოფლიო გადაურევიათ — ამ ხნის განმავლობაში სულ 4 ინფიცირებული და 4-ვე გამოჯანმრთელებული ჰყავთ.

კიდევ გავიმეორებთ, რომ ეს ყველაფერი ჩვენი სიცოცხლის ხარჯზე ხდება. არც იმას გამოვრიცხავთ, მაშინ, როცა მთელი სამყარო პირველ ტალღას ებრძოდა, ჩვენზე ექსპერიმენტებს ატარებდნენ, წამლებსაც ცდიდნენ, ეძებდნენ ვაქცინას და ამ ძებნა-ძებნაში დაგვემართა ის, რასაც უბრალოდ ვეღარ აკონტროლებენ. სისულელეა იმაზე საუბარი, რომ არჩევნების შემდეგ ქალაქებს დაკეტავენ, რეგულაციები გამკაცრდება... რა უნდა ვუყოთ თითოეულ მუნიციპალიტეტში ასეულობით ინფიცირებულს? 10-15 კაცის გამო სოფლებს კეტავდნენ და ახლა იმავე სოფლებში 100-150 ადამიანია დავირუსებული. **არც ის გამოვრიცხოთ, რომ ექსპერიმენტები ჩვენზე ისევ გაგრძელდეს და, თუ ვინმეს ჰგონია, რომ ხელისუფლება ან ოპოზიცია დასავლეთს ამ მიმართულებით უარს გაუბედავს, ძალიან ცდება.** ნაციონალების მმართველობის პერიოდში წამლებს პატიმრებზე ცდიდნენ, ახლა კი, პანდემიის სახელით, მგონი, მთელ ერზე დაიწყეს ექსპერიმენტის ჩატარება. ეს იმ პირობებში, როცა ლამის მსოფლიოს ყველა კუთხიდან მოდის ცნობები, რომ ვაქცინა გამოცდის ბოლო ეტაპზეა, მაგრამ ვინ ცდის და სად ცდის, ეგ არ ვიცით. მარტო რუსეთს აქვს აპრობირებული ვაქცინა (მალე კიდევ ორის წარმოებას იწყებენ), რომელიც უკვე ფართო მოხმარებაში ჩაუშვეს და არც სხვა ქვეყნებს ეუბნებიან უარს მიწოდებაზე, — მაგ. ბრაზილიას რამდენიმე მილიონი დოზა მიაწოდეს და კიდევ რამდენიმე მილიონს დაპირდნენ,- მაგრამ ჩვენი მთავრობა რუსეთზე როგორ დაძრავს კრინტს, ხომ შემოსწყრნენ „სტრატეგული პარტნიორები"!

აღარც კი ვიცით, რა გირჩიოთ. ხელისუფლებას ენდეთ-მეთქი, როგორ გითხრათ, პრევენცია კი არა, პირველი ტალღა რომ არ იყო და აქა-იქ დასდევდნენ პაციენტებს, გვაოცებდნენ ჩვენ და გაოცებას ვერ მალავდა დასავლეთიც. ამ ყველაფრის პარალელურად იყო სიხარული, **რომ მეზობელ რუსეთში ვირუსი უკონტროლოდ ვრცელდებოდა. ეს რომ გვიხაროდა, დასავლეთი ტაშს გვიკრავდა და ასეთ აბსურდში მოვედით დღემდე.** დღეს დასავლეთი კორონავირუსის მეორე ტალღას ებრძვის, რუსეთიც ებრძვის, მაგრამ იმ განსხვავებით, რომ რუსეთში შექმნილ ვაქცინას რუსეთი მოქალაქეებზე იყენებს და, როგორც ამბობენ, არცთუ წარუმატებლად, ჩვენ კი... ჩვენ უნდა გავიაროთ ჯოჯოხეთი, რომელიც, როგორც აღმოჩნდა, ჩვენ გარდა ყველამ გაიარა. ჯოჯოხეთის გავლაშიც კი ჩამოვრჩით და, ამის მერე მეორე ტალღა რომ გველოდება, ეგეც ხომ ფაქტია. არა, კი გვიმტკიცებენ, პირველი ტალღა გამოვტოვეთ, პირდაპირ მეორეზე გადავედითო, მაგრამ ვინ რას გამოგვატოვებინებს დღევანდელ რეალობაში?!

ექსპერიმენტებისა და სხვის ხელში ცქერის დრო ნამდვილად აღარ გვაქვს. უკვე მერამდენედ, ჩვენ უნდა ვუშველოთ საკუთარ თავს, ჩვენ უნდა გავფრთხილდეთ, ჩვენ უნდა მოვერიდოთ და... როგორც წესი, ხალხის მონაპოვარს სახელმწიფო იბრალებს და ესეც დაიბრალოს, არა უშავს, მთავარია, გადავრჩეთ! ახლა სწორედ გადარჩენის პრობლემა გვიდგას.

**ბესო ბარბაქაძე**



**ლუგარის ლაბორატორიაც, რომლითაც ლამის ყურები გამოვუჭედეთ მსოფლიოს, ვერ აღმოჩნდა ისეთი ეფექტიანი, როგორადაც წარმოაჩენდნენ. კრიტიკულ მომენტებში იზომება ამა თუ იმ საწარმოს ეფექტიანობა, თორემ მშვიდობიანობის პერიოდში ყველა მაგარია. შესაბამისად, ჩნდება ლოგიკური ეჭვი: თუ ლუგარის ლაბორატორია კრიტიკულ პერიოდში ვერ ახერხებს მოსახლეობის უზრუნველყოფას მარტივი ტესტირებით, რა მიზნით შეიქმნა ის?!**



ლუგარის ლაბორატორია

**გახსოვთ, რომელიმე არჩევნების შედეგები არ დამთხვეოდეს ჩვენი უცხოელი „პარტნიორების“, „მეგობრებისა“ და „სხვა კეთილის მსურველების“ მიერ არჩევნების წინ ჩატარებული „კვალიფიციური კვლევების“ შედეგებს? განსხვავება ყოველთვის 1%-დან 3%-მდეა. მაშ, რისთვის ვატარებთ არჩევნებს და ვხარჯავთ ჩვენთვის ესოდენ დეფიციტურ ფულად სახსრებს, თუკი მათ მიერ ჩატარებული „კვლევა“ 99%-ით ემთხვევა ჩვენ მიერ ჩატარებული „არჩევნების შედეგებს“?**

არჩევნები 2020
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ...და კვლავ არჩევნები არჩევანის გარეშე

**წერილის სათაურის წინ დასმულ წერტილებში იგულისხმება „თავისუფლებისა და დემოკრატიის“ გზაზე დადგომის დღიდან ქვეყნის მიერ განვლილი გზა და ყველა ჩვენგანის მოქმედებითა თუ უმოქმედობით გაწეული ღვაწლი ასეთი მოცემულობის მისაღებად.**

ხელისუფლების „ღვაწლზე“ ყურადღებას არ გავამახვილებ, ისე, ალბათ, დაფიქრებაა საჭირო, რადგან, უკვე 30 წელია (მთელი ეპოქა ადამიანის ცხოვრებაში), რაც ვაკრიტიკებთ და ვლანძღავთ ყველა ხელისუფლებას, დიდი იმედითა და ენთუზიაზმით ვირჩევთ ახალს, ქვეყანა და ერი კი ყველა პარამეტრითა თუ განზომილებით რეგრესს განიცდის.

მათ, ვინც სათაურად გამოტანილ დასკვნას არ ეთანხმება, შევეკითხები: **გახსოვთ, რომელიმე არჩევნების შედეგები არ დამთხვეოდეს ჩვენი უცხოელი „პარტნიორების“, „მეგობრებისა“ და „სხვა კეთილისმსურველების“ მიერ არჩევნების წინ ჩატარებული „კვალიფიციური კვლევების“ შედეგებს?** განსხვავება ყოველთვის 1%-დან 3%-მდეა.

მაშ, რისთვის ვატარებთ არჩევნებს და ვხარჯავთ ჩვენთვის ესოდენ დეფიციტურ ფულად სახსრებს, თუკი მათ მიერ ჩატარებული „კვლევა“ 99%-ით ემთხვევა ჩვენ მიერ ჩატარებული „არჩევნების შედეგებს“? მას მხოლოდ ერთი დანიშნულება შეიძლება ჰქონდეს — **ზემოაღნიშნული „პარტნიორების“ მიერ გაწერილი მოცემულობების ლეგიტიმაცია.**

თითქოს დაუჯერებელია, მაგრამ ფაქტია, რომ ქვეყნის მასშტაბით რეგისტრირებული პოლიტიკური სუბიექტების რაოდენობა სამ ასეულს აღწევს, პოლიტიკური ცხოვრება კი ჩამკვდარია. **პარტიებს შორის გამართული კინკლაობა სკამების მოსაპოვებლად ჩვენთვის დადგმული სპექტაკლია და მას პოლიტიკურ პაექრობასთან საერთო არაფერი აქვს. სხვაგვარად არც შეიძლება იყოს, რადგან ისინი ერთი პროდასავლური ლიბერალური ძალის წარმომადგენლები არიან.**

ხშირად გვესმის შეფასება, რომ ქვეყანა წრეზე ტრიალებს და როგორმე გამოსავალი უნდა მოვნახოთ ამ ჩაკეტილი წრიდან გამოსასვლელად, რათა ქვეყანა აღმავლობის გზით წავიდეს. ვერ დავეთანხმები, რადგან, ჩემი აზრით, **საქართველოში პოლიტიკური ცხოვრება ტრიალებს ჩაკეტილ ლიბერალურ წრეზე, ხოლო ქვეყანა და ერი დაღმავალი სპირალით უფსკრულისკენ მიექანება.**

გამოსავალი ერთია — **სასწრაფოდ უნდა ჩამოყალიბდეს ლიბერალური პოლიტიკური ძალის საპირწონე ჭეშმარიტი, ეროვნული სახელმწიფოებრივი სულისკვეთების პოლიტიკური ძალა, რომელზეც მოთხოვნა საზოგადოების უდიდეს ნაწილში არსებობს, მაგრამ მისი ჩამოყალიბების გზაზე ყველაზე დიდ დაბრკოლებას ძალიან ლიბერალური ძალის წიაღში აღმოცენებული და მოღვაწე ფსევდოეროვნული და ფსევდოკონსერვატიული პარტიები. ისინი საზოგადოებაში ნიჰილიზმსა და დაბნეულობას თესავენ.**

ბევრს ახსოვს, 1980-იანი წლების მიწურულს ერთი „მამალი პატრიოტი“ სამტრედიაში რკინიგზის მაგისტრალურ ხაზზე რომ ჩამოჯდა და რუსეთის ეკონომიკის ჩამოშლის მოტივით მოძრაობა გააჩერა. ის ყმაწვილი, უკვე 30 წელია, თითქმის ყველა მოწვევის პარლამენტში ზის კონსერვატორის მანდატით. მისი და მისი მსგავსი ეროვნული მოღვაწეების „დაუღალავი შრომის“ შედეგად რუსეთის ეკონომიკა ვერ ჩამოიშალა, სამაგიეროდ, მიწასთანაა გასწორებული ქართული ეკონომიკაც, განათლებაც, ზნეობაც, ტრადიციებიც... მოკლედ, ყველაფერი ქართული თითქმის წაშალეს.

**მე არ მსმენია ეროვნულისა და ტრადიციულის დასაცავად მათ მიერ პარლამენტის ტრიბუნიდან გაკეთებული განცხადება, სამაგიეროდ, ბოლო 30 წლის განმავლობაში მათ მიერ შექმნილი საკანონმდებლო ბაზის „წყალობით“ კავკასიის ბორდელის ტიტული მოგვაკერეს. ოდესღაც პლანეტაზე თავისი ქართველობით ამაყად მოარულ ქართველს დღეს სირცხვილით სამეზობლოშიც კი არ გამოეყოფა თავი. ამ ფონზე დეპუტატობის ზოგიერთი კანდიდატი გვპირდება,**



**კითხვაზე — ვისი ან რისი ბრალია შექმნილი სიტუაცია, პასუხი ყველას აქვს, მაგრამ არაერთგვაროვანი. ზოგი მიშას აბრალებს, ზოგი — ბიძინას, ზოგი — პუტინს, ტრამპს და ა. შ. ცდებით, ბატონებო, დამნაშავის ძებნა ყველამ საკუთარი თავიდან დავიწყოთ, ჩემი ჩათვლით. ვკითხოთ საკუთარ თავს: რა გავაკეთეთ ან არ გავაკეთეთ ისეთი, რომ ასე უპატივცემულოდ გვექცევიან?**

**რომ მისი არჩევის შემთხვევაში გაძლიერდება პარლამენტის კონსერვატიული ფლანგი.**

შეუძლებელია, თბილისის ქუჩებში გავლისას რიგითმა ამომრჩეველმა თავი შეურაცხყოფილად არ იგრძნოს — ბილბორდებიდან და პლაკატებიდან ქვეყნის აშენებას გვპირდებიან მომღიმარი, თვითკმაყოფილი სახეები. მათი უმეტესობა ისეთია, ჩვენდამი ოდნავი პატივისცემის შემთხვევაში თავიანთ კანდიდატურებს არც წამოაყენებდნენ. ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ დაგვცინიან და ადამიანებად აღარ გვთვლიან. პერსონალიებზე საუბარი არ მიყვარს, მაგრამ ასეთი ბრალდების შემდეგ ვალდებული ვარ, ორი მაგალითი მაინც დავასახელო: **56-ე ნომრითა და დევიზით: „ახალი ძალა, ახალი იმედი“ ორ თითს გვიჩვენებს და მხარდაჭერისკენ გვიხმობს ბანკირი მამუკა ხაზარაძე. ეს ყველაფერი იმ ფონზე, როდესაც 30 წლის განმავლობაში საქართველოს საბანკო სისტემისგან მოსახლეობას სამი თითის კომბინაციის მეტი არაფერი უნახავს. 41-ე ნომრითა და მოწოდებით: „ერთად საქართველოს წარმატებისთვის“ კვლავ მხარდასაჭერად გვიხმობს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ლევან კობიაშვილი. გსმენიათ ან გინახავთ ვინმეს, რომ საქართველოს ფეხბურთის ისტორიაში ჩვენი ფეხბურთი ასე წაშლილი და დეგრადირებული ყოფილიყოს ყველა დონეზე?** მათ ბევრი სხვა კანდიდატიც არ ჩამორჩება, მაგრამ ეს ორი იმიტომ გამოვარჩიე, რომ მათი საქმიანობა ამომრჩეველთა ფართო მასისთვის არის ცნობილი და ყველას შეუძლია ჩემი დასკვნის ობიექტური შეფასება.

**კითხვაზე — ვისი ან რისი ბრალია შექმნილი სიტუაცია, პასუხი ყველას აქვს, მაგრამ არაერთგვაროვანი. ზოგი მიშას აბრალებს, ზოგი — ბიძინას, ზოგი — პუტინს, ტრამპს და ა. შ. ცდებით, ბატონებო, დამნაშავის ძებნა ყველამ საკუთარი თავიდან დავიწყოთ, ჩემი ჩათვლით. ვკითხოთ საკუთარ თავს: რა გავაკეთეთ ან არ გავაკეთეთ ისეთი, რომ ასე უპატივცემულოდ გვექცევიან?**

მერწმუნეთ, საკუთარ თავს ბევრ შეცდომასა თუ დანაშაულს ვუპოვით. უნდა ვაღიაროთ, რომ ისინი შედეგია ჩვენში საკუთარი „მე“-ს აღზევებისა და „ჩვენი“-ს დავიწყების. **სანამ „მე“-ს აყოლილები კაპიკებზე გავიყიდებით, ღირსეულად მოპყრობას არც ვიმსახურებთ და ნურც ველოდებით. თუ არ შევცვლით ჩვენს დამოკიდებულებას სამშობლოსა და ერის მიმართ, არ ვიგრძნობთ პასუხისმგებლობასა და მოვალეობას ჩვენი წინაპრებისა და მომავლის წინაშე, მუდმივად გვეყოლება დილეტანტებითა და მილიონერებით დაკომპლექტებული პარლამენტი, რომლის „მოღვაწეობა“ შემოიფარგლება უცხოელი პარტნიორებისა და პატრონების მიერ გაწერილი რეკომენდაციების დაკანონებითა და პარლამენტართა ქონების დაცვა-გამრავლებით.**

ვინც ჩემს აზრს არ ეთანხმება, ვთხოვ, მათ მიერ მიღებული ერთი კანონი მაინც დამისახელოს, რომელიც ერთმნიშვნელოვნად ქვეყნისა და ერის კეთილდღეობაზე არის ორიენტირებული.

არჩევნების თემა ქვეყნისთვის უაღრესად მნიშვნელოვანია. ვფიქრობ, უახლოეს მომავალში საზოგადოებამ პრინციპულად უნდა დასვას საკითხი რეფერენდუმის გზით თვისობრივად ახალი საარჩევნო კანონის მიღების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში მომავალშიც კვლავ გვექნება ერისა და ქვეყნისთვის სავალალო არჩევნები არჩევანის გარეშე.

**სანამ «მე»-ს აყოლილები კაპიკებზე გავიყიდებით, ღირსეულად მოპყრობას არც ვიმსახურებთ და ნურც ველოდებით. თუ ჩვენ არ შევცვლით დამოკიდებულებას სამშობლოსა და ერის მიმართ, არ ვიგრძნობთ პასუხისმგებლობასა და მოვალეობას ჩვენი წინაპრებისა და მომავლის წინაშე, მუდმივად გვეყოლება დილეტანტებითა და მილიონერებით დაკომპლექტებული პარლამენტი, რომლის «მოღვაწეობა» შემოიფარგლება უცხოელი პარტნიორებისა და პატრონების მიერ გაწერილი რეკომენდაციების დაკანონებითა და პარლამენტართა ქონების დაცვა-გამრავლებით. ვინც ჩემს აზრს არ ეთანხმება, ვთხოვ, მათ მიერ მიღებული ერთი კანონი მაინც დამისახელოს, რომელიც ერთმნიშვნელოვნად ქვეყნისა და ერის კეთილდღეობაზე არის ორიენტირებული**

**დავით სუხიაშვილი**

დეპუტატობის კანდიდატი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„სასამართლო პროცესები მოვუგეთ პრეზერვატივებზე წმინდანების გამომსახველ კომპანიას და შევაჩერეთ მსგავსი ბილწი პროდუქციის გამოშვება. არაერთხელ ჩავშალეთ ე.წ. გეიაღლუმების ჩატარების მცდელობა, შევაჩერეთ 500-კილოვატიანი ელექტროგადამცემი ხაზების გატარება დასახლებულ პუნქტებზე (რაც, სამედიცინო დასკვნებით, იწვევს ლეიკემიას), ოჯახებს დავუბრუნეთ იუვენალური იუსტიციით წართმეული შვილები და ეს მოვახერხეთ ყოველგვარი ფინანსური და სახელისუფლო ბერკეტების გარეშე".

## ლევან ჩაჩუა:

# ჩვენ ამ არჩევნებით არ ვამთავრებთ, ჩვენ ამ არჩევნებით ვიწყებთ

**სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ 23 ოქტომბერს გამოქვეყნებული შუალედური ანგარიშის თანახმად, 1 სექტემბრიდან 12 ოქტომბრის ჩათვლით „ქართულმა ოცნებამ" წინასაარჩევნო კამპანიაში თითქმის იმდენივე თანხა დახარჯა, რამდენიც არჩევნებში მონაწილე დანარჩენმა 61-მა პოლიტიკურმა სუბიექტმა ერთად. დროის აღნიშნულ მონაკვეთში მმართველი გუნდის ხარჯებმა 10 612 565 ლარი შეადგინა, ხოლო დანარჩენი საარჩევნო სუბიექტებისამ — 12 361 348 ლარი. სულ დახარჯულია 22 973 913 ლარი. იმავე ანგარიშის თანახმად, „ქართულმა ოცნებამ", განსხვავებით სხვა პარტიებისგან, შემოწირულობის სახითაც კოლოსალური თანხა მიიღო — 10 139 707 ლარი, ხოლო საბიუჯეტო შემოსავლის სახით — 215 505 ლარი. აქედან 8 213 467 ლარი რეკლამაში, 39 888 ლარი კი შრომის ანაზღაურებაში დაიხარჯა. თუმცა არანაკლებ დიდია ე.წ. პროდასავლური ოპოზიციის ოფიციალური ხარჯებიც, მათ შორის „ნაციონალური მოძრაობის", „ევროპული საქართველოს", „ლელოს", „სტატერგია აღმაშენებლისა" და ა.შ. უფრო კონკრეტულად პოლიტიკური სუბიექტების მიერ წინასაარჩევნო კამპანიაში დახარჯული თანხების პირველი ხუთეული ასეთია: „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო" — 10 612 565 ლარი, „ლელო საქართველოსთვის" — 2 566 897 ლარი, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" — 2 330 757 ლარი, „ევროპული საქართველო" — 2 008 235 ლარი, „გიორგი ვაშაძე-სტრატეგია აღმაშენებელი" — 1 856 467ლარი...**

**რაზე მეტყველებს არჩევნებამდე ერთი კვირით ადრე სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ გამოქვეყნებული ციფრები, სამართლიანია თუ არა დღეს წინასაარჩევნო გარემო და რა არის საჭირო იმისთვის, რომ პოლიტიკურ ძალებს შორის ფინანსური თუ საინფორმაციო მხარდაჭერის კუთხით არსებული ხელოვნური უთანასწორობა მეტ-ნაკლებად აღმოიფხვრას — ამ და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე გვესაუბრება პარტია „ქართული იდეის" ლიდერი და დამფუძნებელი ლევან ჩაჩუა.**

**— ბატონო ლევან, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ გამოქვეყნებული შუალედური ანგარიშის თანახმად, 1 სექტემბრიდან 12 ოქტომბრის ჩათვლით „ქართულმა ოცნებამ" წინასაარჩევნო კამპანიაში 10 მილიონ ლარზე მეტი დახარჯა. ეს თანხა თითქმის იმდენივეა, რამდენიც არჩევნებში მონაწილე დანარჩენი 61 სუბიექტის მიერ ერთად დახარჯული. შემდეგ მოდიან: „ლელო", „ნაციონალური მოძრაობა", „ევროპული საქართველო", „სტრატეგია აღმაშენებელი" და ა.შ. როგორ ფიქრობთ, რაზე მეტყველებს ეს ციფრები, სამართლიანია თუ არა საარჩევნო გარემო და მთლიანად პოლიტიკური სისტემა, რომელშიც, ჩანს, გარკვეული მონოპოლიები არსებობს?**

— დავიწყოთ იმით, რატომ უწევს დღევანდელ პოლიტელიტას ამხელა თანხების ხარჯვა საარჩევნო კამპანიაში. მიზეზი ძალიან მარტივია: ორივე ძალა — „ქართული ოცნებაც" და „ნაცმოძრაობაც" პოლიტიკურადაც და მორალურადაც გაკოტრებული, შეიძლება ითქვას, ყავლგასული არიან. **ეს კოლოსალური ხარჯები მიმართულია იმისკენ, რომ მათ მიერვე გაღატაკებული და დამშეული ხალხი მოისყიდონ; სხვა გზა, უბრალოდ, აღარ დარჩენიათ, თორემ, რეალური მხარდაჭერა რომ ჰქონდეთ, 10 მილიონს კი არა, 10 ლარსაც არ დახარჯავდნენ. წინა არაერთ არჩევნებზე თავიანთი ხალხი „გადააგდეს", ვგულისხმობ პარტიულ აქტივს, მათ შორის კოორდინატორებსაც, რომელთა დიდი ნაწილი ამუშავეს და ხელფასიც აღარ გადაუხადეს.**

რაც შეეხება დემოკრატიის ხარისხსა და წინასაარჩევნო გარემოს, აუდიტის სამსახურის მიერ გამოქვეყნებული ციფრები მეტყველებს, რომ აქ არავითარი დემოკრატია არ არსებობს. ეს ფიცრები, ფაქტობრივად, ცხადყოფს, რა უსამართლო გარემოში გვიწევს ბრძოლა შიშველი ხელებით. თანაც, გამადიდებელი შუშით უყურებენ ჩვენს შემოწირულობებს, რომელიც ძალიან მწირია და მაინც, ყოველ ხუთ დღეში გვაბარებინებენ დეკლარაციას... მინდა ვისარგებლო შემთხვევით და მადლობა გადავუხადო იმ ადამიანებს, რომლებმაც შესაძლებლობების ფარგლებში გამოიჩინეს კეთილი ნება და გადმოგვირიცხეს თანხები: ზოგმა — 20 ლარი, ზოგმა — 30 და 40... გუშინწინ, მაგალითად, ერთმა პენსიონერმა 5 ლარი ჩაგვირიცხა, თუმცა იქიდან ერთი ლარი ბანკმა წაიღო საკომისიო... წარმოიდგინეთ, გაჭირვებული პენსიონერი, რომელსაც წამლების საყიდლადაც არ ჰყოფნის მიზერული პენსია, იქიდან ჩვენ რაღაც თანხას გვირიცხავს... ჩვენთვის, რა თქმა უნდა, ეს არის ძალიან დიდი მოტივაცია და იმედი, რაც გვაძლევს რწმენას, რომ, ნებისმიერი წინააღმდეგობის მიუხედავად, აუცილებლად გავიმარჯვებთ. ეს გარდაუვალია, იმიტომ, რომ **ჩვენ მხარეს არის სიმართლე, პატიოსანი, განათლებული, მორწმუნე ხალხი, ხოლო მეორე მხარეს დგას წუწურაქი მილიარდერი. მან შემოიკრიბა სისხლის სამართლის დამნაშავეები ნაცებისა და მისი სატელიტების სახით, რომლებსაც ვითომ ებრძვის, როგორც ბოროტ ძალას, სინამდვილეში ერთი და იმავე პოლიტიკურ რეალობას ეკუთვნიან.**

**— ფინანსური რესურსების კუთხით არსებულ უთანასწორობასთან ერთად თქვენთვის, ალბათ, გარკვეულ ბარიერს საინფორმაციო სივრცის არქონაც ქმნის. ფაქტობრივად, არც ერთ ტელეეთერში არ გიწვევენ და არ გაძლევენ ფართო საზოგადოებასთან კომუნიკაციის საშუალებას... როგორ წარმოგიდგენიათ ამ ყველაფრის გადალახვა დღევანდელ პირობებში?**

— გეთანხმებით, რომ დღეს ვიმყოფებით საინფორმაციო ბლოკადაში, რომელიც, რა თქმა უნდა, მიზანმიმართული პოლიტიკაა და ამას „ნაც-ქოცები" შეთანხმებულად აკეთებენ... მაგრამ უფალი ამბობს: „სადაც ორი და სამი შეიკრიბოს ჩემი სახელით, მეც იქ ვარ"... **ჩვენ ბევრი ვაჟკაცი, მორწმუნე, განათლებული და მცოდნე ადამიანი გავაერთიანეთ. დავდივართ კარდაკარ; მათ შორის რეგიონებში, ვხვდებით მოსახლეობას, სასულიერო პირებს, ეპისკოპოსებს, ვიღებთ კურთხევას და ა.შ. აი, ამ ფორმით ვცდილობთ, შევაჩეროთ ბოროტება, რომელიც სამი ათწლეული მართავს და სისხლს სწოვს საქართველოს. დარწმუნებული ვარ, ძალიან მალე ქართველი ხალხი ამ უღმერთო და გაუმაძღარ პოლიტელიტას სამუდამოდ მოიშორებს...**

**— ამ არჩევნებით ეს რამდენად მოხერხდება?**

— ამ არჩევნებით, განსხვავებით აქამდე ჩატარებული სხვა არჩევნებისგან, ცვლილებების ძალიან დიდი შანსი გვეძლევა და შევეცდები, მოკლედ ავხსნა, რატომ ვფიქრობ ასე. საერთოდ, ყოველთვის სკეპტიკურად ვიყავი განწყობილი არჩევნების გზით ცვლილებების მიმართ და ამას არც ვმალავდი. არ ვმალავდი იმიტომ, რომ აქამდე ჩატარებულ არც ერთ არჩევნებში არ მონაწილეობდნენ ჯანსაღი ძალები. მეტსაც გეტყვით, ბოლო საპრეზიდენტო არჩევნებში პირდაპირ მოვუწოდე საზოგადოებას, არ წასულიყო ხმის მისაცემად, ვინაიდან, მაშინ მიმაჩნდა და ახლაც ასე ვფიქრობ, რომ მნიშვნელობა არ ჰქონდა, წარმოდგენილი კანდიდატებიდან ვინ გახდებოდა პრეზიდენტი — **ზურაბიშვილი** თუ **ვაშაძე.** დღეს უკვე რადიკალურად განსხვავებული ვითარებაა. ჯერ ერთი, იმიტომ, რომ არჩევნებში კონსერვატიული ძალები მონაწილეობენ; და მეორე — მსოფლიო ძირფესვიანად იცვლება. „ლიბერალური" ტირანია ემხობა და იქმნება ახალი დღის წესრიგი... აი, ამ ყველაფრის გათვალისწინებით ახლა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, კონსერვატულმა ძალებმა თუნდაც რამდენიმე კაცით მაინც შევაღწიოთ პარლამენტში. რაც შეეხება წინააღმდეგობებს, ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე, სრული პასუხისმგებლობით ვამბობ: ახლა ისეთი დიდი მოტივაცია გვაქვს, ისეთი დიდი მხარდაჭერა და თანადგომა საზოგადოების მხრიდან, რომ მხოლოდ ტყვია თუ გაგვაჩერებს!.. მიუხედავად ფინანსური და სახელისუფლო ბერკეტების არქონისა, **„ქართულმა იდეამ" ძალიან ბევრი რამ შეძლო, მათ შორის: მიწების უცხოელებისთვის მიყიდვის შეჩერება; მიგრანტების უკონტროლო შემოდინების მცდელობის აღკვეთა; ბანკების მიერ მოქალაქეების პოლიციური გამოსახლების შეწყვეტა და ა.შ. არაფერს ვამბობ იმაზე, რომ ათასობით ადამიანს გავუწიეთ უფასო იურიდიული მომსახურება. მათ შორის მსჯავრდებულებს ციხეებშიც ვაკითხავდით და მათ მხარდასაჭერად სასამართლო პროცესებსაც ვესწრებოდით.** სასამართლო პროცესები მოვუგეთ პრეზერვატივებზე წმინდანების გამომსახველ კომპანიას და შევაჩერეთ მსგავსი ბილწი პროდუქციის გამოშვება. არაერთხელ ჩავშალეთ ე.წ. გეიაღლუმების ჩატარების მცდელობა, შევაჩერეთ 500-კილოვატიანი ელექტროგადამცემი ხაზების გატარება დასახლებულ პუნქტებზე (რაც, სამედიცინო დასკვნებით, იწვევს ლეიკემიას), ოჯახებს დავუბრუნეთ იუვენალური იუსტიციით წართმეული შვილები და ეს მოვახერხეთ ყოველგვარი ფინანსური და სახელისუფლო ბერკეტების გარეშე. ბუნებრივია, ათჯერ მეტის გაკეთებას შევძლებთ პარლამენტის კედლებიდან, ამიტომ მინდა, ვისარგებლო შემთხვევით და კიდევ ერთხელ მივმართო მოსახლეობის იმ ნიჰილისტურად განწყობილ 60%-ს, რომელიც აქამდე გასაგები მიზეზების გამო არ მიდიოდა არჩევნებზე: **ახლა თქვენი მხარდაჭერა ძალიან სჭირდება ქვეყანას. აუცილებლად მიდით არჩევნებზე და შემოხაზეთ 44!**

**— ცალკე საკითხია არჩევნების სამართლიანობა. ცხადია, მარჩიელობას ვერ დავიწყებთ, მაგრამ იმ შემთხვევაში, თუკი არჩევნები გაყალბდება, რა გზა რჩება საზოგადოებას საკუთარი უფლებების დასაცავად?**

— ყველგან, სადაც კი მოსახლეობასთან შეხვედრებს ვმართავთ, ხაზგასმით ვამბობთ, რომ ჩვენ ამ არჩევნებით არ ვამთავრებთ. პირიქით, ჩვენ ამ არჩევნებით ვიწყებთ, ამიტომ ღმერთმა ნუ ქნას, ხელისუფლება ტოტალურ გაყალბებაზე წავიდეს, თორემ ამით საბოლოოდ დაისამარებენ პოლიტიკურ მომავალს. რაც შეეხება კონკრეტულად „ქართულ იდეას" და ჩვენს გეგმებს, ვთქვი და კიდევ გავიმეორებ: ისეთი ხალხი გვყავს შემოკრებილი და იმხელა მხარდაჭერა გვაქვს, რომ ახლა მხოლოდ ტყვია თუ გაგვაჩერებს, თორემ სხვა ვერაფერი. როგორც გითხარით, ეს მხოლოდ ბრძოლის დასაწყისია; ბრძოლის, რომელიც თავისთავად არ იქნება მარტივი, მაგრამ, ადრე თუ გვიან, აუცილებლად დასრულდება არსებული სამარცხვინო პოლიტიკური სისტემის დემონტაჟით. ქართველი ხალხი ნამდვილად იმსახურებს მზრუნველ და ღირსეულ ხელისუფლებას და ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ იმისთვის, რომ კანონშემოქმედებითი უფლებით მხოლოდ ზნეკეთილი მამულიშვილები აღვჭურვოთ და ჩვენი სამშობლო გავაძლიეროთ, როგორც სულიერ-კულტურული, ასევე ეკონომიკური კუთხით.

ესაუბრა **ჯაბა ჟვანია**




## «ისეთი დიდი მოტივაცია და მხარდაჭერა გვაქვს საზოგადოების მხრიდან, რომ მხოლოდ ტყვია თუ გაგვაჩერებს, სხვა ვერაფერი»

## «ჩვენ მხარეს არის სიმართლე, პატიოსანი, განათლებული, მორწმუნე ხალხი, ხოლო მეორე მხარეს დგას წუწურაქი მილიარდერი. მან შემოიკრიბა სისხლის სამართლის დამნაშავეები ნაცებისა და მისი სატელიტების სახით, რომლებსაც ვითომ ებრძვის, როგორც ბოროტ ძალას, სინამდვილეში ერთი და იმავე პოლიტიკურ რეალობას ეკუთვნიან»

**„მიუხედავად ჩემი და ჩემი წარმდგენი პარტიის მწირი ფინანსური შესაძლებლობებისა, მაინც მოვახერხეთ, რომ ხალხის ყურამდე მიგვეტანა ამბავი — საქართველოში არიან ადამიანები, რომელთაც გამოსავლის პოვნა შეუძლიათ; არიან ადამიანები, რომლებიც ჩვენს ქვეყანას ჩიხიდან და გაუსაძლისი ყოფიდან გამოიყვანენ“.**

**დეპუტატობის კანდიდატი**

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## ვიქტორ ცაავა:

# გონიერმა ამომრჩეველმა იცის, რომ რუსეთთან ურთიერთობის მოუგვარებლად არც წლების წინათ დაწყებული ომი დასრულდება, არც ეკონომიკა ამუშავდება და არც უმუშევრობას მოეღება ბოლო

**საპარლამენტო არჩევნებამდე რამდენიმე დღე დარჩა, წინასაარჩევნო ციებ-ცხელება მალე დასრულდება. ამ საარჩევნო ქარბორბალას გადავლამდე პოლიტიკურ პარტიებს დასჭირდებათ ამომრჩეველი, მაგრამ, როდესაც ყველაფერი დასრულდება, ის არავის გაახსენდება შემდეგ არჩევნებამდე — ჩვენს ქვეყანაში ეს აქსიომაა...**
**დასასრულს უახლოვდება „პატრიოტთა ალიანსის“ მიერ მარტვილი-აბაშა-წალენჯიხა-ჩხოროწყუს ოლქში წარდგენილი მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატის, ვიქტორ ცაავას, საარჩევნო კამპანიაც. საინტერესოა, რა შთაბეჭდილება დატოვა მასზე ამომრჩეველმა და თვითონ ამომრჩეველს რა წარმოდგენა შეექმნა მასზე.**



**«მოსახლეობას სურს, იხილოს ახალი, ეროვნული, უფრო მეტიც, სოციალისტურ პლატფორმაზე მდგომი ძალა. სამეგრელოს მოსახლეობის უმრავლესობა პირად საუბრებშიც და საჯარო შეხვედრებზეც გამოხატავდა სამხედრო მიუმხრობლობისადმი დადებით დამოკიდებულებას»**

**თუკი უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში ამირჩევენ, პარლამენტში მისვლის პირველი დღიდანვე დავიწყებ ხალხისთვის მიცემული დაპირებების შესრულებას, ესენია:**
***საკანონმდებლო ინიციატივა რუსეთთან ურთიერთობის დარეგულირების დაწყებაზე;**
*** საგამოძიებო კომისიის შექმნის ინიციატივა საქართველოს სტრატეგიული ობიექტების გაყიდვის კანონიერების გამოსაძიებლად, შემდგომში მისი სახელმწიფოსთვის დაბრუნების მიზნით;**
*** საქართველოში სოფლის მეურნეობის ტრადიციული დარგების (მეჩაიეობა, მეაბრეშუმეობა და სხვ.) აღდგენის მიზნით შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის შექმნის ინიციატივა;**
*** წინ წამოვწევ და, სანამ ჩემსას არ გავიტან, თავს არ დავანებებ მეგრული, სვანური და აფხაზური ენების დასაცავად საკანონმდებლო ბაზის შექმნის ინიციატივას.**

— დასასრულს უახლოვდება, ალბათ, ყველაზე არაორდინარული არჩევნები საქართველოს ისტორიაში. ვითარება რთულია, რადგან იგრძნობა ერთგვარი დაძაბულობა და გაურკვევლობა საზოგადოებაში; ხალხმა ვერ გაიგო, ვინ არის ერთ გუნდში, ვინ — ამ გუნდის საწინააღმდეგო მხარეს, ვინ მართალია და ვინ — მტყუანი, რადგან თვლის, რომ თითქმის ყველა პარტიას ერთი და იგივე იდეოლოგია აქვს, იდეოლოგია, რომელიც ქვეყანას არაფერში არგია.

ბრძოლა მიმდინარეობს ყოველგვარი წესების დაცვის გარეშე, ამას ბოლო პერიოდში განვითარებული მოვლენებიც ამტკიცებს — თავდასხმა ბანკზე ზუგდიდის ცენტრში და მომხდარის გარშემო ე.წ. ოპოზიციის მიერ ატეხილი აჟიოტაჟი. გახშირდა პროვოკაციული ქმედებები, სროლები იყო ქვემო ქართლში „ქართული ოცნების“ ოფისში, თავს ესხმიან მაჟორიტარებს და ამ ყველაფერს ისე სჩადიან, უკან არ იხედებიან, არ ფიქრობენ, რა შეიძლება მოჰყვეს ასეთ ქმედებას. ხალხი დაშინებულია და, რაც ყველაზე მეტად გასაკვირია, უფრო დაშინებულია ე.წ. ლიბერალური ოპოზიციისგან, ვიდრე მთავრობისგან. არადა, წლების განმავლობაში ხელისუფლების შიში ჰქონდათ, თუმცა გასაკვირი არაფერია, იმჟამინდელი ხელისუფლების წარმომადგენლები ახლა ე.წ. ოპოზიციაში არიან და ამომრჩევლის დაშინებასაც ბედავენ. ეს, უდავოდ, ამჟამინდელი ხელისუფლების დიდი დანაშაულია.

**— არსებული ხელისუფლების დანაშაული საზოგადოების თვალში მართლაც არის ის, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ და მისი „ნარჩენები“ ხელისუფლების სათავეში დაბრუნებაზე საუბრობენ, არჩევნებში მონაწილეობენ და უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში, დიდი ალბათობით, კვლავ მოხვდებიან... რა სურს რეალურად ამომრჩეველს, რა დასკვნის გაკეთება შეგიძლიათ?**

— ამომრჩეველთან საუბრებში იგრძნობა, რომ საზოგადოება მზად არის ცვლილებებისთვის, მაგრამ არა იმ ცვლილებებისთვის, როგორიც სურთ ლიბერალებს. მოსახლეობას სურს აფხაზებსა და ოსებთან პირდაპირი დიალოგის დაწყება, ასევე რუსეთთან ურთიერთობის მოგვარება. **მოსახლეობას სურს, იხილოს ახალი, ეროვნული, უფრო მეტიც, სოციალისტურ პლატფორმაზე მდგომი ძალა. სამეგრელოს მოსახლეობის უმრავლესობა პირად საუბრებში და საჯარო შეხვედრებზეც გამოხატავდა სამხედრო მიუმხრობლობისადმი დადებით დამოკიდებულებას.** ადამიანებს სურთ, ამ ქვეყნის ხელისუფლებამ გადადგას მშვიდობიანი ნაბიჯები იმ ომის დასამთავრებლად, რომელიც 27 წელი მიმდინარეობს ჩვენს ქვეყანაში. აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ მოსახლეობამ, გონიერმა ამომრჩეველმა, იცის, რომ რუსეთთან ურთიერთობის მოუგვარებლად არც წლების წინათ დაწყებული ომი დასრულდება, არც ეკონომიკა ამუშავდება, არც სოციალური პრობლემები მოგვარდება და უმუშევრობასაც არ მოეღება ბოლო. ეს ყველაფერი ძალიან კარგად იცის ქართველმა კაცმა, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს არჩევნებიც, როგორც ბოლოდროინდელი ყველა არჩევნები, არჩევანის გარეშეა — ხალხის ნება სხვაა, არჩევნებს კი სულ სხვა მოიგებს...

**— თუკი თქვენ გაიმარჯვებთ არჩევნებში და გახდებით საქართველოს პარლამენტის წევრი, რას გააკეთებთ უპირველესად?**

— ბევრი ვიარე სამეგრელოს სოფლებსა და ქალაქებში, ბევრ ადამიანს შევხვდი. მართალია, ჩემი შეხვედრები არ ყოფილა სხვა პარტიების წარმომადგენელი მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატების მსგავსად გრანდიოზული, ხალხმრავალი და პომპეზური, მაგრამ მქონდა უშუალო და გულისხმიერი შეხვედრები. მომეცა საშუალება, მშვიდად მესაუბრა ამომრჩეველთან, მომესმინა მათთვის და მეც მეთქვა ჩემი სათქმელი ყოველგვარი სიყალბის გარეშე, როგორც ეს წინასაარჩევნოდ სჩვევიათ ხოლმე პოლიტიკოსებს.

თუკი უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში ამირჩევენ, პარლამენტში მისვლის პირველი დღიდანვე დავიწყებ ხალხისთვის მიცემული დაპირებების შესრულებას. ეს არის: **საკანონმდებლო ინიციატივა რუსეთთან ურთიერთობის დარეგულირების დაწყებაზე; საგამოძიებო კომისიის შექმნის ინიციატივა საქართველოს სტრატეგიული ობიექტების გაყიდვის კანონიერების გამოსაძიებლად, შემდგომში მისი სახელმწიფოსთვის დაბრუნების მიზნით. საქართველოში სოფლის მეურნეობის ტრადიციული დარგების (მეჩაიეობა, მეაბრეშუმეობა და სხვ.) აღდგენის მიზნით შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის შექმნის ინიციატივა; წინ წამოვწევ და, სანამ ჩემსას არ გავიტან, თავს არ დავანებებ მეგრული, სვანური და აფხაზური ენების დასაცავად საკანონმდებლო ბაზის შექმნის ინიციატივას.**

მოკლედ, პრიორიტეტად ვაქცევ ყველა იმ საკითხს, რომლებიც წამოსულია ხალხის წიაღიდან, რომლებიც ძალიან აწუხებს ჩემს და არა მხოლოდ ჩემს ამომრჩეველს, არამედ ქვეყნის მოსახლეობის პრობლემაცაა.

ჩვენი ქვეყნის ამომრჩევლის პრობლემა მუდმივად არის ის, რომ მაჟორიტარის არჩევის შემდეგ ველარ ხვდებიან თავის რჩეულს, უფრო მეტიც, ხანდახან გვარი და სახელიც კი აღარ ახსოვთ მისი. არ მინდა, მსგავსი რამ მოხდეს ჩემს შემთხვევაშიც. ეს ჩემი მამაპაპისეული კუთხეა და ძალიან მიყვარს აქაური ხალხი, ეს მხარე. ვიცი მათი პრობლემები და გულისტკივილის მიზეზი. ასე რომ, თუკი ამირჩევენ ძალიან ბედნიერი ვიქნები და ვუერთგულებ მათ, მაგრამ, თუ უპირატესობა სხვას მიანიჭეს, მათ მიტოვებას მაინც არ ვაპირებ, ყოველთვის მექნება ურთიერთობა, მათ, ასე ვთქვათ, მაჯისცემას მოვისმენ. ჩემთვის ეს არჩევნები, სხვებისგან განსხვავებით, 31 ოქტომბერს არ მთავრდება...

როგორც აღვნიშნე, ბრძოლა მიმდინარეობს ყოველგვარი წესების დაცვის გარეშე. მართალია, არ ვიშურებ ენერგიასა და შესაძლებლობებს, მაგრამ პატიოსნად მებრძოლი ადამიანისთვის ასეთ ბინძურ ბრძოლაში გამარჯვება ერთობ ძნელია, მით უმეტეს მაშინ, როდესაც ყველაზე ბინძურად ე.წ. ნეოლიბერალური ოპოზიცია იქცევა.

ძალიან მოტივირებული ვარ მას შემდეგ, რაც ფეხით შემოვიარე ყველა ის რაიონი, ყველა სოფელი სამეგრელოსი, სადაც წარდგენილი ვარ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატად. ან როგორ შეიძლება, არ იყო ადამიანი მოტივირებული საქმის კეთებისთვის, სიკეთის კეთებისთვის, როდესაც ნახავ საქართველოს სოფლებში არსებულ გაჭირვებას, როდესაც ნახავ გლეხის დაუფასებელ შრომას. წარმოუდგენელია ამ ხალხის ღალატი.

იმ შემთხვევაშიც კი, თუ ვერ მოვხვდები პარლამენტში, აუცილებად განვაგრძობ ბრძოლას, როგორც სამეგრელოს შვილი, მისი დიდი გულშემატკივარი და მისი მოსახლეობის ჭირ-ვარამის გამზიარებელი. **მე სამეგრელოს მოსახლეობამ ისეთი სითბო დამანახვა, რომ აწი გამჩერებელი აღარ ვარ, რადგან ახლა სამეგრელოს მოსახლეობის გულზე მიდევს ხელი და ვგრძნობ, რომ მათი გულისფეთქვა ჩემსას ემთხვევა.**

კიდევ გავიმეორებ: ჩემთვის არჩევნები არ მთავრდება 31 ოქტომბერს, პირიქით — იწყება და ამ დაწყებულ საქმეს ჩემს მხარდამჭერებთან ერთად აუცილებლად მივიყვან ბოლომდე. სამომავლო გეგმები დიდი მაქვს, თანაც ისეთი კი არა, როგორც ამ ქვეყანაში წარმოდგენილი პარტიების უმრავლესობას, ჩვენ ზუსტად ვიცით, რა არის უპირველესად გასაკეთებელი და საიდან უნდა დავიწყოთ ქვეყნის აღმშენებლობა. საბედნიეროდ, მიუხედავად ჩემი და ჩემი წარმდგენი პარტიის მწირი ფინანსური შესაძლებლობებისა, მაინც მოვახერხეთ, რომ ხალხის ყურამდე მიგვეტანა ამბავი — **საქართველოში არიან ადამიანები, რომელთაც გამოსავლის პოვნა შეუძლიათ, არიან ადამიანები, რომლებიც ჩვენს ქვეყანას ჩიხიდან და გაუსაძლისი ყოფიდან გამოიყვანენ.**

როდესაც „პატრიოტთა ალიანსს“ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატად წარდგენაზე დავთანხმდი, პროგრამა-მინიმუმი და პროგრამა-მაქსიმუმი დავსახეთ, სამუშაოდ ბევრი არც დრო მქონდა და არც ფინანსები, პომეზურად რომ ჩამეტარებინა წინასაარჩევნო კამპანია, მაგრამ, ამის მიუხედავად, ვფიქრობ, პროგრამა-მინიმუმი წარმატებით შევასრულე, ხალხმა ჩვენი იდეები გაიცნო, ჩვენს ქვეყანას საღად მოაზროვნეთა გუნდი რომ ჰყავს, გაიგეს და ახლა უკვე იციან, რომ, თუ ერთად დავდგებით, სამშობლოსთვის ბევრ კარგ საქმეს გავაკეთებთ; იციან, რომ ჩვენ ხალხის მოსმენა შეგვიძლია, შეგვიძლია ქვეყანაში არსებული უმთავრესი პრობლემების გადაჭრა.

**მძიმე დღეები გველოდება წინ — ჯერ რამდენიმე დღეში არჩევნები, შემდეგ უკვე არჩევნების შემდგომი პერიოდი, ვითარებას ართულებს კორონავირუსით გამოწვეული პანდემია, ამიტომ მინდა, სიმშვიდე ვუსურვო ჩემს ქვეყანასა და ხალხს!**

ესაუბრა
**ეკა ნასყიდაშვილი**

ხალხი და ხელისუფლება
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**მარტივი აქსიომაა: ძლიერი ოჯახი სახელმწიფოს სიძლიერის გარანტიაა და სწორედ ეს არ უნდათ ჩვენს სტრატეგიულ პარტნიორებს. არ უნდათ იმიტომ, რომ ძლიერი სახელმწიფოს დამონება ურთულესი, ხშირად კი შეუძლებელია... ამიტომ სჯობს, ხალხს „სკლინტი აბაზიანი ეგონოს და მაშინ არის ის პატიოსანი“. აი აქეთ კი არ მივდივართ, უკვე მივედით და საქართველოს ერთი ნახევარი თუ ნაგვის ურნებშია გადაყუდებული, მეორე ნახევარი დილიდან საღამომდე შრომობს იმისთვის, რომ სწორედ „აბაზიანი“ მიიტანოს საღამოს შინ.**

# როგორ და რატომ დაგვემატა ერთ თვეში 2 მლრდ ლარის ვალი




**როცა ხელისუფლებამ საგანგებო მდგომარეობა გამოაცხადა და ისიც თქვა, — იძულებულნი ვართ, საგარეო ვალი დავიმატოთო, არავის გაუპროტესტებია. ხალხი ტელეპანდემიით იყო დაზაფრული და ამას ყურადღება არ მიაქცია. მას შემდეგ ბევრმა თუ ცოტა წყალმა ჩაიარა, ისიც კი გავიგეთ, რომ თურმე იმაზე მეტი ვალი აგვიღია, ვიდრე გვჭირდებოდა, და ეს ფული პანდემიის საწინააღმდეგო ღონისძიებებში კი არა, ინფრასტრუქტურულ პროექტებში წავიდა. არც ამაზე უთქვამს ვინმეს რამე და ამ შემთხვევაში გვგონია, რომ მოსახლეობამ წინააღმდეგობის გაწევის უნარი დაკარგა. აღარ აქვს სურვილი, იყვიროს, გააპროტესტოს. ყველა კუჭზე ფიქრობს, რადგან კუჭი მოსახლეობის ძირითადი ნაწილისთვის უზენაესია და ეს არც გასაკვირია და არც დასაძრახი. ცოტა ძნელი ასატანია, შინ მისულს, შვილი რომ გეტყვის, — მშიაო და რომ უპასუხებ: საგარეო ვალის აღების საპროტესტო აქციიდან მოვდივარ და დღეს საჭმელი არ გვექნებაო.**

ოფიციალური მონაცემებით, ჩვენი საგარეო ვალი მიმდინარე წლის **აგვისტოსთვის 20 მილიარდი ლარი** იყო, სექტემბრის ბოლოს კი **22 მილიარდამდე** გაიზარდა. ყურადღება! შეკითხვა: **ერთ თვეში 2 მილიარდი როგორ და რატომ დაგვემატა?** სავარაუდოდ, ხელისუფლებამ კვლავ აიღო ვალი და აღარ გაამხილა. მეორე ვარიანტი: ისეთი პროცენტით ავიღეთ სესხი, თვეში 2 მილიარდი ემატება (მაგალითად, 10%-ად რომ გვქონდეს, ზუსტად ჯდება). ყველაზე მეტი აზიის განვითარების ბანკისა გვმართებს — 1.412 მილიარდი დოლარი, ანუ 3 მილიარდ ლარზე მეტი, მაგრამ მთავარი ეს არ არის. მთავარი ისაა, უხეშად რომ დავიანგარიშოთ, საქართველოს თითოეულ მოქალაქეს, **გუშინ რომელიც დაიბადა და ხვალ რომ დაიბადება იმასაც, დაახლოებით 7-ათასლარიანი ვალი აქვს.** მედალს მეორე მხარეც აქვს და **გუშინ ვინც გარდაიცვალა და ხვალ ვინც გარდაიცვლება, იმას, ერთი შეხედვით, კი მიაქვს ეს ვალი საფლავში, მაგრამ რეალურად შვილებსა და შვილიშვილებს უტოვებს, რადგან ეს თანხა სწორედ ჩვენი გადასახადებიდან არის გადასახდელი...**

პრემიერმა განაცხადა: სრული ჩაკეტვა და საგანგებო მდგომარეობის გამოცხადება აღარ იქნება, რადგან ეკონომიკა ამას ვერ გადაიტანსო, მხოლოდ წერტილოვან შეზღუდვებს შემოვიღებთო. ამ ყველაფერს შეგვიძლია საუკუნის აღიარება ვუწოდოთ. **ხელისუფლება დაუფარავად გვეუბნება: ვერ შეგინახავთ, ფული არ გვაქვს და სხვა გზა არ არის, უნდა დაიხოცოთო.** ჰო, სწორედ რომ დახოცვაა გამოსავალი, რადგან, თუ მკაცრი შეზღუდვები არ დაწესდება, თუ გეომეტრიული პროგრესიით მიმდინარე მატება არ შემცირდება, დაგვემართება ის, რაც დაემართა ევროპისა და ამერიკის კონტინენტებს. არაფერს ვამბობთ აზიაზე, სადაც ვირუსმა ლამის მთელი უბნები გაწყვიტა.

მოსახლეობის შენახვა კი ერთადერთი მიზეზით ვერ ხერხდება: ადამიანების უმრავლესობა ვერ ქმნის დოვლათს და ვერ აკეთებს ყოველთვიურ დანაზოგს. **„ავადსახსენებელი კომუნიზმი“ ხომ გახსოვთ? არ არსებობდა ოჯახი, რომელსაც ყოველ თვე რაღაც თანხა შავი დღისთვის არ გადაედო. ეს „შავი დღეები“ მაშინ, ძირითადად, ან ახალი ავეჯისა და ავტომობილის ყიდვით სრულდებოდა, ან ზაფხულში მთელი ოჯახის ზღვაზე ადამიანურად დასვენებით. ახლა კი, თვის ბოლოს დანაზოგის გადადება კი არა, დილიდან საღამომდე სული როგორ მიიტანონ, იმაზე არიან გადასულნი.** ყოველდღიური საკვების პრობლემა დაუდგა ძალიან ბევრ ადამიანს. **მოსახლეობის მხოლოდ 10% თუ ახერხებს რაღაც თანხის გადადებას სამომავლოდ და სწორედ ეს 10% გვეუბნება ახლა: ხმა მომეცი და ამირჩიეო. არ აქვს მნიშვნელობა, ხელისუფლებაა თუ ოპოზიცია, პრაქტიკულად, ყველა ვნახეთ ხელისუფლებაში და ყველას ჰქონდა შანსი იმისა, რომ რაღაც სასიკეთოდ შეეცვალა.** 2020 წელს იმას რომ გაგახსენებენ, დენი და ბუნებრივი აირი გაქვთ 24 საათიო (წყალმომარაგება საქართველოს უმეტეს რაიონებში 24-საათიანი არ არის), რაზე უნდა ილაპარაკო?! **მთვარემდე საბაგირო გზის გაკეთებას აპირებენ უცხოელები, ამ მიმართულებით მუშაობენ და ჩვენ კიდევ, დენი და ბუნებრივი აირი რომ გვაქვს, ეს ყოფილა მიღწევა. ახლა ვინმე იტყვის, ბანანის რესპუბლიკა ვიყავითო, მაგრამ ის თუ იცით, ბანანის რესპუბლიკაში ერთი ყუთი ბანანი 2 დოლარი რომ ღირს და ჩვენთან კი 120 ლარი? შემოგვედავებით: ის ბანანის სამშობლოაო. ყურძნის სამშობლო თუ არის საქართველო, იმიტომ ვერ შემოგვაქვს ზამთარში სომხეთიდან 32 მილიონი დოლარის ყურძენი?!**

ისევ ხელისუფლებას დავუბრუნდეთ. ერთ თვეში გუგულის კვერცხივით შემოპარებულ 2 მილიარდ ლარზე ხმას არც ოპოზიცია იღებს. რატომ? ორი ვარიანტია — **ან ეს თანხა ისეთი ქვეყნისგან ვისესხეთ, ხმაური რომ არ უნდა ავტეხოთ, ან ოპოზიციას არ აინტერესებს და მხოლოდ არჩევნებზე, ე.ი., საკუთარი ცხოვრების შემდეგი 4 წლით მოწყობაზეა გადასული.**

**საქართველოს თითოეულ მოქალაქეს, გუშინ რომ დაიბადა და ხვალ რომ დაიბადება იმასაც, დაახლოებით 7-ათასლარიანი ვალი აქვს**

2021 წლის 26 თებერვალს 1 წელი გავა მას შემდეგ, რაც საქართველოში კორონავირუსის პირველი შემთხვევა დადასტურდა. მერე იყო უმკაცრესი შეზღუდვები, კომენდანტის საათი და მისი უდიდებულესობა ანტიკრიზისული გეგმა, რომელსაც მოსახლეობისთვის შვება უნდა მიეცა და, რაც მთავარია, ეკონომიკას მინიმალურად უნდა დატყობოდა. საუბარი არ არის იმაზე, რომ გეგმა არ ვარგოდა, გეგმის შედგენაც კი არ ვიცით, განხორციელებაზე რომ არაფერი ვთქვათ. ხომ შეიძლება, დაწერო ისეთი გეგმა, რომლის განხორციელების შემთხვევაშიც მართლა უკეთესობა იქნება. ჰოდა, მაინც არ ასრულებ (რა შეუსრულებიათ, რო?!) და **გეგმა მაინც დაწერე ისეთი, ქვა გახეთქოს, სათქმელი რომ გქონდეს: აგერ დავწერეთ, მაგრამ ვერ გავაკეთეთო. შედგენაც კი არ ვიცით ისეთი გეგმის, რომელიც ქვეყანას უშველის. საუბარი ამ ერთ კონკრეტულ შემთხვევაზეა და ხომ წარმოგიდგენიათ, რა ხდება, როცა საქმე სახელმწიფო განვითარების გრძელვადიან გეგმას ეხება.** ალბათ, მაშინ, საერთოდ, ყავაზე მკითხაობენ, მაგრამ მაგასაც ნიჭი უნდა და გვეეჭვება, მთავრობაში ვინმეს ჰქონდეს ეს ნიჭი.

**ერთი სამუშაო ადგილის შექმნას საქართველოში დაახლოებით 35 ათასი ლარი სჭირდება (ესეც სახელმწიფო სტრუქტურების მიერ არის დაანგარიშებული). ჰოდა, იმ 2 მილიარდი ლარით, ერთ თვეში ვალად რომ დაგვემატა, 57 142 სამუშაო ადგილის შექმნა იქნებოდა შესაძლებელი. ერთ თვეში დამატებული ვალით 50 ათას ოჯახზე მეტის უზრუნველყოფაა შესაძლებელი და ესეც თქვენი მთავარი დაპირება — უმუშევრობის მოსპობა**

ერთი სამუშაო ადგილის შექმნას საქართველოში დაახლოებით 35 ათასი ლარი სჭირდება (ესეც სახელმწიფო სტრუქტურების მიერ არის დაანგარიშებული). ჰოდა, იმ 2 მილიარდი ლარით, ერთ თვეში ვალად რომ დაგვემატა, 57 142 სამუშაო ადგილის შექმნა იქნებოდა შესაძლებელი. ერთ თვეში დამატებული ვალით 50 ათას ოჯახზე მეტის უზრუნველყოფაა შესაძლებელი და ესეც თქვენი მთავარი დაპირება — უმუშევრობის მოსპობა.

მარტივი აქსიომაა: ძლიერი ოჯახი სახელმწიფოს სიძლიერის გარანტიაა და სწორედ ეს არ უნდათ ჩვენს „სტრატეგიულ პარტნიორებს“. არ უნდათ იმიტომ, რომ ძლიერი სახელმწიფოს დამონება ურთულესი, ხშირად შეუძლებელია... ამიტომ სჯობს, ხალხს „სკლინტი აბაზიანი ეგონოს და მაშინ არის ის პატიოსანი“. აქეთ კი არ მივდივართ, უკვე მივედით და საქართველოს ერთი ნახევარი თუ ნაგვის ურნებშია გადაყუდებული, მეორე ნახევარი დილიდან საღამომდე შრომობს იმისთვის, რომ სწორედ „აბაზიანი“ მიიტანოს საღამოს შინ.

ჰო, არჩევნები ყველას და ყველაფრის ფასად უნდა ჩატარდეს. მერე რა, რომ რამდენიმე ათასი ადამიანი უკვე ინფიცირებულია, მათთვის სპეციალური კოვიდუბნები შეიქმნა და ხმას იქ მისცემენ. არც ის არის პრობლემა, რომ ასეთი კომისიის წევრობა არავის არ უნდა და, ამდენ ათას ადამიანს ქალაქში რომ გამოიყვანენ ხმის მისაცემად, ახალი კლასტერები შეიქმნება. მთავარი ხომ ის არის, რომ კონკრეტული პირები პარლამენტში მოხვდნენ, შემდეგ კი ოთხი წლის განმავლობაში გვმოძღვრონ და... **კანონებს ვერ მიიღებენ, რადგან, წესით, მომღერალმა, პიანისტმა, კალათბურთელმა და მორაგბემ კანონებთან ურთიერთობა არ უნდა იცოდნენ. ეს — ერთი შეხედვით, თორემ კანონებსაც ზუსტად ისე შემოგვაპარებენ, როგორც ეს 2 მილიარდი შემოგვაპარეს და... საინტერესოა, ყოველთვიურად გვემატება ეს 2 მილიარდი და სახელმწიფოს გაკოტრებულად გამოცხადებისკენ მივდივართ თუ ნელ-ნელა გვიმატებენ, მთელი ცხოვრება რომ ვალებში ვიყოთ და წინსვლაზე მოქმედებას კი არა, ფიქრსაც შევეშვათ.**

დღევანდელი მდგომარეობით, რეალურად ერთადერთი რეკომენდაცია დარჩა — ლოცვები გააძლიერეთ, ლოცვები! უფლის იმედად ვართ, სხვა საშველი მართლა არ ჩანს.

ბესო ბარბაქაძე

**«ავადსახსენებელი კომუნიზმი» ხომ გახსოვთ? არ არსებობდა ოჯახი, რომელსაც ყოველ თვე რაღაც თანხა შავი დღისთვის არ გადაედო. ეს «შავი დღეები» მაშინ, ძირითადად, ან ახალი ავეჯისა და ავტომობილის ყიდვით სრულდებოდა, ან ზაფხულში მთელი ოჯახის ზღვაზე ადამიანურად დასვენებით. ახლა კი, თვის ბოლოს დანაზოგის გადადება კი არა, დილიდან საღამომდე სული როგორ მიიტანონ, იმაზე არიან გადასულნი**

## „ოთხ მუნიციპალიტეტში კანდიდატად დასახელება ჩემ მიმართ გამოხატული ნდობაა, რომელსაც უდიდესი პასუხისმგებლობა ახლავს. გურჯაანის მოდელი ახლა მთელ რეგიონზე უნდა გავავრცელოთ“.

არჩევნები დადგათ

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

დავით სონღულაშვილი:

# ვიყავი და ვარ ქვეყნის ერთი რიგითი ჯარისკაცი, რომლის სურვილიც ქვეყნის წარმატება და წინსვლაა

**დავით სონღულაშვილს, საქართველოს პარლამენტის ევროინტეგრაციის საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარეს, კახეთის მხარეში კარგად იცნობენ. აქაური მკვიდრია. ესეც იყო ამოსავალი (არა ერთადერთი) წერტილი, როცა გურჯაანელებმა ოთხი წლის წინათ მეცხრე მოწვევის პარლამენტში მაჟორიტარ დეპუტატად აირჩიეს: წარმატებული ბიზნესმენი უმაღლესი განათლებით (საქართველოს პოლიტექნიკური უნივერსიტეტის კურსდამთავრებული, უცხოეთში გაღრმავებული ცოდნით), მდიდარი გამოცდილების მქონე და საკუთარი კუთხის პატრიოტი, მშრომელი ხალხისთვის თავგადადებული ახალგაზრდა კაცი.**


მორიგი შეხვედრა ამომრჩევლებთან

**«თუ 2012 წელს კახეთში 52 ათასი ტონა ყურძენი ჩაიბარეს, 2019 წელს — 278 ათასი ტონა, წლეულს ეს ნიშნული 300 ათას ტონას გადასცდა. ექვსჯერადი ზრდა, ალბათ, არც ერთ სფეროსა თუ დარგში არ ყოფილა»**

და, რა თქმა უნდა, სონღულაანთ გვარის ტრადიციების ღირსეული გამგრძელებელი.

— ცხონებული პაპაჩემი დილის 6 საათიდან დაგვრაზმავდა ბიჭებს და ვენახსა თუ ბოსტანში ყველგან გვამუშავებდა. ვაზის მოვლა გვასწავლა, ღვინის დაყენება, ძირითადად, რქაწითელი ჯიშის ყურძნის. ჩვენი ვენახი ჩემი და ჩემი ძმის — სოსოს ჩაყრილია. შრომის ფასი პაპამ გვასწავლა.

საქართველოს, როგორც ვაზისა და ღვინის სამშობლოს სახელს ასეთი გულმხურვალე ახალგარდები განამტკიცებენ. ისევე (და უმთავრესად), როგორც კაცობრიობის ცივილიზაციის ერთ-ერთი სატიტულო ერის დამსახურებას გლობალიზაციის ყოვლის წამლეკავ დღევანდელობაში.

ბევრი სიძნელე ჰქონდა გადასალახავი დავით სონღულაშვილს ამ მიმართულებით ევროპულ სარბიელზე, როგორც ჩვენი ქვეყნის ინტერესების დამცველსა და მოდარაჯეს.

შეძლო, დაძლია, განამტკიცა.

**რადგან ჰქონდა საამისო ინტელექტი, ცოდნა, გამოცდილება და მოწოდებული იყო საქვეყნო საქმეებისთვის.**

**რადგან მისაბაძად ჰქონდა მამის — ბიძინა სონღულაშვილის მაგალითი, რომელმაც (მაშინ მხარის გუბერნატორმა) ბევრ სხვა სიკეთესთან ერთად მშვიდობა შეუნარჩუნა კახეთს უდროობის ჟამს.**

**ღირსეული მამის ღირსეული შვილიაო.**

რადგან იგი „აქტიურად ზრუნავდა, როგორც საკუთარი მხარის მოსახლეობის ინტერესების დაცვაზე, ისე ჩვენი ქვეყნის საგარეო-პოლიტიკური ამოცანების რეალიზაციაზე“, — ასე ახასიათებენ მას პარლამენტში.

ოთხ დღეში დავით სონღულაშვილი კვლავ კენჭს იყრის, როგორც მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი გურჯაანის, საგარეჯოს, დედოფლისწყაროსა და სიღნაღის მუნიციპალიტეტების სამაჟორიტარო ოლქში. უეჭველად აირჩევენ, რადგან საქმემან მისმა მეათე მოწვევის საქართველოს პარლამენტისკენ გაუკვალა გზა.

## შენ ხარ ვენახი — რთველი დაუსრულებელი

მაინც რა გაკეთდა გურჯაანის რაიონში ისეთი, რაც მისი სადეპუტატო საქმიანობის სავიზიტო ბარათად არის მიჩნეული?

**ადგილობრივი პრესისთვის მიცემულ ინტერვიუში მან განმარტა:**

— ამ ოთხი წლის განმავლობაში უწყვეტ კონტაქტზე ვარ მოსახლეობასთან. არ ყოფილა დღე, გურჯაანის ცხოვრებით არ მეცხოვრა. სადაც კი ვყოფილვარ — პარლამენტის სესიებზე, საკომიტეტო მოსმენებზე თუ ევროპარლამენტის დარბაზებში, პირველი რიგის ამოცანად ჩემი გურჯაანელების საჭიროების, მათი მოთხოვნებისა და მოსაზრებების, მათი პრობლემებისა და გამოწვევების სწორი გადაწყვეტა მქონდა დასახული. **ჩემი უმთავრესი სურვილი იყო და არის, რომ გურჯაანის მუნიციპალიტეტი ევროპული ტიპის აგროტექნოლოგიურ მუნიციპალიტეტად ჩამოყალიბდეს.** ამ მიმართულებით ეფექტიანი ნაბიჯები გადავდგით. ბევრი რამ გაკეთდა. შეიცვალა ინფრასტრუქტურა და, რაც მთავარია, მიდგომები, როგორც ადგილობრივი თვითმმართველობის, ასევე მოსახლეობის მხრიდან. ვერ ვიტყვი, რომ ყველაფერი მოვახერხეთ, მაგრამ გურჯაანელები დამეთანხმებიან, რომ შრომა, გარჯა, მონდომება და ძალისხმევა არ დაგვიკლია ჩანაფიქრის განსახორციელებლად.

მუნიციპალიტეტში ამუშავდა არაერთი საწარმო, ტექნოპარკი, სავაჭრო ობიექტი. გვაქვს ახალი სკვერები, სკოლები, საბავშვო ბაღები... ეს ყველაფერი გურჯაანის გაზრდილი ბიუჯეტისა და რეგიონული თუ მუნიციპალური ფონდების 4-ჯერ გაზრდილი სახსრების, ასევე, კერძო ინვესტიციების არნახული რაოდენობით მოზიდვის შედეგია. მალე გვექნება საშუალება, გავაუმჯობესოთ და საბოლოოდ მოვაწესრიგოთ წყლით უზრუნველყოფის საკითხი, დავასრულოთ საგზაო და ინფრასტრუქტურული პროექტები და მივუახლოვდეთ ევროპულ სტანდარტებს.

**გურჯაანელები მშრომელი ხალხია. მათ ბუნებრივ ნიჭსა და უნარს უწინ უიმედობა და უპერსპექტივობა აბრკოლებდა. ერთობლივად მოვახერხეთ და დავძლიეთ. ბევრი ადგილობრივი მკვიდრი დაბრუნდა და ბევრიც დაბრუნდება საქმიანობის აქ გასაგრძელებლად. პროფესიული განათლების გაძლიერებით, ღვინისა და კულინარიის კოლეჯების გახსნით შევძლებთ მათ მხარში ამოდგომას.**

გურჯაანელები ამაყობენ, რომ უკვე საუკეთესო ღვინისა და კულინარიის საერთაშორისო ფესტივალებს მასპინძლობენ.

რთველი გურჯაანში აღარ არის მარტო ყურძნის მოსავლის მოწევა მხოლოდ სექტემბერ-ოქტომბერში. **ნაყოფიერების დიდი დღესასწაულია,** რომელიც იწყება მარწყვისა და კიტრი-პომიდვრის „რთველით“ მაისში, გრძელდება ზაფხულში ატმისა და ვაშლატამას მოსავლით, კენკროვანებისა და ბაღჩეულის მოყვანით, ადრე შემოდგომაზე ესტაფეტას გადასცემს ყურძენს და გვიან შემოდგომაზე სრულდება ხურმისა და კარალიოკის მოსავლის აღებით.

მევენახეობა და მეღვინეობა კახეთის ეკონომიკის ერთ-ერთი წამყვანი დარგი რომ არის, ცნობილია. დამატებით იმას გეტყვით, რომ **თუ 2012 წელს კახეთში 52 ათასი ტონა ყურძენი ჩაიბარეს, 2019 წელს — 278 ათასი ტონა, წლეულს ეს ნიშნული 300 ათას ტონას გადასცდა. ექვსჯერადი ზრდა, ალბათ, არც ერთ სფეროსა თუ დარგში არ ყოფილა.**

ხშირად მეკითხებიან: რამდენად კარგი ფასია რქაწითელზე დაწესებული? ჩემი პასუხი ერთმნიშვნელოვანია — ფასი მცირეა, მაგრამ სახელმწიფოს შესაძლებლობების ადეკვატურია. ტრადიციული დარგები უფრო უნდა განვითარდეს. სახელმწიფო ხელს შეუწყობს ფერმერებსა და კოოპერატივებს, კომპანიებსა თუ ცალკეულ მეურნეებს, მაგრამ ბიზნესმაც უნდა გამოიღოს ხელი და მოიძიოს ის ცენტრები, რომლებთანაც შეძლებს ორმხრივი სასარგებლო პარტნიორობის დამყარებას.

**ოთხ მუნიციპალიტეტში კანდიდატად დასახელება ჩემ მიმართ გამოხატული ნდობაა, რომელსაც უდიდესი პასუხისმგებლობა ახლავს. გურჯაანის მოდელი ახლა მთელ რეგიონზე უნდა გავავრცელოთ.**

**ვიყავი და ვარ ქვეყნის ერთი რიგითი ჯარისკაცი, რომლის სურვილიც ქვეყნის წარმატება და წინსვლაა. ნდობის გამოცხადება კი, ჩემი თვალსაზრისით, სამმა ფაქტორმა უნდა განაპირობოს: ჩემმა, როგორც დეპუტატის განვლილმა საქმიანობამ; გამოცდილებამ ევროინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარის პოსტზე და ოთხივე მუნიციპალიტეტში მოსახლეობის მხარდაჭერამ.**

## მაგარი ბიჭია ჩვენი დავითი

**მაშ, მოვუსმინოთ რიგით ამომრჩეველს, 65 წლის გურჯაანელ ქალბატონს — ნაზი ნინიძეს:**

— მაგარი ბიჭია ჩვენი დეპუტატი. გურჯაანს შეხედეთ, რა იყო 4 წლის წინათ და ახლა როგორი ფუსფუსი და მოძრაობაა ყველა მიმართულებით. ყველაზე ძალიან ის მახარებს, რომ ზრუნავს გურჯაანელ ახალგაზრდებზე. თავადაც ახალგაზრდა კაცია და მაგიტომაც უფრო კარგად ესმის მათი მოთხოვნებიც და გასაჭირიც.

სოფლის ერთ-ერთ შეხვედრაზე ჩვენმა გოგო-ბიჭებმა შესჩივლეს: ვერსად ვიკრიბებით, რომ იდეები გავცვალოთ, პროექტებზე ვიმუშაოთო. მაშინ 1 წლის არჩეული გვყავდა დეპუტატად და ახლა, 25 ოქტომბერს უკვე გაიხსნა ტექნოპარკი. მე დიდად ვერ ვერკვევი მაგათ ინოვაციებში, მაგრამ ახალგაზრდები რომ გახარებული არიან, ეგ კი ნამდვილად ვიცი და დიდი იმედიც მაქვს, რომ ბევრ ახალგაზრდას ეს ცენტრი განვითარებაში ნამდვილად დაეხმარება. ბატონი დავითის დამსახურებაა, რომ გურჯაანი მეღვინეობის მუნიციპალიტეტად გადაიქცა და ტურისტებისთვის მიზიდულობის ცენტრი გახდა, და კიდევ რამდენი გეგმა აქვს წინ. დარწმუნებული ვარ, მომავალი 4 წელი უფრო მეტი წინსვლისა და წარმატების იქნება ჩვენი მუნიციპალიტეტისთვის, ბატონი დავითის თაოსნობით, რა თქმა უნდა.

დავით სონღულაშვილს პირადად ვუთხარი და თქვენც გეტყვით: ხომ შეეძლო, რომ, მაგალითად, ფასადების გალამაზებით დაეწყო და ისეთი რაღაცები გაეკეთებინა, რაც უეჭველად მოგხვდებოდა თვალში, ასე — ერთჯერადად, მაგრამ ძირიდან დაიწყო, სახლს რომ აშენებ, ისე. თუ კარგი და მყარი საძირკველი არ ჩაუყარე, მალევე ჩამოგენგრევა. ახალგაზრდა კაცმა ჯერ საფუძველი მოუმზადა და შემდეგ დაიწყო ნელ-ნელა კედლების ამოყვანა. **ამის მაგალითია თუნდაც თბილისი-ბაკურციხე-თელავის ახალი შემოვლითი გზის მშენებლობა, რომელიც მნიშვნელოვნად შეამცირებს მგზავრობის დროს და იქნება უფრო უსაფრთხო. ველისციხის რეაბილიტაციის პროექტია კიდე ძალიან მნიშვნელოვანი თავისი თბილისი-კაკაბეთი-ჭერემი-ველისციხის დამაკავშირებელი და ზიარი-გურჯაანის გზების რეკონსტრუქციით, თავისი 50-ზე მეტი კულტურული მემკვიდრეობის სახლის რეაბილიტაციით, მარნებისა და თეატრის განახლებით, სკვერებისა და გზების მშენებლობით, გამწვანებითა და საკვირაო ბაზრობების კეთილმოწყობით.** ყველაზე მეტად მახარებს და მჯერა, რომ დავით სონღულაშვილი მომავალი 4 წლის განმავლობაში კიდევ უფრო მეტის გაკეთებას შეძლებს ჩვენი მუნიციპალიტეტისთვის.

* * *

თითქოს გუშინ იყო: კახეთში სადმე ერთი პატარა საწარმოც რომ ამუშავებულიყო, მხედრიონელები თავზე დაადგებოდნენ და იმხელა ღალას დაუწესებდნენ, რომ მეურნე წამოწყებულ საქმეზე ხელს ჩაიქნევდა — არ ღირდა მათ მიერ დადებული უღლის ნიშა ხარის ერთგულებით თრევა — „შემწერლების“ საკეთილდღეოდ დღე და ღამის გასწორება და წელში გაწყვეტა.

**დღეს სხვა დრო მეფობს, „სხვა ხალხის ისმის აქ ჟრიამული“. სიახლეთა დამკვიდრებისთვის მოღვაწე ახალ თაობას, რომლის ერთ-ერთ გამორჩეულ წარმომადგენელს — დავით სონღულაშვილს, მოდი, ვუსურვოთ გამარჯვება!**

**არმაზ სანებლიძე**
თბილისი – გურჯაანი – თბილისი

პალატა №6
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

ვიწყებთ მსოფლიოში უპრეცედენტო შოუს. ჩვენ პირველები ვართ, ვინც ფსიქიატრიული დაწესებულების პაციენტებს ღია ეთერში გასვლის საშუალებას ვაძლევთ და ამით საზოგადოებას დემოკრატიის უმაღლეს სტანდარტს ვთავაზობთ... ერთ-ერთ მათგანს, მიხეილ დაუოკებელს, რომელიც სამკურნალოდ საზღვარგარეთ იმყოფება, მაგრამ ფსიქიატრიული დაწესებულების წინამძღოლობაზე აქვს პრეტენზია, ჩვენ სკაიპით ჩავრთავთ.

# «ოქროს კვეთა»



## ვალერი კვარაცხელიას სატელევიზიო-საავტორო პროგრამის საგაზეთო ვერსია

### ოცდამეექვსე გადაცემა

**ვალერი კვარაცხელია: — გამარჯობა, ძვირფასო მაყურებელო, ეთერშია „ოქროს კვეთა“, რომელსაც, როგორც ყოველთვის, გავუძღვები მე, ვალერი კვარაცხელია. პატიებას ვითხოვ იმის გამო, რომ სატელევიზიო-საგაზეთო ჟანრს, რომელსაც თითქმის მთელი წელიწადია გთავაზობთ, დღევანდელ გამოშვებაში მხატვრული ლიტერატურის ნაწარმოებით ვანაცვლებ. კარსმომდგარი არჩევნების წინ, ვფიქრობ, ეს გამოხატვის მეტ საშუალებას მომცემს...**

# სახიფათო არჩევნები



ფსიქიატრიულ საავადმყოფოში სანიმუშო წესრიგი არასოდეს ყოფილა, მაგრამ ბოლო პერიოდში ვითარება განსაკუთრებით დაიძაბა. ავადმყოფთა უკმაყოფილების ტრადიციული ნუსხა, რომელიც კვებით, სისუფთავითა და მკურნალობის ხარისხით შემოიფარგლებოდა, ახლა ავადმყოფებისადმი სამედიცინო და ადმინისტრაციული პერსონალის მოპყრობის საკითხით შეივსო. პაციენტებში წარამარა გაისმოდა სიტყვები — დემოკრატია და ლიბერალიზმი.

მთავარმა ექიმმა, მსოფლიოში ცნობილმა ფსიქიატრმა ალექსანდრე სავანელმა, რომელიც საკითხებისადმი ნოვაციური მიდგომებით იყო ცნობილი, შექმნილი ვითარებისთვის ფეხის აწყობა ექსპერიმენტით სცადა. მან განაცხადა, რომ საავადმყოფოს მართვას, დირექციასთან ერთად, ამიერიდან პაციენტების მიერ არჩეული წინამძღოლიც განახორციელებდა. არჩევნების დღეც დანიშნა — შემოდგომის მეორე თვის ბოლო დღე.

საავადმყოფოში წინასაარჩევნო ციებ-ცხელება დაიწყო და აქამდე მოსაწყენი ცხოვრება ერთბაშად დინამიკური და სახალისო გახდა.

პროფესორმა სავანელმა მისი ახალი ექსპერიმენტის შესახებ ფსიქიატრთა საერთაშორისო ორგანიზაციასა და მსოფლიოს ყველა წამყვან ფსიქიატრიულ დაწესებულებას აცნობა...

კანდიდატთა დასახელების დღეც დადგა. სააქტო დარბაზთან ზოლებიან პიჟამოებში გამოწყობილი პაციენტები, თეთრხალათიანი ექიმები და საგანგებო სამსახურის თანამშრომლები ირეოდნენ. ბოლოს მთავარი ფსიქიატრიც გამოჩნდა და ყველა შესასვლელს მიაწყდა. მოზრდილი დარბაზი, რომელიც დღეიდან საარჩევნო შტაბად უნდა გადაკეთებულიყო, ცოტა ხანში შეივსო. ალექსანდრე სავანელი სცენაზე ავიდა და მუქნაჭერგადაფარებულ გრძელ მაგიდასთან ცენტრალური ადგილი დაიკავა.

— ქალბატონებო და ბატონებო, — სიბერეშეპარული ხმით დაიწყო მან, — ძვირფასო პაციენტებო, ექიმებო, მედდებო და მომვლელებო, ჩვენი დაწესებულება იწყებს უნიკალურ ექსპერიმენტს, რომელიც წინამძღოლის პირდაპირი და ფარული არჩევის გზით დაწესებულების მართვაში პაციენტთა სრულუფლებიანი მონაწილეობის პირობებს შექმნის. არჩევნების ორგანიზებულად ჩატარების შემთხვევაში, ჩვენი დაწესებულება პირველი იქნება მსოფლიოში, რომლის მმართველობა დემოკრატიისა და ლიბერალიზმის უმაღლესი სტანდარტით განხორციელდება.

დარბაზში ტაშმა იფეთქა, ალაგ-ალაგ სტვენა და შეკივლებაც გაისმა. სპეციალური ხალათებით შეიარაღებული საგანგებო სამსახურის თანამშრომლები დაიძაბნენ.

— სიტყვით გამოსვლა ვის სურს? — იკითხა პროფესორმა. რამდენიმე პაციენტმა ხელი აწია.

— ქალბატონო მარიამ, მობრძანდით! — ხაზგასმული მოწიწებით წარმოთქვა მთავარმა ფსიქიატრმა და სიტყვის წარმოთქმის მსურველთა შორის ერთადერთ მანდილოსანს ანიშნა, ტრიბუნასთან მისულიყო. მფრთხალი გამომეტყველების, გამხდარი, ჭაღარათმიანი ქალი წამოდგა და სცენისკენ გაემართა. მაღალი იყო. მიუხედავად სოლიდური ასაკისა, მხრებში გამართული მიაბიჯებდა. პაციენტებისთვის განკუთვნილი ნაკლებადლაზათიანი ფორმაც ვერ მალავდა მის კარგ აღნაგობას. სცენაზე ავიდა, ტრიბუნასთან დადგა. ჭაღარა თმების, თეთრი პირისახისა და მუქი თვალების კონტრასტი სანდომიან გამომეტყველებას ქმნიდა.

— მე გიჟი არ ვარ! — მშვიდად წარმოთქვა ქალმა და არაჩვეულებრივად კეთილი ღიმილით გაიღიმა. წამიერად გაიელვა მიჯრით მიწყობილ კბილთა სითეთრემ. — მე, უბრალოდ, არ მესმის საზოგადოების და საზოგადოებას არ ესმის ჩემი... სულ ეს არის. სამაგიეროდ, ამათი მესმის, ამ გიჟების. ამათაც ესმით ჩემი. საზოგადოებას ისინი არაადეკვატურ და ასოციალურ ფენად მიაჩნია, მე კი მათში თავისუფალ პიროვნებებს ვხედავ. მე ვიქნები მათი წინამძღოლი. მე მათ დროშას დავიჭერ ხელში, რომელსაც ადამიანის სულის ფერი აქვს და ჭეშმარიტი თავისუფლებისკენ გვიხმობს. მე მომეცით ხმა! — მოუწოდა მან დარბაზს და ტრიბუნიდან ჩამოვიდა.

— მე მომეცით ხმა! — თითქოს მარიამს გამოაჯავრაო, წამოიძახა ვიღაცამ ადგილიდან. მთავარმა ფსიქიატრმა მარჯვენა ხელის საჩვენებელი თითი მიკროფონზე დააკაკუნა, რითაც დარბაზს სიწყნარისკენ მოუწოდა, მაგრამ ამან რატომღაც უარყოფითი ეფექტი იქონია. დარბაზი ერთბაშად ახმაურდა და აჩოჩქოლდა.

— მე მომეცით ხმა!

— მე მომეცით ხმა! — გაჰყვიროდნენ ყოველი კუთხიდან და იატაკზე ფეხებს აბაკუნებდნენ.

მთავარი ფსიქიატრი მთელი ხმით ჩასძახოდა მიკროფონს და დარბაზს სიმშვიდისკენ მოუწოდებდა, მაგრამ მისი აღარავის ესმოდა. გალიზიანებული პაციენტები მექანიკურად გაჰყვიროდნენ, — მე მომეცით ხმა!

ვიღაც ფანჯრის რაფაზე შემოსკუპდა, ვიღაცამ სავარძლებზე დაიწყო სირბილი, ვიღაცამ საიდანღაც ქაღალდების დასტა გამოათრია და ჰაერში მიმოფანტა. ვიღაც სცენაზე აიჭრა და ტრიბუნა წააქცია, ვიღაცამ ფარდები ჩამოგლიჯა, ვიღაცამ შიშველი ხელებით ფანჯრის შუშები ჩალეწა, მერე დასისხლიანებული მკლავები სახეზე აიფარა და არაადამიანური ხმით აღრიალდა... და აქ მოხდა ის, რასაც იქ მყოფთა შორის ვერავინ წარმოიდგენდა. ბოლო რიგში, კუთხეში მჯდომი ახალგაზრდა დაკუნთული მამაკაცი, რომელიც აქამდე ჩუმად იყო, წამოდგა, აბობოქრებული ხალხის ტალღა გაარღვია, სცენაზე ავიდა, მთავარი ფსიქიატრის გვერდით დაჯდა, მიკროფონი თავისკენ მიაბრუნა და მთელი ხმით ჩასძახა:

— სიჩუმე იყოს!

და... ჰოი, საოცრებავ, დარბაზი გაირინდა. ყოველი მათგანი იმ პოზაში გაშეშდა, რომელშიც ამ ჯადოსნურმა სიტყვებმა მიუსწრო. ზოგს ორივე ხელი მაღლა აეშვირა, თავი უკან გადაეწია, თითქოს ფართოდ დაღებული პირიდან საშინელი ღრიალი უნდა ამოუშვასო; ზოგი წელში მოხრილი იდგა, თითქოს იატაკზე დაგდებული რომელიღაც საგანი უნდა აიღოსო. ეს ყველაფერი თეატრალურ სცენას ჰგავდა, რეჟისორის ჩანაფიქრის შესაბამისად ერთბაშად გაყინულს, გაქვავებულს, გამოქანდაკებულს...

დაკუნთული ახალგაზრდა, რომელმაც ასე დიდი გავლენა იქონია დარბაზზე, მთელი ტანით წამოიმართა, მძიმე მუშტი მაგიდაზე მოწყვეტით დაახეთქა და მქუხარე ხმით დაიგრგვინა:

— მე ვარ წინამძღოლი!

გაშეშებულ დარბაზში არავინ განძრეულა, არც სიჩუმე დაურღვევია ვინმეს, სანამ მან, ვისაც ჩამსხვრეული მინისგან დაჭრილ-დასისხლიანებული მკლავები სახეზე ჰქონდა აფარებული, ხელები ძირს არ ჩამოუშვა, სისხლით მოთხვრილი სახე დაკუნთული ყმაწვილისკენ არ მიაბრუნა და შიშჩამდგარი თვალებით არ შეათვალიერა.

ის თეატრალური გაშეშება, ის რეჟისორული სიჩუმე, დარბაზში რომ დაესადგურებინა, ამ დასისხლიანებული და მეტისმეტად შეჭირვებული ადამიანის გულის სიღრმიდან ამოხეთქილმა შეძახილმა გაჰკვეთა:

— წინამძღოლს გაუმარჯოს!

სამშობლოს სიყვარულით გულანთებულ ახალგაზრდებს თითქოს მამულის დასაცავი მძიმე ბრძოლებისკენ უხმესო, დარბაზი ლამის დაანგრია თავისუფლებამოწყურებული და უკიდეგანო დარდისგან გამოხრული ადამიანების შეძახილმა:

— წინამძღოლს გაუმარჯოოოს!

მთავარი ფსიქიატრი წამოდგა და, ცოტა ხნის დუმილის შემდეგ, როდესაც დარბაზი ოდნავ დაცხრა, ხმამაღლა და გამოკვეთილად გამოაცხადა:

— თუ საერთო სურვილია, რომ ბატონი ოთარ კანდელაკი იყოს თქვენი წინამძღოლი, მოდი, იგი ოფიციალურ კანდიდატად დავასახელოთ, თანახმა ხართ?

— თანახმა ვართ!

— თანახმა ვართ!

გუგუნებდა დარბაზი ყოველი კუთხიდან.

— ესენი მე მიჭერენ მხარს! — გაისმა ამ დროს მარიამის ხმა, რომელიც წამოდგა და მის გვერდით მსხდომ პაციენტებზე მიანიშნა.

— ჩვენ მარიამს ვუჭერთ მხარს...

— მარიამი გვინდა წინამძღოლად! — აყაყანდნენ მარიამის ირგვლივ მსხდომნი.

— მაშინ ქალბატონ მარიამ სხირტლაძის კანდიდატად დასახელებასაც ვუყაროთ კენჭი! — თქვა კრების თავმჯდომარემ და დარბაზს შეეკითხა:

— თანახმა ხართ?

— თანახმა ვართ! — კვლავ აგუგუნდა დარბაზი, რომელიც წამის წინ სხვა კანდიდატის მიმართ მხარდაჭერას გამოხატავდა ერთხმად.

— მაშ ასე, ჩვენი ფსიქიატრიული დაწესებულების წინამძღოლის თანამდებობაზე ასარჩევ კანდიდატებად ოფიციალურად დასახელებულნი არიან დაწესებულების პაციენტები — ოთარ კანდელაკი და მარიამ სხირტლაძე. ხვალიდან ამ დარბაზში ორივე კანდიდატის საარჩევნო შტაბი იმუშავებს! — დაასკვნა თავმჯდომარემ და კრება დახურულად გამოაცხადა.

მეორე დღეს, დილიდანვე, ორივე კანდიდატის მომხრეები სააქტო დარბაზისკენ დაიძრნენ, მაგრამ ცენტრალურ შესასვლელთან მდებარე ვესტიბიულში იატაკზე მსხდომი პაციენტების ჯგუფი დახვდათ გაშლილი ტრანსპარანტებით:

ძირს ფალსიფიცირებული არჩევნები!

ჩვენ მოვითხოვთ დემოკრატიას!

ნუ გვართმევთ გამოხატვის უფლებას!

— რა ხდება, რაშია საქმე? — იკითხეს კანდელაკისა და სხირტლაძის მხარდამჭერებმა.

— გუშინ ალექსანდრე სავანელის მიერ მოწყობილი პოლიტიკური სპექტაკლის გამო, რომელმაც შელახა დაწესებულების პაციენტთა სამართლიანი ინტერესები, ჩვენ უვადო შიმშილობა გამოვაცხადეთ, — შავი თვალების ბრიალითა და თითების კრუნჩხვით წარმოთქვა გოგონამ, რომელიც ზედ კართან საკმაოდ შელანძღულ, ზოლებიან ლეიბზე იწვა და ზემოდან კუბოკრული, გახუნებული პლედი ჰქონდა გადაფარებული.

— რომელი უფლებები, რაზეა საუბარი? — იკითხეს დაბნეულმა მხარდამჭერებმა.

— ჩვენ შევისწავლეთ გუშინ დასახელებული კანდიდატების ბიოგრაფიები. ისინი აბსოლუტურად არ შეეფერებიან წინამძღოლის სტატუსს. ბატონი ოთარ კანდელაკი სანამ ფსიქიატრიულ დაწესებულებაში მოხვდებოდა, ხულიგნობისთვის იხდიდა სასჯელს შრომაგასწორებით კოლონიაში. რაც შეეხება ქალბატონ მარიამს, საბჭოთა პერიოდში იგი კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტში მუშაობდა აგიტაციისა და პროპაგანდის განყოფილებაში. გვაქვს გონივრული ეჭვი, რომ ეს ქალბატონი ჩვენს დაწესებულებაში რუსეთის უშიშროების სამსახურის მიერ საჯაშუშოდ არის შემოგზავნილი. უფრო მნიშვნელოვანი კი ისაა, რომ მარიამ სხირტლაძე საერთოდ არ არის ჩვენი პაციენტი. ფსიქიატრიის თვალსაზრისით, იგი სრულიად ჯანმრთელი ადამიანია. გესმით, რა მასშტაბისაა ცინიზმი, რომელსაც დაწესებულების ხელმძღვანელობა ჩვენ მიმართ იჩენს? თითქოს ჩვენი პრობლემები გვაკლდეს, ჯანმრთელ ადამიანებს გვაპარებენ. იმას კი არად დაგიდევენ, რა ▶

**მთავარი ექიმის კაბინეტი რამდენიმე წამში ჯოჯოხეთს დაემსგავსა. ოთახში შემოჭრილებმა ტელეკამერები წააქციეს, სახელდახელოდ დამონტაჟებული მოწყობილობები მიანგრ-მოანგრიეს და გადაცემის მონაწილეებს დაესხნენ თავს. ოთარ კანდელაკი რამდენიმეს გაუსწორდა, მაგრამ ისინი ბევრნი და აგრესიულები იყვნენ. ცოტა ხანში ყველა ყველას წინააღმდეგ იბრძოდა. თავპირდამტვრეული და დასისხლიანებული ადამიანები, გაშმაგებულნი და გამძვინვარებულნი, დაუნდობლად უშენდნენ ერთმანეთს, რაც ხელში მოჰყვებოდათ.**

# პალატა №6

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ მძიმეა ჩვენთვის ჯანმრთელი ფსიქიკის მქონე ადამიანის გვერდით ყოფნა. ჩვენ ჩვენი კანდიდატი გვყავს, ფსიქიკურად გაუწონასწორებელი ადამიანი, რომლის სრულ სიგიჟეში ვერც ერთი ფსიქიატრი ეჭვს ვერ შეიტანს — მიხეილ დაუოკებელი. ბატონი მიხეილი ამჟამად, მართალია, საზღვარგარეთ იმყოფება, მაგრამ იგი ჩვენი ფსიქიატრიული დაწესებულების სტაჟიანი პაციენტია. მას სუფთა ბიოგრაფია აქვს. მიხეილი ნამდვილი გიჟია, გენეტიკური გიჟი. მსოფლიო რომ შემოიაროთ, მისნაირ ბაჟაღლო გიჟს ვერსად იპოვით. აი, ვინ უნდა იყოს ჩვენი წინამძღოლი!

ამ მომენტში ოთარ კანდელაკიც გამოჩნდა, შავთვალა გოგონას თავზე დაადგა და აგდებით უთხრა:

— აბა, ჩქარა ადექი და ამ შენს გიჟებთან ერთად აქედან ისე დაიკარგე, არჩევნებამდე თვალი არსად მოგკრა! გესმის?

— მესმის, — ნახშირივით შავი თვალები ქვემოდან ამოჰყურებდა ზორბა და დაკუნთულ კანდიდატს, — ვდგები.

გოგონამ კუბოკრული პლედი გადაიძრო, დიდი ზომის ზოლებიან პიჟამოშიც ჩანდა, რომ არაბუნებრივად გამხდარ-გამოფიტული სხეული ჰქონდა. სახითაც საშინლად გამხდარი იყო. ღრმა ფოსოები და ჩაცვენილი ლოყები ისეთ შთაბეჭდილებას ახდენდა, თითქოს ადამიანის სახე კი არა, ცარიელი თვალები გიყურებდა — ჩაშავებულუპეებიანი, უზარმაზარი, შავი და გამჭოლი თვალები, რომლებსაც ნებისმიერ დროს შეეძლოთ ადამიანის გაბურღვა.

— ავდექი. ახლა რა ვქნა? — თავაზიანად ჰკითხა მან მომხდურს.

— ხომ გითხარი, ამ შენ გიჟებთან ერთად აქედან უნდა დაიკარგო! — იყო პასუხი.

— ეაოუუუ... — უცებ აღმოხდა გოგონას უსაშინელესი ხმა ყველა იმ ხმათა შორის, რომელიც კანდელაკის ყურს ოდესმე სმენოდა. მან ელვის სისწრაფით ისკუპა და მოწინააღმდეგეს ფოცხვერივით შეაფრინდა მკერდზე. გრძელი და დაკრუნჩხული თითებით, რომლებიც დანასავით წაწვეტებული ფრჩხილებით მთავრდებოდა, სახე თვალის დახამხამებაში ჩამოჰკაწრა, მერე ყელში სწვდა, კბილებით ცხვირზე ჩააფრინდა და საზარლად აღმუვლებული მსხვერპლი ძირს დასცა. დაკრუნჩხულ თითებს თანდათან უჭერდა ყელზე, სანამ ოთხივე კიდურით აფართხალებულმა მსხვერპლმა თვალები არ გადმოკარკლა და ხროტინი არ დაიწყო.

აქ კი ამოქმედდნენ საგანგებო სამსახურის თანამშრომლები, რომლებმაც გააფთრებული პაციენტი მსხვერპლს მოაცილეს, სპეციალური ხალათი ჩააცვეს და შეჰკრეს.

ალექსანდრე სავანელის „დემოკრატია და ლიბერალიზმი“ იქამდე კიოდა და ფართხალებდა გიჟის ხალათში, სანამ მოზრდილი ნემსი არ უთავაზეს ლამის მიმხმარ დუნდულში. სახეჩამოფლეთილი და სიმწრისგან აზღავლებული კანდელაკი სხვა ხალათით შეჰკრეს და, მძიმე გამაყუჩებლით მოთენთილს, სახეზე ღრმა იარების დამუშავება დაუწყეს. მთავარი ფსიქიატრი, მართალია, ნერვიულობდა, მაგრამ თავს იმით იმშვიდებდა, რომ თანდათანობით ყველაფერი ნამდვილ არჩევნებს ემსგავსებოდა...

საავადმყოფო დარბაზის შესასვლელთან მოშიმშილეთა რაოდენობა დღითიდღე იზრდებოდა. საარჩევნო შტაბში არავის უშვებდნენ, ამიტომ ოფიციალური კანდიდატების მხარდამჭერები ხან სად იკრიბებოდნენ, ხან სად... მკურნალობის პროცესი მოიშალა. არავის ახსოვდა ექიმი... პაციენტი... წამალი... ყველა საარჩევნო ციებ-ცხელებით იყო შეპყრობილი.

ფსიქიატრიულ დაწესებულებაში მიმდინარე პროცესებით ჟურნალისტები დაინტერესდნენ. ერთ-ერთი ტელე-



არხის ხელმძღვანელმა არჩევნებში მონაწილე კანდიდატთა შორის ტელედებატების გამართვა გადაწყვიტა. გადაცემას მთელი კვირის განმავლობაში რეკლამა უძღვოდა, რადგან ამ გადაცემაზე ამყარებდნენ ტელეარხის დაღმა მიმავალი რეიტინგის ამოქაჩვის იმედს. მთელმა ქვეყანამ გაიგო, რომ ტელევიზიით გიჟები უნდა გამოეყვანათ და ეს ამბავი ყველას ახალისებდა.

ალექსანდრე სავანელმა გადაცემის დაწყებამდე კანდიდატებთან შეხვედრა გამართა. მთავარ ფსიქიატრთან შეხვედრაზე, მიუხედავად იმისა, რომ ოფიციალურ კანდიდატად არ იყო დასახელებული, მიხეილ დაუოკებელის წარმომადგენელიც დაუშვეს — ის გოგონა, რომელმაც ოთარ კანდელაკი დაკბინა. სავანელმა ისინი თავის კაბინეტში მიიწვია, სათითაოდ მიესალმა, სკამი შესთავაზა და წინასაარჩევნო განწყობილების შესახებ შეკითხვა დაუსვა. შეკითხვის პასუხად მარიამის ოდნავ ხელოვნური კისკისი გაისმა.

— ხომ გაიგეთ, მე თურმე გიჟი არ ვყოფილვარ, — კისკისებდა და ხაზგასმულად კეკლუცობდა, — გიჟი არ არისო, წარმოგიდგენიათ?!

— დამშვიდდით, ქალბატონო მარიამ, რაც არ უნდა ილაპარაკონ, ფაქტია, რომ ყოველ ადამიანში არის შიზოფრენიის მსუბუქი მუხტი, — თქვა მთავარმა ფსიქიატრმა, მაგრამ მცირეოდენი დაფიქრების მერე ეს სამეცნიერო ტერმინი ჩვეულებრივი, ხალხური ლექსიკით ჩაანაცვლა, — ჩვენ ყველანი გიჟები ვართ, ნამდვილი გიჟები.

შემდეგ მიხეილ დაუოკებლის წარმომადგენელს მიუბრუნდა:

— ბატონ მიხეილის კანდიდატურის დაყენებას თუ აპირებდით, რატომ არ გვითხარით, ჩვენ ამას მიღებული წესის შესაბამისად, ოფიციალურად გავაფორმებდით.

— ბატონი მიხეილი არასოდეს იქცევა წესების შესაბამისად, იგი ყველაფერს რევოლუციურად წყვეტს, — თქვა გოგონამ.

— ყველაფერი კარგად იქნება, — ხმადაბლა ჩაილაპარაკა სავანელმა. — ტელევიზიისთვის ხომ ემზადებით, საღამოს გადამღები ჯგუფი მოვა.

— კი, ვემზადები, — კვლავ აკისკისდა მარიამი, — თეთრ კაბას ჩავიცვამ, თმებში გვირილები მექნება ჩაწნული.

— კარგია, — მოუწონა სავანელმა.

მარიამმა სიცილ-კისკისი ერთბაშად შეწყვიტა, უცებ მოიწყინა და ცრემლები გადმოყარა.

— უმრავლესობა გიჟები ვართ, მაგრამ მაინც გვავიწროვებენ, ბატონო ალექსანდრე, გვამცირებენ და გვტანჯავენ, — წუხდა იგი და ცრემლები ღაპაღუპით ჩამოსდიოდა.

— ვინ, ქალბატონო მარიამ, ვინ გტანჯავთ გიჟებს? — მზრუნველი ხმით ჰკითხა ექიმმა.

— ნორმალური უმცირესობა, — ცრემლებს ყლაპავდა ჩაგრული უმრავლესობის წარმომადგენელი.

— შენც ხომ ემზადები სატელევიზიო გადაცემისთვის? — კანდელაკისკენ შებრუნდა ფსიქიატრი. ოთარი ლეიკოპლასტირით დაფარულ ნაიარევებზე კარგახანს ისვამდა თითებს, მერე კი დასმულ შეკითხვას ასე უპასუხა.

— მოვკლავ!

— ბოდიშს მოვახდევინებ, — შეჰპირდა სავანელი.

— კარგი, — დათანხმდა ოთარი.

— ვერ ეღირსებით! — კბილებში გამოსცრა მიხეილ დაუოკებლის წარმომადგენელმა.

— ჩვენ გიჟები ვართ, ტელევიზიით ვინ გამოგვიყვანს?! — მარიამმა ეჭვქვეშ დააყენა სატელევიზიო გადაცემის რეალურობა.

— იყავით გიჟები, ვინ გიშლით, მაგრამ მოიქეცით ისე, როგორც ნორმალურები იქცევიან! — დაარიგა მთავარმა ფსიქიატრმა.

ტელევიზიიდან მოსული გადამღები ჯგუფის წევრებმა მთავარი ფსიქიატრის სამუშაო კაბინეტი დროებით სტუდიად გადააკეთეს. ავეჯი გადააადგილეს, ოთახის შუაში სავარძლები განათავსეს, გასანათებელი მოწყობილობები დააყენეს, კამერები დაამონტაჟეს, გადაცემის გრიმწასმული მონაწილეები სტუდიაში დასვეს და ეთერი ჩართეს.

წამყვანმა, ბლანჟემოშვებულმა ახალგაზრდამ, რომელიც თვალებს ჩვეულებრივზე ხშირად ახამხამებდა და სახიდან გაკვირვებული კაცის გამომეტყველებას ვერ იცილებდა, ასეთი შესავალი გააკეთა:

— საღამო მშვიდობისა, ვიწყებთ მსოფლიოში უპრეცედენტო შოუს. ჩვენ პირველები ვართ, ვინც ფსიქიატრიული დაწესებულების პაციენტებს ღია ეთერში გასვლის საშუალებას ვაძლევთ და ამით საზოგადოებას დემოკრატიის უმაღლეს სტანდარტს ვთავაზობთ... ერთ-ერთ მათგანს, მიხეილ დაუოკებელს, რომელიც სამკურნალოდ საზღვარგარეთ იმყოფება, მაგრამ ფსიქიატრიული დაწესებულების წინამძღოლობაზე აქვს პრეტენზია, ჩვენ სკაიპით ჩავრთავთ.

რეჟისორმა კადრში მიხეილ დაუოკებლის გამოსახულება აჩვენა, რომელიც პირაქაფებული ლაპარაკობდა, მაგრამ ხმა არ ისმოდა. სახე ცხენივით ჩამოგრძელებოდა და ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, თითქოს გამწარებული ლაგამს ღრღნიდა.

ოთარ კანდელაკმა წამყვანს სიტყვის დამთავრება არ აცალა, წამოხტა, მასთან მიიჭრა და პიჯაკზე მიმაგრებულ მიკროფონზე წაეპოტინა. წამყვანმა მოგერიება იმით სცადა, რომ ანიშნა, ასეთივე მიკროფონი თქვენც გიკეთიათო. კანდელაკმა მკერდზე დაიხედა, შემდეგ მიკროფონი მოიგლიჯა, პირთან ახლოს მიიტანა და ხმამაღლა ალაპარაკდა.

— გიჟებს გაუმარჯოს, ყველაზე დიდ სიმართლეს გიჟები ამბობენ, — მერე კოლეგებს გადახედა, — ასე არ არის? — გიჟებმა თავის კანტურით დაუდასტურეს ნათქვამი. — ჰოდა, მე გეტყვით ყველაზე დიდ სიმართლეს. ჩვენ შეიძლება, გიჟები ვართ, მაგრამ ეს ყველაზე ნაკლები პრობლემაა. უბედურება ის არის, რომ ჩვენ დამნაშავეები ვართ. ყველა, მთელი საზოგადოება, მატყუარა და დამნაშავე ადამიანებად ჩამოვყალიბდით. მთელი ჩვენი ცხოვრების წესი დანაშაულებრივია.

შემდეგ აქეთ-იქით ყურება დაიწყო, თვალი ერთ-ერთ ტელეკამერას დაადგა, მისკენ რამდენიმე ნაბიჯი გადადგა და მაშინ შეჩერდა, როდესაც მისი პორტრეტი ეკრანზე მსხვილი ხედით გამოისახა.

— არჩევნებიც, რომელსაც ამ დღეებში ჩავატარებთ, დანაშაულებრივია, რადგან იგი ვერ იქნება ხალხის ნების გამომხატველი, გესმით?!

— გათიშეთ ეთერი! — ჩასჩურჩულა გადაცემის პროდიუსერმა რეჟისორს, მაგრამ ეს უკვე აღარ იყო საჭირო, ვინაიდან სწორედ ამ დროს შემოანგრია კარი დაწესებულების ყველაზე აგრესიულმა დაჯგუფებამ, რომელიც წინამძღოლობის კანდიდატებს სავანელთან სამარცხვინო გარიგებაში, უცხოურ სპეცსამსახურებთან თანამშრომლობასა და, საბოლოო ჯამში, როგორც თვითონ ამბობდნენ, კოლაბორაციონიზმში ამხელდა.

მთავარი ექიმის კაბინეტი რამდენიმე წამში ჯოჯოხეთს დაემსგავსა. ოთახში შემოჭრილებმა ტელეკამერები წააქციეს, სახელდახელოდ დამონტაჟებული მოწყობილობები მიანგრ-მოანგრიეს და გადაცემის მონაწილეებს დაესხნენ თავს. ოთარ კანდელაკი რამდენიმეს გაუსწორდა, მაგრამ ისინი ბევრნი და აგრესიულები იყვნენ. ცოტა ხანში ყველა ყველას წინააღმდეგ იბრძოდა. თავპირდამტვრეული და დასისხლიანებული ადამიანები, გაშმაგებულნი და გამძვინვარებულნი, დაუნდობლად უშენდნენ ერთმანეთს, რაც ხელში მოჰყვებოდათ. საგანგებო სამსახურის თანამშრომლები ცდილობდნენ აგრესიული ავადმყოფების განეიტრალებას, მაგრამ არაფერი გამოსდიოდათ. წაქცეული გასანათებელი მოწყობილობებისგან, რომლებიც იატაკსა და ხალიჩებზე ეყარა, ცოტა ხანში ხანძარმა იფეთქა...

ყველა გასასვლელს მიაწყდა. დაიწყო ზედახორა. თვითგადარჩენის ინსტინქტით აღძრულმა ადამიანებმა ერთმანეთი გადათელეს. ხანძარი მთელ შენობაში გავრცელდა. ყველა სართულზე, ყველა კარიდან და ყველა ფანჯრიდან ცეცხლის ალმა გამოყო ენა... უბედურებაში მოყოლილი ადამიანების წივილ-კივილსა და გმინვა-კვნესას ფსიქიატრიული დაწესებულების შენობასთან მობილიზებული სახანძრო და სასწრაფო დახმარების მანქანების სირენის გამაყრუებელი ხმაც ვერ ახშობდა...

სასწრაფოდ შექმნილმა სპეციალურმა კომისიამ ფსიქიატრიულ დაწესებულებაში დატრიალებული ტრაგედიის შედეგად სახელმწიფოსთვის მიყენებული მატერიალური ზარალის ოდენობაც და დაღუპულ და დასახიჩრებულ პირთა ვინაობაც მესამე დღეს გამოაქვეყნა. გაირკვა, რომ ოთარ კანდელაკი თავში ბლაგვი საგნის ჩარტყმით დაიღუპა, მარიამ სხირტლაძე რაღაც სასწაულით გადარჩენილა და, უმძიმეს დეპრესიაში ჩავარდნილი, ქალაქის რომელიღაც კლინიკაში მოხვედრილა, ხოლო მიხეილ დაუოკებლის წარმომადგენელი შავთვალა გოგონა მთავარ ფსიქიატრ ალექსანდრე სავანელს მისი ფიზიკური განადგურების მიზნით დასხმია თავს, მაგრამ ორთაბრძოლაში პროფესორს გოგონა სასიკვდილოდ დაუჭრია, თვითონ კი საზღვრის გადალახვა და ქვეყნიდან გადახვეწა მოუსწრია.

ტრაგედიიდან რამდენიმე დღის გასვლის შემდეგ პრესაში ფსიქიატრთა საერთაშორისო ასოციაციის ოფიციალური განცხადებაც გამოქვეყნდა, სადაც ნათქვამი იყო, რომ მოუმზადებელ გარემოში დემოკრატიული არჩევნების ჩატარება სახიფათოა.

**ვალერი კვარაცხელია**

**P. S. რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინის მიერ გასულ კვირას ნათქვამი ორი წინადადება პირდაპირ მეტყველებს იმაზე, თუ რა რთულ და სახიფათო ფაზაში შედის მსოფლიო:**

**1. ჟურნალისტის შეკითხვაზე, შესაძლებელია თუ არა რუსეთსა და ჩინეთს შორის სამხედრო კავშირი, პუტინმა უპასუხა: „Мы в общем в этом не нуждаемся, но теоретически вполне можно себе такое представить“.**

**2. „Тревожный фон усиливает ощущение, что мы не просто на пороге кардинальных перемен, а эпохи тектонических сдвигов“.**

**ტექტონური ძვრები მცირერიცხოვანი ერებისთვის, რა თქმა უნდა, ეგზისტენციურ მნიშვნელობას შეიძენს, ანუ ყოველ მათგანს ყოფნა-არყოფნის წინაშე დააყენებს. ჩვენ კი... თუმცა, ჩვენ ჯერ არჩევნები გვაქვს ჩასატარებელი. მშვიდობიან არჩევნებს გისურვებთ!**

**ვ. კ.**

ხმა ბერისა
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ამ ყურმოჭრილ ხელისუფლებას ვურჩევ, ჩავიდეს ისრაელში და ნახოს, რა ხდება სოდომისა და გომორას მიწაზე. დღესაც ცეცხლი უკიდია იქაუროზას. ეს ისეთი საშინელი ცოდვაა, რომ დაიფერფლა ყველაფერი და დღესაც, ამდენი საუკუნის შემდეგ იმ მიწას ისევ კვამლი ასდის“.**



## მამა გიორგი (რაზმაძე):

# არჩევნების შემდეგ დაიწყებენ საკანონმდებლო ცვლილებების ახალ ტალღას, რომელიც საქართველოს ლიბერალიზაციის კულმინაცია იქნება

**რომის პაპი ფრანცისკე მსოფლიოში ერთი და იმავე სქესის პირთა შორის ე.წ. სამოქალაქო პარტნიორობის დაკანონებას უკვე დაუფარავად ემხრობა. ებრაული წარმოშობის ამერიკელი რეჟისორის, ევგენი აფინეევსკის, მიერ ახლახან გადაღებულ ბიოგრაფიულ ფილმ „ფრანჩესკოში“ პონტიფიკი ამბობს: „ერთი და იმავე სქესის ადამიანებს აქვთ უფლება, ოჯახში იყვნენ. ისინი ღვთის შვილები არიან და მათ ოჯახის შექმნის უფლება აქვთ. ამის გამო არავინ არ უნდა გააუბედურონ...“ „ის, რაც ჩვენ უნდა შევქმნათ, არის სამოქალაქო კავშირის კანონი. ამ გზით ისინი იურიდიულად დაცულნი იქნებიან. მე ამას მხარს ვუჭერდი...“ ფილმში ასევე მოყვანილია კონკრეტული მაგალითი, როგორ დაეხმარა პაპი ორ იტალიელ მამაკაცს ოჯახის შექმნაში და ურჩია მათ, შვილები ეკლესიის მრევლად აღეზარდათ. ამით წარმოაჩენენ, როგორი უნდა იყოს დღეს ჭეშმარიტი ქრისტიანი, ნამდვილი მორწმუნე და შემწყნარებელი მრევლი, რომელიც ადამიანებს ერთმანეთისგან არ განასხვავებს, მათ შორის არც სექსუალური ორიენტაციის ნიშნით. აფინეევსკის ფილმი რომის კინოფესტივალზე უკვე აჩვენეს.**



რომის პაპი ხელზე კოცნის დევიდ როკფელერს. იქვე დგანან ჰენრი კისინჯერი და ჯონ როტშილდი

**ცნობისთვის:** პაპის მოწოდების შემდეგ უცხოეთიდან დაფინანსებული ე.წ. არასამთავრობო ორგანიზაციების ერთმა ნაწილმა განაცხადა, რომ დროა, საქართველომ, როგორც პროდასავლური ორიენტაციის ქვეყანამ, განახორციელოს კონკრეტული საკანონმდებლო ცვლილებები, რომლებიც მას „ცივილიზებულ სამყაროსთან“ მიაახლოებს.

**რას ნიშნავს დღევანდელ ვითარებაში რომის პაპის ესოდენ მკაფიო მხარდაჭერა გარყვნილების მიმართ და რა ცვლილებების აუცილებლობის წინაშე შეიძლება დააყენოს ამ ყველაფერმა სხვა ქვეყნები (მათ შორის საქართველოც, რომელიც დღეს დასავლეთის იდეოლოგიურ-პოლიტიკურ ორბიტაზეა) — ამ და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე გვესაუბრება ავჭალის წმ. ქეთევან წამებულის ტაძრის წინამძღვარი მამა გიორგი (რაზმაძე).**

**— მამაო, ბიოგრაფიულ ფილმში რომის პაპმა განაცხადა, რომ ერთი და იმავე სქესის ადამიანებს ქორწინებისა და ოჯახის შექმნის უფლება უნდა ჰქონდეთ. მისი მოსაზრებით, ისინიც ღვთის შვილები არიან და სექსუალური ორიენტაციის გამო არ უნდა იდევნებოდნენ. რა გზავნილია ეს განცხადება ქრისტიანული სამყაროსთვის, რას ნიშნავს რეალურად ეს ყველაფერი და რას შეცვლის საქართველოში, რომელიც იდეოლოგიურ-პოლიტიკურად დასავლეთზე დამოკიდებული ქვეყანაა?**

— დავიწყოთ იმით, რომ თვითონ პაპის ინსტიტუტი, როგორც კათოლიკური სამყაროს ცენტრალური ფიგურისა, დიდი ხანია, ერთგვარ იდეოლოგიურ-პოლიტიკურ ინსტრუმენტად იქცა, რომლის საშუალებით გლობალისტური ელიტა აქტიურად ცდილობს, შექმნას დასავლური ქრისტიანული კულტურისა და ლიბერალიზმის სინთეზის გარკვეული მოდელი. ეს არის მცდელობა, მოხსნან იდეოლოგიური ბარიერი ე.წ. ახალი ტიპის სამოქალაქო საზოგადოების ფორმირების პროცესში და ქრისტიანობასთან თავსებადად აქციონ ისეთი ცნებები, რომლებიც ეწინააღმდეგება ჭეშმარიტ ქრისტიანულ სწავლებას. ეს, როგორც ორჯერ ორი ოთხი, ისეა და დასავლეთში წარმატებით განახორციელეს. რაც შეეხება კონკრეტულად ფილმს, რომელშიც რომის პაპი ამბობს, რომ ერთი და იმავე სქესის ადამიანებს უნდა ჰქონდეთ ქორწინების უფლებაო, სიმართლე გითხრათ, ეს, ალბათ, არც უნდა გვიკვირდეს, იმიტომ, რომ ისინი, კათოლიკურ სამყაროს ვგულისხმობ, დიდი ხანია, ეკლესიას დაშორდნენ და სხვა მიმართულებით წავიდნენ... **ეს პროცესი დაიწყო XII საუკუნის პირველ ნახევარში, კერძოდ, 1112-1113 წლებში, როცა განხეთქილება მოხდა და იმ დროიდან არიან ჩვეულებრივი სქიზმატები, ანუ მწვალებლები. ის კი არა, განხეთქილების შემდეგ პაპის დოგმატი აიყვანეს აბსოლუტურ შეუცდომლობამდე და, რასაც ის ამბობდა, კათოლიკეებისთვის დოგმატზე მაღლა იდგა. ეს მკრეხელობაა.** ახლა მეორე — რომის პაპი დღევანდელ ვითარებაში, განსხვავებით XII-XIII საუკუნეებისგან, არის ჩვეულებრივი გამხმოვანებელი, ის წარმოადგენს მსოფლიო გლობალისტური მთავრობის ერთგვარ რუპორს, რომელიც, რასაც დაუწერენ, იმას ლაპარაკობს...

**— მის მიერ სექსუალური უმცირესობების წარმომადგენელთა შორის ე.წ. სამოქალაქო კავშირის დაკანონებაზე განცხადებაც ნაკარნახევია?**

— რა თქმა უნდა. ეს არ არის მხოლოდ პაპის ან მისი უახლოესი გარემოცვის გონებაში მოხარშული აზრი, ეს არის დროში გაწერილი გეგმა, რომელსაც პაპი, როგორც თანამედროვე დასავლური ნეოლიბერალიზმის ერთ-ერთი ჭანჭიკი, საჯაროდ ამბობს. **ზუსტად ამიტომაა იმის ხაზგასმა აუცილებელი, რომ კათოლიკები არ არიან ქრისტიანები, ისინი ქრისტიანულ ეკლესიას კი არ წარმოადგენენ, არამედ განხეთქილებაში მყოფ მწვალებლებს, რომლებიც კონკრეტულ დავალებას ასრულებენ. სხვათა შორის, ინტერნეტში არსებობს კადრები, როგორ ემთხვევა პაპი ხელზე როტშილდებსა და როკფელერებს, ხოლო ვინც არიან როტშილდები და როკფელერები, ყველამ ვიცით...** კიდევ ვიმეორებ: დღევანდელი პაპის დაქვემდებარებაში არსებული კათოლიკური ეკლესია რეალურად არ არის ეკლესია, ის არის ჩვეულებრივი კორპორაცია, რომელიც ყველა ფორმით, ყველა გზითა და საშუალებით ცდილობს ქრისტიანობის ჩაკვლას მსოფლიოში. რაც შეეხება მამათმავლობის დაკანონების შესახებ განცხადებას, ბევრმა ის გაიგო, როგორც პროპაგანდა და, რა თქმა უნდა, ასეცაა, მაგრამ ვფიქრობ, რომ მსგავსი განცხადება ისეთი ფიგურის მხრიდან, როგორიც პაპია, მხოლოდ პროპაგანდას არ ემსახურება... ამით, ფაქტობრივად, უგზავნიან სიგნალს სრულიად საქრისტიანოს და, უწინარესად, მართლმადიდებელ სამყაროს, რომ ნელ-ნელა, ნაბიჯ-ნაბიჯ ყველამ უნდა იფიქროს კომპრომისებზე ე.წ. ლიბერალური დემოკრატიის მოთხოვნების მიმართ...

**— საქართველოს შემთხვევაში რა კომპრომისებზე შეიძლება იყოს საუბარი? ვრცელდება ინფორმაცია, რომ ახალი მოწვევის პარლამენტში დაიწყება სექსუალური უმცირესობებისთვის ე.წ. სამოქალაქო პარტნიორობის დაკანონებაზე საუბარი...**

— თუ დღევანდელი პოლიტიკური დღის წესრიგი უცვლელად შენარჩუნდება, ასი პროცენტით ვარ დარწმუნებული, რომ ძალიან მალე საქართველოს პარლამენტში დარეგისტრირდება კანონპროექტი ამ ე.წ. სამოქალაქო პარტნიორობის შემოღებაზე. მართალია, ეს განხილვები მიტინგების ფონზე ჩაივლის, მაგრამ მერე რა, ასე არ მიიღეს თავის დროზე ე.წ. ანტიდისკრიმინაციული კანონი?! ასე არ მიიღეს ბავშვის უფლებათა კოდექსი?! ახლა ბევრს, ალბათ, წარმოუდგენლად მიაჩნია ეს ყველაფერი და ფიქრობს, რომ საქართველოში მამათმავლების ქორწინების დაკანონებას ვერავინ გაბედავს... **ბოლო 5-6 წლის საკანონმდებლო ცვლილებების ქრონოლოგიას გადახედეთ: ვინმე წარმოიდგენდა, რომ გეიაღლუმის ჩატარებას გამოხატვის თავისუფლებად აღიარებდნენ? ვინმე წარმოიდგენდა, რომ მშობელს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა შეიძლება დაკისრებოდა შვილისთვის თუნდაც მკაცრი შენიშვნის მიცემისა და რაღაც აკრძალვების გამო? დღეს ეს უკვე რეალობაა...** ამიტომ ვთქვი და კიდევ გავიმეორებ: დარწმუნებული ვარ, ადრე თუ გვიან დასავლელი მამა-მარჩენლების მითითებით ერთი და იმავე სქესის პირთა შორის ქორწინების დაკანონებაზეც დაიწყებენ ლაპარაკს, კანონპროექტსაც დაარეგისტრირებენ და თავიანთ მოკავშირე „პროდასავლურ ოპოზიციასთან“ ერთად „შესაშური“ ერთსულოვნებით დაამტკიცებენ... სხვათა შორის, ამას წინათ საპარლამენტო უმრავლესობის ერთ-ერთმა წევრმა, თუ არ ვცდები, **მდინარაძემ,** განაცხადა და შემდეგ პრემიერმაც გაიმეორა, რომ ჩვენი წარმატებული რეფორმების შედეგად 2024 წლისთვის განაცხადს შევიტანთ ევროკავშირის წევრობაზეო. რა თქმა უნდა, საქართველოს არავინ მიიღებს ევროკავშირში, მაგრამ, თუ იდეაში მაინც განვიხილავთ ამ შესაძლებლობას, ეს არავითარ შემთხვევაში არ მოხდება ერთი და იმავე სქესის პირთა შორის ქორწინების დაკანონების გარეშე... ისე, მე **ამ ყურმოჭრილ ხელისუფლებას ვურჩევ, ჩავიდეს ისრაელში და ნახოს, რა ხდება სოდომისა და გომორას მიწაზე. დღესაც ცეცხლი უკიდია იქაურობას. ეს ისეთი საშინელი ცოდვაა, რომ დაიფერფლა ყველაფერი და დღესაც, ამდენი საუკუნის შემდეგ იმ მიწას ისევ კვამლი ასდის...**

**— რა ფორმით შეიძლება საზოგადოება დაუპირისპირდეს იმას, რომ პოლიტიკურმა ხელმძღვანელობამ მოსახლეობის უმრავლესობის ნების საწინააღმდეგო გადაწყვეტილებები არ მიიღოს მუდმივად?**

— პირველ რიგში, რადგან სოდომ-გომორაზე ვსაუბრობდი, ვიტყვი, რომ იქვე, იმ მიდამოებში, არის მკვდარი ზღვა, რომელშიც ჩაედინება მდინარე იორდანე. წარმოიდგინეთ, მდინარე, რომელშიც მოინათლა ქრისტე და არის სიწმინდის სიმბოლო, ჩაედინება მკვდარ ზღვაში. ახლა რატომ ვამბობ ამ ყველაფერს: **რაც უფრო ახლოვდება არჩევნები, სულ უფრო ხშირად ვხედავთ, რომ როგორც პარლამენტის თავმჯდომარე, ისე პრემიერი, პრეზიდენტი და სხვები პატრიარქს სტუმრობენ, წირვებს ესწრებიან, ეზიარებიან და ა.შ. უკვე აღარ ეშინიათ პანდემიის. ვფიქრობ, ეს ყველაფერი არის ნათელი მაგალითი ფარისევლობისა და იმის, რომ ადამიანი შეიძლება მონათლული იყოს, მაგრამ თავისი ცხოვრების წესითა და საქმით ჩაედინებოდეს „მკვდარ ზღვაში“. ამას გადატანითი მნიშვნელობით ვამბობ, მაგრამ ასეთი ადამიანი სულიერად უკვე მკვდარია.** რაც შეეხება გამოსავალს, ვფიქრობ, დღევანდელ ვითარებაში ყველაზე რეალური გამოსავალი არის ის, რომ ამჟამინდელ ხელისუფლებას, თავის მოკავშირე ე.წ. პროდასავლურ ოპოზიციასთან ერთად, მომავალ პარლამენტში არ ჰქონდეს სრული პოლიტიკური მონოპოლია, როგორც აქამდე.

**— ეს შესაძლებელი გგონიათ?**

— ამ არჩევნებში, საბედნიეროდ, მონაწილეობს ნორმალური ხალხი, რომელსაც მხოლოდ ეროვნული სულისკვეთება ამოძრავებს. მოვუწოდებ სრულიად საქართველოს, მხარი დაუჭიროს ამ ადამიანებს, თუნდაც იმისთვის, რომ საკანონმდებლო ორგანოში ისმოდეს ხალხის ხმა და მხოლოდ ქუჩაში არ ვაპროტესტებდეთ ხოლმე ე.წ. ლიბერალურ გარდაქმნებს. კიდევ გავიმეორებ: **ამ არჩევნების შემდეგ დაიწყებენ საკანონმდებლო ცვლილებების ახალ ტალღას, რომელიც იქნება საქართველოს ლიბერალიზაციის კულმინაცია,** ამიტომ ძალიან მნიშვნელოვანია, რომ თუნდაც ერთი-ორი ან სამი კაცი გვყავდეს საკანონმდებლო ორგანოში. სხვა შემთხვევაში კი მოხდება ისე, როგორც წლების წინათ, როცა საპროტესტო აქციები გაიმართა, მაგრამ საზოგადოების უმრავლესობის ნების საწინააღმდეგოდ გარკვეული „კანონები“ მაინც დაამტკიცეს. აი, ამ პროცესის გაგრძელებას ვიხილავთ, ოღონდ კიდევ უფრო აუტანელ ფორმებში, იმიტომ, რომ მათ უკვე გადალახეს გარკვეული ბარიერი და ახლა გაცილებით მეტს მოინდომებენ...

ესაუბრა **ჯაბა ჟვანია**

ეს ის დასავლეთი და ნატოა, რომლისკენაც, უკვე 30 წელიწადია, მივისწრაფვით და უფრო მეტიც, ეს სწრაფვა კონსტიტუციაშიც კი ავსახეთ, მიუხედავად იმისა, რომ ამ სწრაფვამ სოხუმ-ცხინვალი სამუდამოდ დაგვაკარგვინა. და თუ მზერა არ დაგვბინდვია, ირგვლივ მიმოვიხედოთ და მივხვდებით, რომ, დაკარგულის დაბრუნება კი არა, ისიც არ დავკარგოთ, რაც ჯერ კიდევ ჩვენია.



ავი მესაიფი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ვატიკანის წმინდა პეტრეს ტაძარზე უწმინდური ლგბტ-თა დროშა ფრიალებს

**2013 წლის თებერვლის ბოლოს მსოფლიო გააოგნა რომის პაპის — ბენედიქტე XVI-ის (იოზეფ ალოიზ რატცინგერის) მოულოდნელმა გადაწყვეტილებამ, ნებაყოფლობით გადამდგარიყო ვატიკანის წინამძოლის პოსტიდან, ზოგიერთი ანალიტიკოსის აზრით, ერთობ საეჭვო მიზეზის — ჯანმრთელობის გაუარესების გამო. ამ მიზეზით პოლიტიკოსთა მაღალი თანამდებობიდან „ნებაყოფლობით" გადადგომის არა ერთი მაგალითი იცის მსოფლიო ისტორიამ, მაგრამ რომის პაპი ხომ, კათოლიკური მოძღვრების თანახმად, ამქვეყნად ქრისტეს მოადგილეა და მისი მრევლის რაოდენობა მილიარდს აღემატება?! რომის 265-ე პაპის, ბენედიქტე XVI-ის, გადადგომის მიზეზად ჯანმრთელობის გაუარესების დასახელება, რბილად რომ ვთქვათ, უსუსური არგუმენტია. ბენედიქტე XVI-ის გადადგომა ბოლო 600 წლის განმავლობაში პირველი შემთხვევაა პაპიზმის ისტორიაში.**

ბენედიქტე XVI-ის ნებაყოფლობით გადადგომის **შემდეგ** პოლიტიკურ, რელიგიურ თუ, უბრალოდ, საზოგადოებრივ წრეებში გაჩნდა კითხვა — ხომ არ იყო ეს კათოლიკური ეკლესიის წიაღსა და ვატიკანს მიღმა არსებული გარკვეული გავლენიანი ლიბერასტული პოლიტიკური ძალების ზემოქმედების შედეგი? რომის 265-ე პაპი ზომიერ კონსერვატორად და, აქედან გამომდინარე, ლგბტ სექტის, ერთი და იმავე სქესის პირთა შორის ქორწინებისა და სხვა ლიბერასტული გარყვნილების მოწინააღმდეგედ იყო ცნობილი კათოლიკურ მრევლსა და იმ პოლიტიკურ ლიბერასტულ ძალებში, რომლებიც, სამწუხაროდ, დღეს უმრავლესობაში არიან დასავლეთის მმართველ პოლიტიკურ ხელისუფლებებში. ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, მთავარი კითხვა — **რომის ახალი პაპი ხომ არ არის ზემოთ ხსენებული ლიბერასტული ძალების მიერ არჩეული** (წაიკითხე — დანიშნული)?

**იოანე პავლე II-ს შემცვლელი და სულიერი შვილი (გნებავთ, მემკვიდრე) ბენედიქტე XVI ლგბტ სექტის მიმართ მაქსიმალურად ჰუმანური (თუმცა ჩვენთვის, მართლმადიდებელი ქრისტიანებისთვის, მიუღებელი), მაგრამ, ამასთანავე, პრინციპული, მკაცრად კატეგორიული დამოკიდებულების გამტარებელი იყო, რომელსაც დასავლეთში აშკარად მოძლიერებულმა ლიბერასტებმა ამაზე მეტზე (ანუ, რაც ფრანცისკემ იკადრა) „ხელი ვერ მოაწერინეს" და ამიტომაც „გახდა ავად" და გადადგა თუ გადააყენეს?!**

ახლა ვნახოთ, როგორ ნაბიჯ-ნაბიჯ მიიწევდა ბენედიქტეს შემცვლელი ახლანდელი პაპი ლიბერასტების სანუკვარი ოცნების ასრულებისკენ — წმინდა პეტრეს ტაძრის გუმბათზე უწმინდური ლგბტ-სექტის დროშის აღმართვისკენ:

*** 2016 წელი.** რომის პაპის განცხადებით, საზოგადოებამ ლგბტ წევრებს ბოდიში უნდა მოუხადოს წარსულში დისკრიმინაციის გამო. **ციტატა:** „კათოლიკე ეკლესიის კატეხიზმო ამბობს, რომ არ უნდა მოხდეს მათი დისკრიმინაცია, მათ უნდა ვცეთ პატივი და ვუჩვენოთ გზა, — ეს განცხადება პაპმა საკუთარი თვითმფრინავის ბორტზე გამართულ პრესკონფერენციაზე გააკეთა, როდესაც სომხეთს ტოვებდა. — ეკლესიამ პატიება უნდა ითხოვოს ბევრი რამის გამო, როდესაც ვამბობ ეკლესიას, ვგულისხმობ ქრისტიანებს. ეკლესია წმინდაა, ცოდვილები ჩვენ ვართ".

*** 2018 წელი.** რომის პაპი ყელზე დაკიდებული ცისარტყელისფერებიანი ჯვრით გამოჩნდა, რაც ვატიკანის მრევლისა და, საზოგადოდ, მსოფლიო საზოგადოების უმრავლესობამ ლგბტ თემის საჯარო მხარდაჭერად აღიქვა.

*** 2020 წლის სექტემბერი.** რომის პაპი ფრანცისკე ლგბტ პირების მშობლებს შეხვდა და დაამშვიდა. **ციტატა:** „ეკლესიას უყვარს თქვენი შვილები ისეთები, როგორებიც არიან. ისინი ღვთის შვილები არიან"...

* რამდენიმე დღის წინათ, რომის პაპმა ლგბტ წყვილების სამოქალაქო ქორწინებასა და მათ მიერ შვილების აყვანას დაუჭირა მხარი (რაც შეიქნა კიდეც წინამდებარე წერილის დაწერის მთავარი მიზეზი), უფრო მეტიც: პონტიფიკოსმა განაცხადა, რომ ადამიანის სექსუალური ორიენტაცია არ უნდა იყოს ხელის შემშლელი პირობა, რომ ასეთებმა საეკლესიო თანამდებობები დაიკავონო... ჰა, როგორია?

ზემოთქმული მოკლე რეზიუმედ რომ „მოვთარგმნოთ", გამოვა, რომ, როგორც დღეს ამერიკაში შავკანიანებს ბოდიშებს უხდიან თეთრკანიანები და დაჩოქილები ფეხებს ულოკავენ, ჩვენც ქართველ პედერასტებს ბოდიშები უნდა ვუხადოთ და სალოკავადაც უნდა „ვემთხვიოთ", თუ არა, უარის შემთხვევაში ისევე „გაგვსროკავენ", როგორც თავის დროზე სტალინი „სროკავდა" მამათმავლებს.

ეს, როგორც იტყვიან, ნახევრად ხუმრობით, მაგრამ სახუმაროდ რომ არ გვაქვს საქმე?

რატომ? იმიტომ, რომ როგორც კომუნისტების პლაკატებზე ეწერა: „ვამბობთ პარტიას, ვგულისხმობთ ლენინს, ვამბობთ ლენინს და ვგულისხმობთ პარტიას" (აფსუს, რა დრო იყო!) — ამ ლოზუნგის პერიფრაზით თამამად შეგვიძლია ვთქვათ: **ვამბობთ დასავლეთს, ვგულისხმობთ ვატიკანს, ვამბობთ ვატიკანს, ვგულისხმობთ დასავლეთს!**

**ეს ის დასავლეთი და ნატოა, რომლისკენაც, უკვე 30 წელიწადია, მივისწრაფვით და უფრო მეტიც, ეს სწრაფვა კონსტიტუციაშიც კი ავსახეთ, მიუხედავად იმისა, რომ ამ სწრაფვამ სოხუმ-ცხინვალი სამუდამოდ დაგვაკარგვინა. და თუ მზერა არ დაგვბინდვია, ირგვლივ მიმოვიხედოთ და მივხვდებით, რომ, დაკარგულის დაბრუნება კი არა, ისიც არ დავკარგოთ, რაც ჯერ კიდევ ჩვენია. სამწუხაროდ, ასეა საქმე, რაზეც წინა წერილებში არაერთხელ ვისაუბრე და ამიტომ აქ აღარ განვაგრძობ...**



**პოლიტიკური მოვლენები ისე შეიძლება განვითარდეს, რომ საქართველო აღმოჩნდეს საბედისწერო არჩევანის წინაშე — ან რომის პაპი, ე.ი. ულმერთო დასავლეთი, ან მესამე რომი — ერთმორწმუნე რუსეთი**

წინამდებარე წერილში მოყვანილი ფაქტები კიდევ ერთი დასტურია იმისა, რომ **გათახსირებული დასავლეთიდან გარყვნილების გარდა საქართველოში წლების განმავლობაში სხვა „სიკეთე" არ შემოსულა და, რომის პაპის განცხადებებიდან გამომდინარე, კარგს არც მომავალში უნდა ველოდოთ.**

ახლა მავანმა შეიძლება დამამუნათოს: რა შუაშია რომის პაპის ლიბერასტული განცხადებები და საქართველო? სამწუხაროდ, შუაში კი არა თავშია და არა მხოლოდ საქართველოში, რადგან **1054 წლის ე.წ. დიდი სქიზმის (განხეთქილების) შედეგად, როდესაც ჭეშმარიტ მართლმადიდებელ ქრისტიანულ ერთიან ეკლესიას გამოეყო კათოლიკური ეკლესია, მას შემდეგ ვატიკანი და რომის პაპი უფრო პოლიტიკური ინსტიტუტია, ვიდრე რელიგიური, ხოლო რომის პაპები უფრო პოლიტიკური ფიგურები იყვნენ, ვიდრე სულიერი მწყემსები, რომელთა შიშით ბევრი ევროპელი მონარქი ცახცახებდა.**

კათოლიკური ეკლესიის ე.წ. წმინდა ინკვიზიციის ლოცვა-კურთხევით აგიზგიზებულ კოცონებზე ათი ათასობით პროტესტანტს ერეტიკოს-ჯადოქრობის აბსურდული ბრალდებით ცოცხლად წვავდნენ და ამ წარსულის მქონე ეკლესიის ხელმძღვანელი ერთი და იმავე სქესის პირთა შორის ქორწინებას უსირცხვილოდ უჭერს მხარს. **რა ჰქვია ამას? ეს ხომ ზღვარგადასული თავხედობაა? ამ მართლაც ერესით რომის პაპიც ერთ-ერთ აქტორად იქცა იმ პოლიტიკური თამაშისა, რომელსაც ყველა ერთის წინააღმდეგ, ანუ მართლმადიდებელ რუსეთსა და ე.წ. ლიბერალურ სამყაროს შორის გამოუცხადებელი ომი ჰქვია.**

რუსეთმა რომის პაპის განცხადებების საპირისპიროდ კონსტიტუციურ ნორმად აქცია, რომ ქორწინება მხოლოდ ქალსა და მამაკაცს შორის არის შესაძლებელი და საკუთარ საძინებლებში თავში ქვა უხლიათ მამათმავლებს, იქ მათ არავინ შეუვარდებათო, გეი-აღლუმებზე, ბავშვის შვილად აყვანაზე, მშობელი №1-სა და მშობელი № 2-ზე კი ლაპარაკიც ზედმეტია! რომის პაპის მკრეხელურმა განცხადებებმა ერთი სიკეთე მაინც მოიტანა — დღეს თამამად და უეჭველად შეიძლება მივულოცოთ მართლმადიდებელ მოსკოვს დე იურედ მესამე რომად „კურთხევა", რადგან მოსკოვი, დიდი ხანია, დე ფაქტო მესამე რომია და მეოთხე ნაღდად აღარ იქნება. სრულიად რუსეთის მართლმადიდებელმა ეკლესიამ ყოველგვარი ევქარისტული კავშირი გაწყვიტა იმ პროტესტანტულ ეკლესიებთან, რომლებიც ერთი და იმავე სქესის წყვილებს ჯვარს სწერენ.

**რომის პაპმა თავისი განცხადებებით ყველა ტრადიციული რელიგიური კონფესიებისთვის უმძიმესი ცოდვის — სოდომიის — ჩადენის ნებართვა გასცა და შორს არ არის ის დღე, როდესაც ერთი და იმავე სქესის წყვილების ჯვრისწერის საიდუმლოს აღსრულება ვატიკანის ტაძრებშიც დაიწყება. აქედან გამომდინარე, რუსეთის ეკლესია ვატიკანთანაც გაწყვეტს ევქარისტულ კავშირს.**

ერეტიკოს რომის პაპს ჩვენშიც ეყოლება საკმარისი მხარდამჭერები თუნდაც არასამთავრობო ე.წ. მესამე სექტორში და არა მხოლოდ, სამწუხაროდ, საქართველოს დედაეკლესიის წმინდა სინოდშიც არ არის ამ საბედისწერო საკითხზე ერთიანი აზრი, რადგან ყანდურები — მეუფე პეტრეები — იქაც არიან ჩანერგილნი უცხო ქვეყნის სპეცსამსახურების მიერ. არადა, თქმულიდან გამომდინარე და, საერთოდ, გლობალური პოლიტიკიდან, რაზეც წინა წერილებში არაერთხელ გვქონია საუბარი, **პოლიტიკური მოვლენები ისე შეიძლება განვითარდეს, რომ საქართველო აღმოჩნდეს საბედისწერო არჩევანის წინაშე — ან რომის პაპი, ე.ი. ულმერთო დასავლეთი და ან მესამე რომი — ერთმორწმუნე რუსეთი.**

იმის გათვალისწინებით, რომ თურქეთი, პრაქტიკულად, შემოიჭრა სამხრეთ კავკასიაში, რომელსაც რუსეთი არ დათმობს და, ადრე თუ გვიან, პანღურით გააძევებს თურქეთს რეგიონიდან, ამ დაძაბულ ვითარებას შეიძლება რელიგიური კუთხითაც შევხედოთ: ან ჩვენი ისტორიული მტერი — ისლამური თურქეთი, ან საქართველოს ისტორიული გადამრჩენი — ერთმორწმუნე მართლმადიდებელი რუსეთი!

**დავით მხეიძე**

**ცნობისთვის: 2003 წელს რომის პაპის, იოანე პავლე II-ის, მმართველობის პერიოდში, რწმენის დოქტრინის კრებაზე „მიღებული წინადადებების საფუძველზე განიხილებოდა ჰომოსექსუალური კავშირების აღიარების საკითხი", მაგრამ დასკვნის სახით აღნიშნულია, რომ „თუმცაღა ეკლესია ხალხს ჰომოსექსუალი ადამიანებისადმი პატივისცემისკენ მოუწოდებს, მას არავითარ შემთხვევაში არ მოჰყვება ჰომოსექსუალური ქცევის მიღება და ამგვარი კავშირების აღიარება".**

**გათახსირებული დასავლეთიდან გარყვნილების გარდა საქართველოში წლების განმავლობაში სხვა „სიკეთე" არ შემოსულა და, რომის პაპის განცხადებებიდან გამომდინარე, კარგს არც მომავალში უნდა ველოდოთ**

გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**ილიას მიმართ მენშევიკების რეაქციულმა დამოკიდებულებამ 1897 წელს იჩინა თავი, როდესაც მისი დაბადებიდან 60 წლისთავი არ გადაახდევინეს საზოგადოებას. ისე შეაძულეს ხალხს ილიას სახელი, რომ დაბადების წლისთავის აღნიშვნა ვერც 1898 წელს შეძლეს, ხოლო 1903 წელს ნაძალადევში ბიბლიოთეკის გახსნაზე მისული ილია ჭავჭავაძე სოციალ-დემოკრატების წაქეზებით ბრბომ კინაღამ ჩაქოლა.**

# შეკვეთილი ფალსიფიკაცია — იოსებ ირემაშვილის წიგნი სტალინზე

**1932 წელს გერმანიაში გამოცემული იოსებ ირემაშვილის წიგნი „სტალინი და საქართველოს ტრაგედია" ჩემთვის დიდი ხნის განმავლობაში მიუწვდომელი იყო. არაფერი ვიცოდი, აგეთვე, მისი ავტორის შესახებ. არადა, ამერიკელი მწერლისა და ბიოგრაფის — რობერტ პეინის მასალების ძირითადი საყრდენი ირემაშვილის „სტალინი და საქართველოს ტრაგედიაა". იოსებ ირემაშვილის „მარგალიტებს" ასევე ხშირად იყენებენ რობერტ ტაკერი („სტალინი — გზა თავისუფლებისაკენ"), ანტონოვ-ოვსეენკო და სხვები, ვისაც არ ეზარებოდა, ტალახი ესროლა სტალინის სახელისთვის.**



ამჟამად ხელთ მაქვს სწორედ ის წიგნი, რომელიც 1932 წელს დაისტამბა გოეთეს სამშობლოში, კერძოდ, ქალაქ ბერლინში, და რომელიც, არც მეტი, არც ნაკლები მაკულატურაა და მეტი არაფერი.

რა შეიძლება შეიტყოს მკითხველმა ამ წიგნიდან, რომელსაც „სიყალბე ჭეშმარიტებისა" ვუწოდე? წიგნის წინასიტყვაობის ავტორი, აწ განსვენებული პროფესორი **შოთა ბადრიძე** აღნიშნავს: **„იოსებ ირემაშვილის განცხადება, რომ 1907 წელს კობა-სტალინი არაპირდაპირ იდგა ილია ჭავჭავაძის მკვლელობის უკან, საკმარისი არ არის სტალინის დასადანაშაულებლად წიწამურის ტრაგედიაში. ირემაშვილის მონათხრობიდან არარეალურია მისი ჩვენება სტალინის მამის, ბესო (ბესარიონ) ჯუღაშვილის, არაქართული წარმოშობის შესახებ, — ოსი იყოო ეროვნებით. ი. ირემაშვილზე დაყრდნობით, ბორის სუვარინი ფრანგულ ენაზე გამოცემულ სტალინის ბიოგრაფიაში აღნიშნავს, რომ არაქართველი, კერძოდ, ოსი იყო სტალინის დედაც (კეკე) გელაძე. რაც, ცხადია, აბსურდია. სტალინის გვარის წარმოშობაზე და გენეალოგიაზე ნაშრომი დაწერა ივ. ჯავახიშვილმა და დაადასტურა მისი ქართული წარმომავლობა, რომელიც ეჭვს არ იწვევს".**

მკითხველი, ალბათ, მიხვდება, საიდან მოდის ეს საზიზღარი ცილისწამებები — სტალინის დაკავშირება ილიას მკვლელობასთან ან სტალინის ოსური წარმომავლობა, ან თუნდაც მისი დედის, კეკეს, ოსად მონათვლა და სხვ.

იოსებ ირემაშვილი თავის წიგნში წერს: „სოციალ-დემოკრატიული პარტია და მისი პრესა ილიას მკვლელობას ეროვნულ დანაშაულად მიიჩნევდა. დამწუხრებული ქართველი ხალხი **ჟორდანიას** გარშემო შემოიკრიბა და უკანასკნელი პატივი მიაგო დიდ მწერალს. ჟორდანიამ ხალხის სახელით საფლავი გვირგვინით შეამკო და მკვლელის სახელი დაწყევლა".

**ირემაშვილი ცრუობს, როდესაც წერს, რომ ნოე ჟორდანიამ გვირგვინით შეამკო ილიას საფლავი. ნოე ჟორდანია საერთოდ არ ყოფილა ილიას დაკრძალვაზე. სოციალ-დემოკრატების სახელით სამგლოვიარო მიტინგზე გამოსულმა კარლო ჩხეიძემ ასე მიმართა საფლავში ჩაუსვენებელ, თავგადახდილ კუბოში მწოლიარე ილიას: „ჭეშმარიტებიდან ძალიან შორს იქნება, თუ ვინმე იტყვის, თითქოს ჩვენ, ყველანი, ერთნაირად ვუყურებთ შენს წარსულს, ყველანი ერთნაირად ვაფასებდეთ შენს მოღვაწეობას... დაე, გაქონ და გადიდონ შოვინისტებმა, როგორც მამულიშვილი. ჩვენ, რა თქმა უნდა, არ შევუერთდებით ასეთების ქებათა ქებას".**

მეორე დღეს, 9 ოქტომბერს, ნოე ჟორდანია გაზეთ „ჩვენს გზაში" წერდა: **„არა მკვლელობა, მაგრამ ხალხის განწყობა ტრაგედიისათვის ნიადაგის მომზადებისა, მთლიანად სოციალ-დემოკრატების უდიდესი დამსახურება იყო".** და თავის წერილს ამთავრებს სიმართლესთან სრულიად შეუფერებელი გამოთქმით: „სადაც ხეები იჭრება, იქ ნაფოტებიც ცვივა".

ვაი, რომ შემდგომ ქვეყანას სათავეში ჩაუდგა კაცი, რომელიც ილიას ნაფოტს ადარებდა, თავისი თავი კი პირველ ქართველად და პირველ პოლიტიკოსად მიაჩნდა.

**ილიას მიმართ მენშევიკების რეაქციულმა დამოკიდებულებამ 1897 წელს იჩინა თავი, როდესაც მისი დაბადებიდან 60 წლისთავი არ გადაახდევინეს საზოგადოებას. ისე შეაძულეს ხალხს ილიას სახელი, რომ დაბადების წლისთავის აღნიშვნა ვერც 1898 წელს შეძლეს, ხოლო 1903 წელს ნაძალადევში ბიბლიოთეკის გახსნაზე მისული ილია ჭავჭავაძე სოციალ-დემოკრატების წაქეზებით ბრბომ კინაღამ ჩაქოლა.**

**„ილია დარჩა მარტოდმარტო, უმწეო, უამხანაგო, უკარისკაცო და მარტოდმარტო დაიღუპა... ილიას ძველი საქართველო დამარცხდა, ის მოკვდა და ალაგი ახალ საქართველოს დაუთმო. ძველ საქართველოსთან ერთად დამარცხდა მისი დაუღალავი იდეოლოგია",** — ასე შეაფასა დამოუკიდებელი საქართველოსთვის თავდადებული მებრძოლი და გულანთებული პატრიოტი, **ერის მამად წოდებული ილია ჭავჭავაძე** საქართველოს დამოუკიდებლობის უარმყოფელმა და საქართველოს შავ ბაზარზე გასაყიდად გამომტანმა უდღეურმა მენშევიკურმა მთავრობამ.

იოსებ ირემაშვილი, ალბათ, სხვა ილიაზე წერს ან სხვა ილიას დასაფლავებას აღწერს. ქართველმა მეცნიერებმა კი ჭეშმარიტება გაარკვიეს და სტალინზე დაწერეს:

„ილია ჭავჭავაძესთან დამოკიდებულებაში განსაკუთრებულ ტაქტსა და თავშეკავებულობას იჩენდა სტალინი. ის არც 1901-1904 წლებში და არც შემდგომ პერიოდში ილიას წინააღმდეგ წარმოებულ ბინძურ კამპანიაში არ მონაწილეობდა. ილიას მიერ ხელდასმულ მოღვაწეს (ი. ჯუღაშვილს) კარგად ესმოდა ერის მამის დამსახურება, მისი ადგილი საქართველოს ახალ ისტორიაში". (ვახტანგ გურული, „სტალინის დიდი ექსპერიმენტი", 2000 წ. გვ.12).

**ირემაშვილი ცრუობს, როდესაც წერს, რომ ნოე ჟორდანიამ გვირგვინით შეამკო ილიას საფლავი. ნოე ჟორდანია საერთოდ არ ყოფილა ილიას დაკრძალვაზე. სოციალ-დემოკრატების სახელით სამგლოვიარო მიტინგზე გამოსულმა კარლო ჩხეიძემ ასე მიმართა საფლავში ჩაუსვენებელ, თავგადახდილ კუბოში მწოლიარე ილიას: «ჭეშმარიტებიდან ძალიან შორს იქნება, თუ ვინმე იტყვის, თითქოს ჩვენ, ყველანი, ერთნაირად ვუყურებთ შენს წარსულს; ყველანი ერთნაირად ვაფასებდეთ შენს მოღვაწეობას... დაე, გაქონ და გადიდონ შოვინისტებმა, როგორც მამულიშვილი. ჩვენ, რა თქმა უნდა, არ შევუერთდებით ასეთების ქებათა ქებას»**

ახლა კი ყური მივუგდოთ იოსებ ირემაშვილის ბრძოლების გმირულ ისტორიებს 1921 წლის მოვლენებზე:

* „მცირერიცხოვანი ქართული არმია, გმირული ბრძოლის მიუხედავად, ამ შეიარაღებულ თავდასხმას ვერ გაუმკლავდებოდა. მთავრობის მოწოდებას, დაეცვათ სამშობლო მოღალატური თავდასხმისაგან, მთელი ქართველი ხალხი შეუერთდა. აღმოსავლეთ საქართველოდან შავ ზღვამდე, ბათუმამდე, თითოეული გოჯი მიწისათვის არაადამიანური, უთანასწორო ომი მძვინვარებდა. ხალხი თავდავიწყებით იბრძოდა სამართლიანობისა და ადამიანობის დასაცავად. ხალხი იბრძოდა, ვიდრე სტალინის ცხოველად ქცეულმა ყაჩაღურმა ბანდამ ქვეყანა ხელში არ ჩაიგდო — აღმოსავლეთიდან ბათუმამდე. კავკასიის მთებში ათასობით მამულიშვილის სისხლი იღვრებოდა. 18 თებერვალს დამპყრობლები თბილისს მოადგნენ. აღმოსავლეთ შემოსასვლელში მთელი ღამე დაუნდობელი ბრძოლა გაიმართა. შიშით გათანგულ ქალებსა და ბავშვებს ყუმბარების ხმა და ზარბაზნების გრუხუნი ესმოდათ. ჩვენი მცირერიცხოვანი არმია არნახულ წინააღმდეგობას უწევდა ზებუნებრივ ძალას".

იქვე:

*„ერთი თვის შემდეგ, რამდენიმე პატიმართან ერთად მეტეხის ციხეში გადამიყვანეს. ციხე სავსე იყო „პოლიტიკური დამნაშავეებით", რომელთა დანაშაულიც სამშობლოს გათავისუფლებისათვის ბრძოლაში მონაწილეობა ანდა მეფის სამსახურში ყოფნა იყო (ნეტა სადღა იყო იმ დღეებში მეფე? — გრ. ონიანი). ბოლშევიკების რევოლუციური ტრიბუნალი, რომლის მოსამართლესაც კანონმდებლობის არანაირი ცოდნა არ გააჩნდა, იმ მიზეზის გამო, რომ უბრალოდ არანაირი კანონმდებლობა არ არსებობდა, თვითნებურად იჭერდა და ათავისუფლებდა ადამიანებს. დაუყონებლივ გზავნიდა ციმბირში ანდა საიქიოში ისტუმრებდა. ციხის უკანა მინდორზე საერთო სასაფლაო იყო გათხრილი. მსხვერპლი — შიშველი და ხელებშეკრული, პირით საფლავისაკენ უნდა დაჩოქილიყო. ჩვენ ვიცოდით, რომ დღეს თუ ხვალ იგივე ბედს გავიზიარებდით და სიკვდილის შიშის მოლოდინში ციხის ფანჯრიდან ყველაფერი გვესმოდა. შიში და მრისხანება სულს გვიმღვრევდა და ნერვებს გვიფორიაქებდა. ამ ბარბაროსობის შემყურეს, ზოგს გონება უბნელდებოდა და ღრიალს იწყებდა, რათა ტანჯვის დრო შეემმოკლებინა ანდა სტალინისა და მისი ჯალათებისადმი ზიზღი გადმოენთხია. ამ ექსპედიციას საქართველოში სტალინი ხელმძღვანელობდა. 1921 წლის ივნისის შუა რიცხვებში მოსკოვიდან თბილისში, როგორც გამარჯვებული, ისე ჩამოვიდა. სტალინის გამარჯვებით ტკბობას ვერ ამღვრევდა მსხვერპლთა ენით აუწერელი ტანჯვა. მოგვიანებით შევიტყვე, რომ ჩემი და, ანეტა, თბილსის სასახლეში სტალინთან მისულა და ჩემი გათავისუფლება უთხოვია. სტალინი მას მოჩვენებითი კეთილგანწყობით შეგებებია, თუმცა ჩემმა დამ იცნო მისი დამალული, ფარული ბოროტება. მან თქვა: „მეცოდება სოსო, გული მტკივა და მაღელვებს მისი ბედი... მეორე დღეს რამდენიმე პატიმართან ერთად სტალინის უშუალო ბრძანებით გაგვათავისუფლეს. გათავისუფლებიდან სულ მალე ჩვენმა საერთო გორელმა მეგობარმა მომძებნა და სტალინის მიწვევა გადმომცა.

ჩვენი საუბარი ხანმოკლე იყო, პასუხი კი კონკრეტული: „გადაეცი სოსოს, რომ მე ხელს არ ჩამოვართმევ ჩვენი სამშობლოს მოღალატეს, რომლის სინდისიც უთვალავი თავგანწირული პატრიოტის სისხლითაა დამძიმებული".

**ძვირფასო მკითხველო, ირემაშვილის წიგნიდან ამონარიდებში რამდენი სიტყვაც წაიკითხეთ, იმდენივე სიცრუეა ნათქვამი, გარდა იმისა, რომ იგი ციხიდან ნამდვილად სტალინმა გაათავისუფლა.**

ირემაშვილის ზღაპრები იქ მთავრდება, სადაც სტალინის ოჯახთან „გაშინაურებული" ამბობს: „ჩემ გვერდით სტალინის დედა იდგა. ისიც მიცვალებულებს (იუნკრებს) დასტიროდა. როდესაც სამარე მიწით ამოავსეს, მისკენ მივტრიალდი და ვუთხარი — კეკე, ეს შენი შვილის დანაშაულია. მისწერე მოსკოვში, ის აღარ არის ჩემი მეგობარი! ის ქართველი ხალხის მტერი და მკვლელია"...

1927 წლის 27 მაისს საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალურ კომიტეტში შევიდა 3 მაისით დათარიღებული წერილი ბერლინიდან. წერილი იწყებოდა საკმაოდ ფამილარული მიმართვით — „სოსო". მკითხველს წინასწარ ვაცნობებ, რომ წერილის ავტორი იყო 1921 წელს საქართველოდან ემიგრაციაში გადახვეწილი, იოსებ სტალინის სიყრმის მეგობარი იოსებ ირემაშვილი.

„...ბევრჯერ მქონია სურვილი, მიმოწერა გვქონოდა ერთმანეთთან ჩვენს შეხედულებებზე და ველოდებოდი გარკვეულ დროს. გასაგებია, რომ შენზეა დამოკიდებული ჩემი სურვილის ასრულება... როდესაც ციხეში ვიჯექი, შენ დედაჩემს უთხარი — გული მტკივა, სოსო და მე სხვადასხვა ბანაკებში აღმოვჩნდითო. მე ახლაც მესმის შენი გულის ტკივილის. ასეც უნდა იყოს. მე ვიცი და მჯერა, ▶

**„ჩვენ ხშირად ვსაუბრობდით საქართველოს ბედკრულ ისტორიაზე. აღფრთოვანებით ვკითხულობდით და ვსაუბრობდით შოთა რუსთაველის პოემა „ვეფხისტყაოსანზე“, მაგრამ სოსოს განსაკუთრებით უყვარდა ალექსანდრე ყაზბეგის რომანი „ნუნუ“, რომელშიც მთავარი გმირი კობა გახლდათ და, რომელიც იყო ჩაგრული ხალხის მხსნელი. სწორედ ამ ნაწარმოების გამო დაირქვა მან სახელი კობა, რომელიც მისი პირველი ფსევდონიმი გახლდათ, როდესაც დაიწყო პროპაგანდისტული საქმიანობა“.**

გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**«ილია დარჩა მარტოდმარტო, უმწეო, უამხანაგო, უკარისკაცო და მარტოდმარტო დაიღუპა... ილიას ძველი საქართველო დამარცხდა, ის მოკვდა და ალაგი ახალ საქართველოს დაუთმო. ძველ საქართველოსთან ერთად დამარცხდა მისი დაუღალავი იდეოლოგია», — ასე შეაფასა დამოუკიდებელი საქართველოსთვის თავდადებული მებრძოლი და გულანთებული პატრიოტი, ერის მამად წოდებული ილია ჭავჭავაძე საქართველოს დამოუკიდებლობის უარმყოფელმა და საქართველოს შავ ბაზარზე გასაყიდად გამომტანმა უღლეურმა მენშევიკურმა მთავრობამ**

◀შენ გესმოდა ჩემი გულისტკივილის და, ვგონებ, ახლაც გესმის, მიუხედავად დიდი ხნის განშორებისა. ეს ორი გული ხომ ბავშვობიდან ერთად ძგერდა, ერთად გაიზარდა და დიდხანს იყოფდა სიხარულსა თუ ტკივილს და, მიუხედავად დიდი ხნის განშორებისა, ჩვენი გულები ერთმანეთისთვის ძგერდა და უსიტყვოდ ესაუბრებოდნენ ერთმანეთს, და თითქოს, ერმანეთისკენ ილტვოდნენ კიდეც. აი, მე ვარღვევ სიჩუმეს, ხოლო ამ სიჩუმის გაგრძელება შენზეა დამოკიდებული...“

წერილში მთავარი ირემაშვილის თხოვნაა:

**„...მაქ, ჩემს სამშობლოში ჩემი ოჯახია, რომელსაც დახმარება ესაჭიროება. მე კი დაღლილი და ავადმყოფი ვარ (შინაგანი სეკრეციის ანთებით), რაც გამოიწვია მძიმე შრომამ და გადაღლამ და რომელიც დღითიდღე მიმძაფრდება. ანთება მთელ ორგანიზმს ედება და არ მაძლევს საშუალებას, თავი ვირჩინო. რა აღარ მოვსინჯე აქ — სიმძიმის ზიდვა ზევით თუ ქვევით კიბეზე, ეზოებში სიარული და ბოლო დღეებია, ეს ავადმყოფობა უფრო და უფრო მაწუხებს. ვგრძნობ, კარგი არაფერი მელის წინ. სამწუხაროდ, არ ვცდები. გახსოვს, სემინარიაში ტუბერკულოზით დაავადებული იძულებული რომ ვიყავი, ბევრი რძე მესვა და შენ ხუმრობით მეუბნებოდი — მანია გჭირსო. ვიმედოვნებ, ამჯერად ხუმრობას არ დაიწყებ. გულწრფელად გეტყვი, დღესდღეობით ჩემს წინაშე დგას სიკვდილის საკითხი — თუ მე ჩავწვები ლოგინში, ვერც ვერავინ დამეხმარება და მაშინ მე სიკვდილს ვირჩევ. მე ახლა ისღა დამჩენია, რომ შუბლში ტყვია ვიხალო ან... მოგმართო შენ.** აი, უკვე რამდენიმე წელია, მე ასე ვცხოვრობ და, დიდი ხანია, მინდოდა, დამეწერა შენთვის, მაგრამ ჩემი კრიტიკული მდგომარეობა ხელს მიშლიდა. ახლა კი ჩვენი მრავალწლიანი მეგობრობის სახელით, გთხოვ: დაუყოვნებლივ აღმომიჩინო დახმარება და გადამარჩინო სიკვდილს. ყელამდე ვალებში ვარ, მე კი მესაჭიროება სისტემატიური მკურნალობა და დასვენება. ...ჩემი შვილები — გოგია და ელენე — უნივერსიტეტისთვის ემზადებიან, მასწავლებლების გარეშე და მათაც ძლიერ სჭირდებათ დახმარება. გთხოვ, დაუნიშნო მათ სახ. სტიპენდია. ვიცი, გამიგებ, თავადაც ხომ მამა ხარ“.

ამ წერილს სტალინმა ერთი სიტყვა დააწერა: **„არქივში“.**

რაც შეეხება სტალინის მხრიდან ირემაშვილის დახმარებას, არანაირი ინფორმაცია არ არსებობს, მაგრამ არსებობს ინფორმაცია, რომ ირმაშვილმა, რომელსაც ესოდენ „ესაჭიროებოდა“ დახმარება, კარგა ხანს იცოცხლა. მეტსაც გეტყვით, მას შემდეგ, რაც სტალინი და მისი თანამებრძოლები გაუმკლავდნენ ქვეყნის შიგნით არსებულ მტრებს (ოპოზიციას) და დაეუფლნენ (1929-1939 წწ.) ძალაუფლებას, გერმანიაში ირემაშვილი სწორედ მაშინ გაიხსენეს და მან სტალინზე წიგნიც კი გამოსცა.

**თავად განსაჯეთ, დასაჯერებელია თუ არა ირემაშვილის მოგონებები სტალინზე, მოგონებები ადამიანისა, რომელიც ასეთ სავალალო მდგომარეობაში იმყოფებოდა ემიგრაციაში. ადვილი მისახვედრია, რომ ის დაწერდა იმას, რაც აინტერესებდა მის დამკვეთს და ამით, ალბათ, ცხოვრების პირობები გაიუმჯობესა.**



იოსებ ირემაშვილი

ირემაშვილი მემუარების წერას იწყებს 1890 წლის მოგონებებით, ანუ სტალინთან გაცნობით გორის საულიერო სასწავლებელში: **„...სოსო ჯუღაშვილი — ქართულად კი მეტყველებდა ჩვენსავით, მას გამომეტყველება ჩვენნაირი კი ჰქონდა, მაგრამ მისი ცივი მზერა და საუბრის მანერა ჩვენში არასასიამოვნო შეგრძნებებს იწვევდა... იგი იყო გამხდარი, მაგრამ ძლიერი, სპორტული აღნაგობის. მაღალ ფეხებზე შემდგარს ბავშვური სიარულის არაფერი ეტყობოდა და ხელებსაც უცნაურად ხმარობდა ხოლმე. სოსოს მოგრძო სახეს ჭორფლებთან ერთად ჩუტყვავილისგან დარჩენილი შრამები (იარები — გ.ო.) ემჩნეოდა, ხოლო მისი ცივი, მაგრამ ცოცხალი თვალები კეთილგანწყობას ვერ გვიქმნიდა. ჩვენ, ყველანი, მალევე მივხვდით, რომ ეს ადამიანი ყველაფერზე იყო წამსვლელი ნებისმიერი გზით გამარჯვების მოსაპოვებლად. ის ფიზიკურად ძლიერი იყო და ჩვენ მისი გვეშინოდა კიდეც, მაგრამ მისდამი ინტერესი მუდამ გვქონდა. ერთხელ დილით მე და სოსო სკოლის ეზოში ერთმანეთს შევეჭიდეთ. ჭიდაობა დიდხანს გაგრძელდა და საბოლოოდ, ფრედ დასრულდა. ამის შემდეგ დავუახლოვდით მე და სოსო ერთმანეთს ძალიან...“**

ირემაშვილი მემუარებში წერს, როგორ უყვარდა სოსოს ბუნებაში საათობით სიარული, მაგრამ არ უყვარდა ცხოველები და ფრინველები, მეტიც — მას არ უყვარდა, საზოგადოდ, ადამიანები. ერთადერთი, ვინც უყვარდა, იყო მისი დედა. და იქვე დასძენს: **„სოსო მანამდე იყო კარგი ამხანაგი, სანამ მას ემორჩილებოდა“.**

* „... მე და სოსო დიდი ინტერესით ვკითხულობდით იმ ლიტერატურას, სადაც საქართველოს დამოუკიდებლობისთვის ბრძოლაზე იყო საუბარი და **ჩვენ ხშირად ვსაუბრობდით საქართველოს ბედკრულ ისტორიაზე. აღფრთოვანებით ვკითხულობდით და ვსაუბრობდით შოთა რუსთაველის პოემა „ვეფხისტყაოსანზე“, მაგრამ სოსოს განსაკუთრებით უყვარდა ალექსანდრე ყაზბეგის რომანი „ნუნუ“, რომელშიც მთავარი გმირი კობა გახლდათ და, რომელიც იყო ჩაგრული ხალხის მხსნელი. სწორედ ამ ნაწარმოების გამო დაირქვა მან სახელი კობა, რომელიც მისი პირველი ფსევდონიმი გახლდათ, როდესაც დაიწყო პროპაგანდისტული საქმიანობა...** სემინარიაში 10-მა სტუდენტმა, მათ შორის სოსომ, ფარულად შევქმენით ახალგაზრდული სოციალისტური ორგანიზაცია და ასაკით ყველაზე უფროსი, გვარად დევდარიანი, არჩეულ იქნა ჩვენს ხელმძღვანელად. ამას კი ვერ ეგუებოდა მომავალი მსოფლიო ბელადი. კობა დიდი ინტერესით ეცნობოდა და სწავლობდა სოციალისტურ პროგრამებს. მან არ იცოდა დასვენება და ღამითაც ბევრს კითხულობდა. ასეთმა რეჟიმმა მის ჯანმრთელობაზე იმოქმედა და იყო ღამეები, როდესაც კითხვისას ბევრს ახველებდა და მე წიგნს ვართმევდი და სანთელსაც ვუქრობდი... ჩვენი ფარული ორგანიზაცია არსებობას კი განაგრძობდა, მაგრამ კობას გამო ჰარმონია სულ უფრო ირღვეოდა. ზოგი სტუდენტი კობას აზრებს იზიარებდა და, საბოლოოდ, გაჩნდა ორი მხარე — კობას მხარდამჭერებისა და მისი აზრის მოწინააღმდეგენი... მიუხედავად იმისა, რომ კობა სწავლით სემინარიაში გამორჩეული სტუდენტი იყო, მას სემინარიის მასწავლებლები დიდად არ სწყალობდნენ და საქმე იქამდე მივიდა, რომ კობას სწავლის მიმართ გული აუცრუვდა. მეექვსე, ბოლო კლასში გადასვლაზე უარი განაცხადა და დატოვა სასწავლებელი, რადგან იცოდა, რომ სწავლას აზრი აღარ ჰქონდა, ვინაიდან მასწავლებლები მას შესაბამისად არ დაუფასებდნენ ცოდნას. თანაც კობა თვლიდა, რომ მას საკმაო განათლება ჰქონდა მიღებული, დაეწყო პროპაგანდისტული საქმიანობა ცარიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად და ჩაბმულიყო პოლიტიკურ საქმიანობაში. 1899 წელს კობამ სემინარია დატოვა...“

მიუხედავად განსხვავებული პოლიტიკური შეხედულებებისა, კობასა და იოსებს ერთმანეთთან მეგობრობა არ შეუწყვეტიათ, მაგრამ მათი გზები მაინც გაიყო...

ასეთია ამონარიდები იოსებ ირემაშვილის წიგნიდან სტალინზე.

**ირემაშვილის წიგნით არავინ დაინტერესებულა, ანტისტალინისტებისა და ტროცკის მიმდევართა გარდა — „სოციალიზმის პროპაგანდის ნიღაბში იმალება სწრაფვა ძალაუფლებისაკენ. სტალინი, როგორც დემოკრატი, დასახულ მიზნებს ვერ მიაღწევდა და ამისთვის გადახაზა და უარყო დემოკრატია, ხოლო მისი ბედკრული სამშობლოს თავისუფლების ბედი აღარც აინტერესებდა, რადგან მის ძალაუფლებას საზღვარი არ უნდა ჰქონოდა! რუსეთი და მთელი მსოფლიო მისი უნდა ყოფილიყო!“ — დაახლოებით ასე შეაფასეს დასავლურმა, ანტისტალინურმა და ტროცკისტულმა ძალებმა ეს ე.წ მემუარები.**

**აღსანიშნავია, რომ თვითონ მემუარების ავტორმა იმაზე მეტ ხანს იცოცხლა, ვიდრე სტალინისადმი გაგზავნილ წერილში ვარაუდობდა, ბერლინში მისი საფლავი კი დაკარგულია.**

ასე დაემართება ყველას, როგორც იოსებ ირმაშვილს დაემართა, ანუ მას, **ვინც ჰორიზონტზე მყოფ მზეს შეფურთხებას დაუწყებს...**




## გულკეთილი, კარგი სამეგობრო

ბატონი გრიშა ონიანი
ვაჟკაცი გახლავთ წონიანი,
ერთგული დიდი ბელადისა,
დამცველი ღვინის ხელადისაც.
მოლხენა იცის სანაქებო...
უთხრეს, პარტიას განაგებო.
მეფობს ქაოსი რია-რია,
სუყველაფერი მომსპარია.
გვყავს ათასობით ფარსადანი,
საშველი ჩვენი არსად არის.
რა გინდაც იყოს წონიანი,
რას იზამს მარტო ონიანი?!
ოფლად იღვრება, სასიკეთოდ
მობრუნდეს იქნებ ჩვენკენ ბედი!
დაუღალავი გარჯა მისი
მამულს წაადგეს რაიმეთი.
ვინც ველური ვანდალია,
ქართველის სისხლი მან დალია.
ხარობს დუბაი, ანტალია.
ბულბულს არავინ აგალობებს,
ირგვლივ ყვავების ყრანტალია.

**ემზარ კვიტაიშვილი**
დეკემბერი, 2019 წ.

გარყვნილების მფარველი

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ფრანცისკე წარმოშობით არგენტინიდანაა. იქ პირველად კონტინენტზე — თითქმის მთლიანად კათოლიკური მოსახლეობით — დააკანონეს ერთი და იმავე პირთა შორის სამოქალაქო კავშირები და გეიქორწინებები. ამჟამად ან ერთი, ან მეორე თითქმის მთელ ლათინურ ამერიკაში ლეგალიზებულია. ანალოგიური ვითარებაა ევროპაშიც. ახლო მომავალში კი ელოდებიან, რომ ჰომოსექსუალურ კავშირებს დააკანონებენ პირველ აზიურ ქვეყანაში — ფილიპინებზე, რომელიც რეგიონში ყველაზე მეტად კათოლიკურია.**

# სოდომი და გომორა ვატიკანში: რომის პაპმა გეიქორწინების ლეგალიზაციის დაკანონება მოითხოვა

**კათოლიკური ეკლესიის მეთაური ერთი და იმავე სქესის პირთა შორის ქორწინების დაკანონების მოწოდებით გამოვიდა. სულ ცოტა ხნის წინათ ძნელი წარმოსადგენი იყო, რომ რომის პაპი ასეთ რამეს დაუჭერდა მხარს, მაგრამ ეს მოხდა. როგორ ცდილობენ გაუკუღმართებული კავშირების გამართლებას ქრისტიანული მორალით, რატომ არ ეთანხმება ბევრი ასეთ „გამართლებას“ და რას ელოდება ფრანცისკე, როდესაც სექსუმცირესობის დაცვისკენ მოუწოდებს?**

## ფრანგი ფილოსოფოსი: რომის პაპი ევროპის მტერია!



**ფრანცისკე: «ჰომოსექსუალებს აქვთ უფლება, შექმნან ოჯახი. ისინი ღვთის შვილები არიან. ჩვენ გვჭირდება კანონები სამოქალაქო კავშირებზე, რათა ამით დავიცვათ მათი უფლებები». ეს განცხადება, დიდი ალბათობით, გააღრმავებს განხეთქილებას ტრადიციონალისტ და ლიბერალ კათოლიკებს შორის, მაგრამ თვითონ პაპი ახლა ოფიციალურად დადგა ლიბერალების მხარეს**

კონსერვატიული ღვთისმეტყველების თვალსაზრისით, ჰომოსექსუალიზმი შემოქმედის მიერ არის აკრძალული იმ წიგნში, რომელსაც ქრისტიანები უწოდებენ ბიბლიას, ებრაელები — თორას, ხოლო მუსლიმები — ტაურატს: **„და შექმნა ღმერთმა კაცი, ღვთის ხატისაებრ შექმნა იგი, მამაკაცად და დედაკაცად შექმნა ისინი.**

და აკურთხა ისინი ღმერთმა და თქვა: **„აღორძინდით და გამრავლდით“** (ძველი აღთქმა. თავი I. მუხ. 27: მუხ. 28).

ეს იყო პირველი ქორწინება და მისი ურღვევი სტანდარტი უზენაესისგან. მამაკაცი და ქალი ქმნიან კავშირს ბავშვების გასაჩენად. ყველა სხვა ვარიანტი ეშმაკისეულია. მაგრამ ეს, გავიმეორებთ, საკითხისადმი კონსერვატიული მიდგომაა. **დასავლურ კულტურაში ჰომოსექსუალიზმის დაგმობის კონტექსტში უფრო ხშირად იხსენებენ სხვა ბიბლიურ სიუჟეტს სოდომისა და გომორას შესახებ. ამ ქალაქების მცხოვრებთა გარყვნილების ცოდვა ისეთი მძიმე იყო, რომ საჭირო შეიქნა ღმერთის ჩარევა — სასჯელი ზეციდან.**

ჰომოსექსუალიზმი დაგმობილია **მოსეს** კანონებშიც. შემდეგ ამ კანონებში ბევრი რამ შეცვალა **ქრისტემ,** მაგრამ მორალის ნაწილში მან უწინდელი მოთხოვნები დატოვა და, გარკვეული თვალსაზრისით, გაამკაცრა კიდეც: **ქრისტიანმა თავი უნდა აარიდოს არა მხოლოდ ცოდვიან ქმედებას, არამედ მასზე ფიქრსაც კი.**

თვითონ იესო თავის ქადაგებებში ერთი და იმავე სქესის პირთა შორის სექსუალურ ურთიერთობას არსად ახსენებს, ყოველ შემთხვევაში ასეთი ციტატები სახარებაში არ არის. სამაგიეროდ, ამ თემაზე ლაპარაკობდა მოციქული პავლე, რომელმაც ჰომოსექსუალებს პირდაპირი ტექსტით უთხრა უარი ციურ სასუფეველზე, მოციქულმა ცალ-ცალკე მოიხსენია როგორც პასიური, ისე აქტიური ჰომოსექსუალები, აგრეთვე, მრუშები, ლოთები, ბოროტი ენის მქონენი, კერპთაყვანისმცემლები და სხვ.

რომის იმპერიაში პირველი ქრისტიანების პერიოდში ყველა ცოდვა სიკვდილით არ ისჯებოდა, მაგრამ IV საუკუნის მეორე ნახევარში, **კონსტანტინე დიდის** სიკვდილის შემდეგ, ჰომოსექსუალისტებს კოცონზე წვავდნენ.

ცნობილია, რომ ორგიები, მათ შორის ჰომოსექსუალური, ნორმა იყო რომის კერპთაყვანისმცემელ მმართველებს შორის და ე.წ. მაღალი საზოგადოების გართობად ითვლებოდა. რომის მხოლოდ 5 იმპერატორზე შეიძლება ერთმნიშვნელოვნად ითქვას, რომ ისინი გაურბოდნენ მამაკაცებთან სექსუალურ კონტაქტებს.

ახალი, ქრისტიანული მორალი არა მხოლოდ გმობდა ცოდვილი სხეულის მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას უკვდავი სულის საზარალოდ, არამედ ჰომოსექსუალიზმში ხედავდა ძველი ხელისუფლებისთვის დამახასიათებელ ნიშანს — კერპთაყვანისმცემლობას, რომელთა მმართველობის პერიოდში ქრისტიანებს დევნიდნენ.

სხვა სიტყვებით, **ამ ეტაპზე „სოდომურ ცოდვასთან“ ბრძოლაში პოლიტიკური შემადგენელი უფრო მეტი იყო, ვიდრე რელიგიური. ამას ადასტურებს ის ფაქტი, რომ ბევრ ხალხს, რომლებმაც მოგვიანებით გაქრისტიანდნენ, რომაელებისგან მემკვიდრეობით არ მიუღიათ ჰომოსექსუალების დევნის პრაქტიკა...**

ჯერ კიდევ 2016 წელს რომის პაპმა **ფრანცისკემ** განაცხადა, რომ კათოლიკურმა ეკლესიამ ჰომოსექსუალებს ბოდიში უნდა მოუხადოს წარსულში დევნის გამო. „და, როდესაც მე ვამბობ „ეკლესიას“, ვგულისხმობ ყველა ჩვენგანს — ქრისტიანს; იმიტომ, რომ ეკლესია წმინდაა, ხოლო ჩვენ — ცოდვილები“, — დასძინა ფრანცისკემ.

ეს წმინდა ტახტისთვის უპრეცედენტო განცხადება იყო, მაგრამ არსობრივად რევოლუციური იმხანად არაფერი მომხდარა.

**კათოლიკურ ეკლესიაში ადრეც იყო მიდგომა, რომლის მიხედვით უნდა დაგმობილიყო ცოდვა (ჰომოსექსუალური აქტი), მაგრამ არა ცოდვის ჩამდენი (ჰომოსექსუალები), პირიქით — უნდა გამოევლინათ მზრუნველობა, რათა გადაერჩინათ მათი სულები. ცოდვილთა სულების გადარჩენის საკითხში კათოლიკები მართლმადიდებლებს ეთანხმებიან, მაგრამ, რაც ახლა ხდება, მართლაც ხმაურიანი ნოვაციაა. ჰომოსექსუალი წყვილების სამოქალაქო კავშირის მხარდაჭერით პონტიფიკმა, უწინარესად, გააკეთა პოლიტიკური მოწოდება, რომლის რეალიზება მხოლოდ სამოქალაქო ხელისუფლებებს შეუძლიათ.**

აქ საჭიროა, განიმარტოს, რა არის სამოქალაქო კავშირი. მათთვის რაღაც ერთი სტანდარტი არ არსებობს, მაგრამ ხშირად **ეს კავშირები გეიქორწინებებისგან განსხვავდება მხოლოდ სახელწოდებითა და შექმნის იურიდიული პროცედურებით. შედეგად ერთი და იმავე სქესის წყვილი იღებს იმავე ან თითქმის იმავე უფლებებს, რომელსაც ჩვეულებრივი ოჯახი, თუმცა სხვა ფირნიშით.**

ეს არის ის, რაც აღელვებდა მრავალრიცხოვანი საპროტესტო აქციის მონაწილეებს საფრანგეთში, როცა იქ გეიქორწინებები დააკანონეს: კეთილი, გეების უფლებები აღიარეთ, ჯანდაბას, იყოს ოფიციალური სტატუსი არატრადიციული ოჯახებისთვის, მაგრამ გეიქორწინების გათანაბრება ქრისტიანულ ქორწინებასთან? — ეს მეტისმეტია!

მაგრამ **ამჟამად ამ კონცეფციას მიიჩნევენ დასავლეთში პროგრესულად, როგორც თანასწორობას პრინციპის განმამტკიცებელს, რადგან ერთი და იმავე სქესის პირთა შორის სამოქალაქო კავშირი კი „არის იგივე“, მაგრამ თითქოს ნახევარზომაა.**

ადრინდელი ვატიკანის თვალსაზრისით, ერთი და იმავე სქესის პირთა შორის სამოქალაქო კავშირები ისევე მიუღებელი იყო, როგორც გეიქორწინებები, რადგან ე.წ. სამოქალაქო კავშირი ამ პირებს არ აიძულებს, უარი თქვან ცოდვიან საქციელზე, პირიქით — აქეზებს მათ.

მაგრამ ფრანცისკემ განაცხადა:

**„ჰომოსექსუალებს აქვთ უფლება, შექმნან ოჯახი. ისინი ღვთის შვილები არიან. ჩვენ გვჭირდება კანონები სამოქალაქო კავშირებზე, რათა ამით დავიცვათ მათი უფლებები“. ეს, დიდი ალბათობით, გააღრმავებს** ▶



**იესო თავის ქადაგებებში ერთი და იმავე სქესის პირთა შორის სექსუალურ ურთიერთობას არსად ახსენებს, ყოველ შემთხვევაში ასეთი ციტატები სახარებაში არ არის. სამაგიეროდ, ამ თემაზე ლაპარაკობდა მოციქული პავლე, რომელმაც ჰომოსექსუალებს პირდაპირი ტექსტით უთხრა უარი ციურ სასუფეველზე, მოციქულმა ცალ-ცალკე მოიხსენია როგორც პასიური, ისე აქტიური ჰომოსექსუალები, აგრეთვე, მრუშები, ლოთები, ბოროტი ენის მქონენი, კერპთაყვანისმცემლები და სხვ.**

**„მართლმადიდებელ სამყაროში ყველა ეკლესია თანაბარია და არც ერთს არ აქვს სხვაზე უპირატესობა. ამ ტომოსში კი ასეთი რამ ჩადებულია, ამიტომ, თუ გვინდა, მართლმადიდებლობის სიწმინდე შევინარჩუნოთ, არ შეიძლება ამ ტომოსის აღიარება. და ასეც აკეთებენ მართლმადიდებელი ეკლესიები“.**

**ფეიკ-ტომოსი**

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**◀ განხეთქილებას ტრადიციონალისტ და ლიბერალ კათოლიკებს შორის, მაგრამ თვითონ პაპი ახლა ოფიციალურად დადგა ლიბერალების მხარეს.** ადრე კონსერვატორები ახერხებდნენ თავიანთი ხაზის შენარჩუნებას: **სანამ პაპის ტახტზე დაჯდებოდა, ფრანცისკემ მხარი დაუჭირა ერთი და იმავე სქესის პირთა შორის სამოქალაქო კავშირებს თავის ეპარქიაში — არგენტინაში, მაგრამ ვატიკანში გადასვლის შემდეგ ამ საკითხზე კარგა ხნის განმავლობაში კრინტი არ დაუძრავს.**

ახლა კი თითქოს წერტილი დასვა — აღიარა ახალი სიოს ქროლვა, თანაც ადამიანის უფლებების დაცვის კონტექსტში. ეს მნიშვნელოვანი დაზუსტებაა.

არა მხოლოდ ერთი და იმავე სქესის პირთა შორის კავშირების, არამედ სრულფასოვანი გეიქორწინებების ლეგალიზაციის მხარდამჭერები არიან **ინგლისის, შვედეთის, დანიის, ნორვეგიის** პროტესტანტული ეკლესიები; **აშშ-ში** კი საეპისკოპოსო ეკლესიები (მოსახლეობის 1-2%), რომლებიც პოპულარულია პოლიტიკოსებსა და ბიზნესმენებს შორის. ამ ეკლესიების მრევლის წარმომადგენელი იყო აშშ-ის 11 პრეზიდენტი, ე.ი., ყოველი მეოთხე. **ისინი (საეპისკოპოსო ეკლესიები) განსხვავდებიან ერთმანეთისგან, მაგრამ ჰომოსექსუალური ქორწინებების მიმართ ერთნაირი თვალსაზრისი აქვთ: დავუშვათ, ჰომოსექსუალური საქციელი ცოდვაა, მაგრამ ერთი პარტნიორისადმი ერთგულება ერთი კავშირის ფარგლებში აშკარად უკეთესია უთავბოლო კავშირებზე. და, რადგან ჰომოსექსუალებს ჰომოსექსუალურ ქცევებზე უარის თქმა არ სურთ, მათ უნდა მივცეთ ინსტიტუტი, რომელიც გულისხმობს მონოგამიას, და წავახალისოთ, რათა შექმნან ოჯახები.**

ძნელია, ამ ლოგიკას შეეწინააღმდეგო, თუმცა თავის „ისტორიულ“ (როგორც ზოგიერთი დასავლური გამოცემა წერს) მოწოდებაში ფრანცისკეს ეს ლოგიკა საერთოდ არ უხსენებია. მისი განმარტებით, ოჯახის შექმნა არის უფლება, რომელიც უნდა დავიცვათ.

ამ ყველაფერს შეიძლება მოჰყვეს საინტერესო პოლიტიკური შედეგები. მაგალითად, **საინტერესოა, როგორ გამოძვრება ამ ვითარებიდან** პოლონეთი ქვეყნის მმართველი პარტია **„სამართალი და სამართლიანობის“ ხელმძღვანელობით. იქ ახლა თავს წარმოაჩენენ ევროპული ტრადიციული ფასეულობების ბასტიონად. აღნიშნული პარტიის წარმომადგენლები სახელმწიფოს დონეზე ებრძვიან „ჰომოსექსუალური იდეოლოგიის გამართლებას“ და ერთი და იმავე სქესის პირთა შორის კავშირის გაგონებაც კი არ სურთ, მაგრამ ახლა ირკვევა, ისეთ ზნეობრივი ავტორიტეტი, როგორიც რომის პაპია, ამ საკითხზე სხვა აზრისაა.**

სხვათა შორის, პოლონეთი განსაკუთრებული შემთხვევაა. კათოლიკური სამყაროს დიდი ნაწილის აზრით კი, ფრანცისკემ, როგორი დამოკიდებულებაც უნდა ჰქონდეთ მისი მოწოდების მიმართ, უბრალოდ, მომხდარი აღიარა. **ლგბტ-ის უფლებები ისეთი ბორბალია, რომელსაც, ალბათ, უკვე ველარ შეაჩერებენ. სამოქალაქო ხელისუფლების დონიდან მან უკვე გადააბიჯა ტრადიციულ კათოლიკურ ტერიტორიაზე.**

ფრანცისკე, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, წარმოშობით **არგენტინიდანაა,** სახელდობრ, **იქ პირველად კონტინენტზე — თითქმის მთლიანად კათოლიკური მოსახლეობით — დააკანონეს ერთი და იმავე პირთა შორის სამოქალაქო კავშირები და გეიქორწინებები. ამჟამად ან ერთი, ან მეორე თითქმის მთელ ლათინურ ამერიკაშია ლეგალიზებული.** ანალოგიური ვითარებაა ევროპაშიც. ახლო მომავალში კი ელოდებიან, რომ ჰომოსექსუალურ კავშირებს დააკანონებენ პირველ აზიურ ქვეყანაში — **ფილიპინებზე**, რომელიც რეგიონში ყველაზე მეტად კათოლიკურია.

მოკლედ, **ცისარტყელას ტალღამ ჯერ პროტესტანტულ ქვეყნებს გადაუარა, შემდეგ მათ კვალს სწრაფად მიჰყვნენ კათოლიკები. სამოქალაქო ხელისუფლებები მხოლოდ ახლა მიხვდნენ, რას მოუწოდებს ვატიკანი, სამწუხაროდ კი დაასწრო მწყემსს. ევროპაში ერთი და იმავე სქესის პირთა შორის პარტნიორობა ან გეიქორწინებები ლეგალიზებულია კათოლიციზმის ისეთ ბურჯებში, როგორიც არის ირლანდია, ესპანეთი, პორტუგალია, საფრანგეთი (გეიქორწინებები), ავსტრია, იტალია, ხორვატია (სამოქალაქო კავშირები). რიგში ლიტვაა.**

ისე, მთლად გასაგები არ არის, ვის მიმართა რომის პაპმა — ალბათ, იმავე პოლონეთსა და ლათინური ამერიკის ცალკეულ „ჭირვეულ კუთხეებს“, თუკი ფილიპინებზეც კი ამ მხრივ მოქმედება მანამდე დაიწყეს, სანამ პაპი მოუწოდებდა.

მართლმადიდებელი სამყარო უფრო მონოლითურად გამოიყურება ერთი და იმავე სქესის პირთა შორის ქორწინებების მიუღებლობის შესახებ კონსენსუსი სამოქალაქო და საეკლესიო ხელისუფლებებს შორის ჯერჯერობით უძლებს შეტევებს, მაგრამ არის პირველი „დანაკარგებიც“ — ასეთი კავშირები უკვე ლეგალიზებულია **საბერძნეთში, კვიპროსსა** და **ჩერნოგორიაში.**

მაგრამ ამ „კონსტრუქციის“ სიმტკიცეს დიდი გამოცდა ელის. თავის დროზე კათოლიკე კონსერვატორებსაც მიაჩნდათ, რომ მათ ძალუძდათ „ცისარტყელის ტალღის“ შეჩერება, მაგრამ ვატიკანმა თავისი გაიტანა.

როგორც ჩანს, აღმოსავლეთ ევროპაშიც ანალოგიური პროცესები განვითარდება, თუმცა კათოლიკურ ქვეყნებთან შედარებით ცოტა დაგვიანებით. სოციოლოგები აღნიშნავენ, რომ თითქმის ყველა ქვეყნის 30 წლამდე ახალგაზრდა თაობაში მკვეთრად მოიმატა ტოლერანტულობამ სექსუალური უმცირესობების მიმართ...

**vz.ru-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა**
**ნიკა კორინთელმა**

**P.S. ცნობილმა ფრანგმა ფილოსოფოსმა, მწერალმა და ჟურნალისტმა, გაზეთ „ლა ფიგაროს“ მიმომხილველმა ერიკ ზემურმა გამოცემა RMX-ისთვის მიცემულ ინტერვიუში რომის პაპის მოწოდება ასე შეაფასა: „პაპი ფრანცისკე ევროპის მტერია. მან ვატიკანი არასამთავრობო ორგანიზაციად გადააქცია, ევროპის მტრების გვერდით დადგა და უარი თქვა ქრისტიანულ დოგმებზე... ამჟამინდელი პაპი „პოსტკათოლიკური პაპია“.**





# ფილარეტმა ორი წლის შემდეგ ოფიციალურად აღიარა, რომ ტომოსი მართლმადიდებლობის წინააღმდეგაა მიმართული



**„აღიარება ტომოსისა, რომელიც გადასცეს უკრაინის მართლმადიდებელ ეკლესიას, ნიშნავს დათანხმებას დოკუმენტის შინაარსზე, რომ მართლმადიდებლობაში კონსტანტინოპოლის პატრიარქის ძალაუფლებაა უპირატესი“, — განაცხადა კიევის საპატრიარქოში განხეთქილების შემომტანთა („რასკოლნიკების“) მეთაურმა მიხეილ დენისენკომ (ფილარეტმა) ტელეარხ „უკრაინა 24“-ისთვის მიცემულ ინტერვიუში.**

„მე მართლაც მოვუწოდე, არ ვაღიაროთ ტომოსი და არც ერთი ეკლესია, იმის მიუხედავად, მე მოვუწოდებ თუ არა, ამ ტომოსს ისინი არ აღიარებენ. უკვე გავიდა 2 წელიწადი, და არც ერთი ეკლესია, მათ გარდა, რომლებმაც თავიდანვე აღიარეს (ელადისა და ალექსანდრიის — გ.გ.), ტომოსს არ აღიარებს, იმიტომ, რომ ამ ტომოსში ჩადებულია მართლმადიდებლობის სიწმინდეებისგან განზე განდგომა, რაც გამოიხატება იმაში, რომ კონსტანტინოპოლის პატრიარქს ექნება არა მხოლოდ პატივის უპირატესობა, არამედ მისი ძალაუფლება იქნება უპირატესი მართლმადიდებლობაში, ეს კი თავისებური პაპიზმია.

ჩვენ მართლმადიდებლები ვართ თუ კათოლიკები? **მართლმადიდებელ სამყაროში ყველა ეკლესია თანაბარია და არც ერთს არ აქვს სხვაზე უპირატესობა. ამ ტომოსში კი ასეთი რამ ჩადებულია, ამიტომ, თუ გვინდა, მართლმადიდებლობის სიწმინდე შევინარჩუნოთ, არ შეიძლება ამ ტომოსის აღიარება. და ასეც აკეთებენ მართლმადიდებელი ეკლესიები“,** — თქვა ფილარეტმა.

ტელეწამყვანის კითხვაზე — მაშინ, რატომ არ განაცხადეთ, როდესაც პოროშენკომ დაიწყო ეს პროცესი? — ფილარეტმა უპასუხა:

„ამჟამად ეს განცხადებაა, მაგრამ ამაზე თავიდანვე ვლაპარაკობდი, როცა გამოჩნდა ეს ტომოსი. და გამოჩნდა ის ჩვენთვის მოულოდნელად. ჩვენ ველოდებოდით ისეთ ტომოსს, როგორიც აქვთ სხვა მართლმადიდებელ ეკლესიებს. ეგრეთ წოდებულ **მართლმადიდებელ ეკლესიას უკრაინისა კი ასეთი ტომოსი არ აქვს, რადგან კონსტანტინოპოლის პატრიარქზე დამოკიდებულად აქციეს, ამიტომაც ვთქვი უარი უკრაინის მართლმადიდებელ ეკლესიაზე და განზე გავდექი — მე არ ვეთანხმები ამ ტომოსის შინაარსს. ტომოსი შედგენილია კონსტანტინოპოლში. მის შედგენაში არ მონაწილეობდა მართლმადიდებელი ეკლესია, ის კონსტანტინოპოლის პატრიარქმა შეადგინა თავის სინოდთან ერთად, ჩვენ გამზადებული გადმოგვცეს. ჩვენ ვფიქრობდით, რომ ტომოსი ისეთი იქნებოდა, როგორიც სხვებს აქვთ, მაგრამ ისეთი არ არის. მასში ჩადებულია კონსტანტინოპოლის პატრიარქის ძალაუფლების უპირატესობა“,** — განაცხადა ფილარეტმა. მისი თქმით, ერთ-ერთი ასეთი პუნქტი არის სახელწოდება — არა უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესია, არამედ **მართლმადიდებელი ეკლესია უკრაინისა,** ე.ი., მიბმულია გარკვეულ ტერიტორიაზე და არ ვრცელდება უცხოეთში მცხოვრებ უკრაინელ მრევლზე. ეს ხდება კონსტანტინოპოლის სასარგებლოდ. ამას გარდა, მართლმადიდებელი ეკლესია უკრაინისა ვალდებულია, ბავშვების მოსანათლადაც კი მირონი კონსტანტინოპოლისგან აიღოს.

„სად არის აქ ავტოკეფალია და დამოუკიდებლობა? არ არის. მესამე — როცა რთული საკითხები წარმოიქმნება, მათი გადაწყვეტა ადგილობრივ ეკლესიებს თავიანთ წიაღში შეუძლიათ, ე.ი., დამოუკიდებლად. ამ ტომოსით კი ასეთ საკითხებს კონსტანტინოპოლის პატრიარქი წყვეტს. სად არის ავტოკეფალია? ამიტომ არ ვაღიარე ეს ტომოსი“, — აღნიშნა დენისენკომ.

**politnavugator.net-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა**
**ლუკა მაისურაძემ**

ნარკოტრაფიკი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**მექსიკის პრეზიდენტმა ეჭვი შეიტანა ვაშინგტონის გულწრფელობაში, რომელმაც მეხიკოს ჯერ კიდევ 1979 წელს მოახვია თავს ნარკოტიკებთან ბრძოლის აგრესიული პოლიტიკა და მას შემდეგ ეს პოლიტიკა კიდევ რამდენიმე ქვეყანაში გამოსცადა. ამ პოლიტიკამ სისხლიანი კონფლიქტები გამოიწვია ისეთ ქვეყნებში, როგორებიცაა კოლუმბია და მექსიკა, ხოლო სისხლიან კონფლიქტებს ლათინურ ამერიკაში ბოლო არ უჩანს, თვით აშშ-ში კი ამ პოლიტიკის გამოყენებას ვაშინგტონი არ ჩქარობს.**

# აშშ — მსოფლიო ნარკოტრაფიკის ეპიცენტრი



**მემარცხენე მიმართულების მექსიკურ გაზეთ La Jornada-ს მიმომხილველები გაკვირვებით სვამენ კითხვას — აშშ, რამელმაც საომარი მოქმედებების თეატრად აქცია მექსიკის, ჰონდურასისა და კოლუმბიის ზოგიერთი რეგიონი, ასეთივე მკაცრ მეთოდებს რატომ არ იყენებს თავის ტერიტორიაზე? „ნარკოტიკებთან ომში“ უკვე დაიღუპა 60 ათასი ადამიანი და მათი უმრავლესობა ამერიკის მოქალაქე არ არის.**

17 ოქტომბერს მექსიკის პრეზიდენტმა **ანდრეს მანუელ ლოპეს ობრადორმა** თავის გამოსვლაში ხაზგასმით აღნიშნა, რომ დიდი მნიშვნელობა აქვს აშშ-ის ნარკოტიკებთან ბრძოლის სამმართველოს ქმედების გამო გამოძიების ჩატარებას. ეს აიხსნება აშშ-ის ამ ძალოვანი უწყების მჭიდრო თანამშრომლობით მექსიკის საზოგადოებრივი უსაფრთხოების ყოფილ მდივან **ხენარო გარსია ლუნასა** და თავდაცვის ყოფილ მინისტრ, გენერალ **სალვადორ სიენფუეგოს სეპედასთან.** ორივე — ლუნაც და სეპედაც — აშშ-ში დააპატიმრეს ნარკოტიკების ვაჭრობის ბრალდებით.

მექსიკის პრეზიდენტმა მტკივნეულად აღიქვა ქვეყნის ორი ყოფილი მაღალჩინოსნის დაპატიმრება. ლოპეს ობრადოსის თქმით, აშშ-ის ნარკოტიკებთან ბრძოლის სამმართველო და სხვა ორგანოები **„მექსიკის საქმეებში ერეოდნენ და მბრძანებლობდნენ ჩვენს ტერიტორიაზე, იმას აკეთებდნენ, რასაც მოისურვებდნენ“.** მექსიკის პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ ამერიკულმა სამმართველომ „მექსიკას უნდა აცნობოს ასეთ საქმეებში თავისი მონაწილეობის შესახებ, მან უნდა აცნობოს მექსიკის ყოფილი მაღალჩინოსნების წინააღმდეგ მოქმედებაზე. განა აშშ-ს არ ეკისრება პასუხისმგებლობა ნაროტიკების საწინააღმდეგო ოპერაციის ფარგლებში იარაღის შემოტანაზე?“ — დასვა შეკითხვა მექსიკის პრეზიდენტმა (აშშ-ის მოთხოვნით, 2006 წელს „ნარკოტიკების წინააღმდეგ დაწყებული ომის“ შედეგად მექსიკაში 60 ათასი მოქალაქე დაიღუპა და ამერიკელების მიერ გამოყენებულ ძალისმიერ მეთოდებს ბევრი აკრიტიკებს).

მექსიკის პრეზიდენტმა ეჭვი შეიტანა ვაშინგტონის გულწრფელობაში, რომელმაც მეხიკოს ჯერ კიდევ 1979 წელს მოახვია თავს ნარკოტიკებთან ბრძოლის აგრესიული პოლიტიკა და მას შემდეგ ეს პოლიტიკა კიდევ რამდენიმე ქვეყანაში გამოსცადა. ამ პოლიტიკამ სისხლიანი კონფლიქტები გამოიწვია ისეთ ქვეყნებში, როგორებიცაა კოლუმბია და მექსიკა, ხოლო სისხლიან კონფლიქტებს ლათინურ ამერიკაში ბოლო არ უჩანს, თვით აშშ-ში კი ამ პოლიტიკის გამოყენებას ვაშინგტონი არ ჩქარობს. **აშშ-ის განცხადებით, ნარკომანიაზე, რომლითაც ზოგიერთი შტატის მოსახლეობაა შეპყრობილი, პასუხისმგებლობა ეკისრება ნარკოტიკების მწარმოებელ ქვეყანას, აგრეთვე, ქვეყნებს, რომელთა გავლითაც ეს ნარკოტიკები აშშ-ში შედის. რატომ თავიანთ ქვეყანას არ მიხედავენ ამერიკელები? უკვე წლებია, სახელდობრ, აშშ წარმოადგენს მსოფლიო ნარკოტრაფიკის ეპიცენტრს.** მოხმარებული აკრძალული ნარკოტიკების ყველაზე დიდი მოცულობა აშშ-ის მოსახლეობაზე მოდის. აშშ-ის სამხედრო მრეწველობა — ეს არის იარაღის, საბრძოლო მასალებისა და სხვა რესურსების მთავარი მიმწოდებელი დანაშაულებრივი ორგანიზაციებისთვის, რომლებიც აწარმოებენ ნარკოტიკებს, შემდეგ კი გადააქვთ სხვა ქვეყნებში და ყიდიან.

**აშშ-ის საფინანსო სტრუქტურები კი ხელს უწყობენ ნარკოვაჭრობით მოპოვებული ფულის გათეთრებას, რომელსაც კოლოსალური მოგება მოაქვს აშშ-ის ბანკებისა და ვალუტის გადამცვლელი პუნქტებისთვის. ამას გარდა, იარაღის მიმწოდებლები, უშიშროების სამსახურების თანამშრომლები, ჯაშუშობისა და იურიდიული კაზუისტიკის ოსტატები მექსიკის მეზობელი ქვეყნიდან დებენ უამრავ გარიგებას. ისინი გამოიმუშავებენ დიდძალ ფულს თავიანთი მომსახურების გაყიდვით იმ მთავრობებისთვის, რომლებიც ცდილობენ, ებრძოლონ ნარკოტიკების ტრანზიტს.**

შედეგად, იმ ქვეყნებისთვის, რომლებშიც აწარმოებენ ნარკოტიკებს და გააქვთ სხვა ქვეყნებში, აშშ-ის რჩევების გათვალისწინება იწვევს ძალადობას, ადამიანურ და ქონებრივ დანაკარგებს, სოციალურ განცალკევებულობას, საზოგადოების დაყოფას მდიდრებად და ღარიბებად, მომხრეებად და მოწინააღმდეგეებად და ა.შ. ამ ყველაფერთან დაკავშირებული პირები აშშ-ში დიდძალ ფულს გამოიმუშავებენ ლათინური ამერიკის ქვეყნებისთვის გაწეული „სამსახურით“.

წარმოუდგენელია, რომ ეს ყველაფერი ხდება ვაშინგტონელი მაღალჩინოსნების, აგრეთვე, ზოგიერთი გავლენიანი პირის გვერდის ავლით. ვერავინ დაიჯერებს, რომ აშშ-ში შეტანილი ნაროტიკები ვინმეს ხელის შეწყობის გარეშე თავისუფლად ვრცელდება (წელიწადში ასობით ტონა მხოლოდ კოკაინი შედის). აღსანიშნავია, რომ ნარკოტრაფიკის წინააღმდეგ ეს ბრძოლა გამოიხატება მხოლოდ ქუჩაში წვრილი ნარკორეალიზატორების დაპატიმრებით.

**აშშ-ის ხელისუფლებას თავის ქვეყანაში არ სურს ნარკოტიკების წინააღმდეგ ბრძოლის იმ რეცეპტის გამოყენება, რომელსაც მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში იყენებს. მექსიკაში ამერიკელები მოითხოვენ სისხლის სამართლის დევნას ნარკოკარტელებთან დაკავშირებული პოლიტიკური ძალების მიმართ, ამ ძალების წინააღმდეგ სამხედროების გამოყენებას, შერჩევით დაპატიმრებებს და მიზნობრივ ინდივიდუალურ მკვლელობებსაც კი. თავიანთ ქვეყანაში კი ამერიკელები გაცილებით რბილად მოქმედებენ და ეს ეჭვს აჩენს.**

ისტორიაში მოიძებნება შემთხვევები, როდესაც ნარკოტრაფიკი ხორციელდებოდა აშშ-ის მაღალი რანგის სამოქალაქო და სამხედრო მოღვაწეების ხელშეწყობით. მაგალითად, ასე მოხდა ვიეტნამის ომის პერიოდში ოპერაცია „ირან-კონტრას“-ის განხორციელებისას კოკაინის შეტანა აშშ-ში.

მექსიკის პრეზიდენტ **ლოპეს ობრადორის** განცხადებით, წამლებისა და ნარკოტიკული საშუალებების ბრუნვის ზედამხედველობის ამერიკულმა უწყებამ მექსიკურ დანაშაულებრივ ორგანიზაციას დიდი სიმძლავრის იარაღი გადასცა. მეტიც, 2009-2011 წლებში ნარკოტიკების წინააღმდეგ მებრძოლი ამერიკული ორგანიზაცია (DEA) დაეხმარა ნარკოკარტელის მეთაურ ხოაკინ გუსმანს (ცნობილია მეტსახელით ჩაპო — „მოკლე“), 10 მლნ დოლარი გაათეთრებინა აშშ-ის ფინანსურ სისტემაში. ეს ყველაფერი მოხდა „ინიციატივა მერიდას“ ფარგლებში, რომელსაც 2008 წელს ხელი მოაწერეს აშშ-ის პრეზიდენტმა **ჯორჯ ბუში-უმცროსმა** და მისმა მექსიკელმა კოლეგამ **ფილიპე კალდერონმა.**

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას: **უცნაურია, რომ აშშ თავს წარმოგვიდგენს უცოდველად და უარს ამბობს რაიმე პასუხისმგებლობის დაკისრებაზე, არადა, თუ ნარკოსახელმწიფოზეა ლაპარაკი, ამის კლასიკური მაგალითი სწორედ ამერიკის შეერთებული შტატებია.**




**მექსიკის პრეზიდენტმა მტკივნეულად აღიქვა ქვეყნის ორი ყოფილი მაღალჩინოსნის დაპატიმრება. ლოპეს ობრადოსის თქმით, აშშ-ის ნარკოტიკებთან ბრძოლის სამმართველო და სხვა ორგანოები «მექსიკის საქმეებში ერეოდნენ და მბრძანებლობდნენ ჩვენს ტერიტორიაზე, იმას აკეთებდნენ, რასაც მოისურვებდნენ». მექსიკის პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ ამერიკულმა სამმართველომ «მექსიკას უნდა აცნობოს ასეთ საქმეებში თავისი მონაწილეობის შესახებ, მან უნდა აცნობოს მექსიკის ყოფილი მაღალჩინოსნების წინააღმდეგ მოქმედებაზე»**




**inosmi.ru- ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა**
**გიორგი გაჩეჩილაძე**

დასავლური სცენარი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ოპოზიცია უხმობს ამერიკელ კურატორებს, რომ სამხედრო ძალით დაეხმარონ, ამიტომ არ უნდა გამოვრიცხოთ, რომ ამერიკელების მარიონეტები შეეცდებიან, საქართველოც ჩაითრიონ ყარაბაღის კონფლიქტში. ეს არც ისე მარტივი იქნება, მაგრამ გამორიცხული არაფერია. იმედია, საქართველოს ხელისუფლება გონივრულად იმოქმედებს და პროვოკაციებს აღკვეთს.**





# «აღმოსავლური პარტნიორობა» და საქართველო





**ამერიკელებს, კერძოდ, ჯო ბაიდენს, დევიდ კრამერსა და სხვებს საქართველოშიც ჰყავთ დასაყრდენი პოლიტიკური ძალები — «ნაციონალური მოძრაობა» და «ევროპული საქართველო», რომლებმაც გასული წლის ზაფხულში პარლამენტზე მიიტანეს იერიში და სახელმწიფო გადატრიალების მოწყობას ცდილობდნენ. ამ ძალებს 31 ოქტომბრის არჩევნებში გამარჯვების შანსი, ფაქტობრივად, არ აქვთ, ამიტომ, შესაძლოა, უარყონ არჩევნების შედეგები, ხელისუფლება დაადანაშაულონ გაყალბებაში და არ არის გამორიცხული, გაიმეორონ პარლამენტზე იერიში**

**თანამედროვე მსოფლიოში პოლიტიკური და ეკონომიკური პროცესები სწრაფი ტემპით ვითარდება და ნებისმიერი ქვეყნისთვის ამ პროცესებში გარკვევას სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს — აუცილებელია მათი გაანალიზება და, რაც მთავარია, სწორი გადაწყვეტილებების მიღება ქვეყნის საგარეო კურსზე, მით უმეტეს, რომ ურთულეს რეგიონში ვცხოვრობთ. კავკასია ევროპისა და აზიის გზაჯვარედინია, აქ რამდენიმე ზესახელმწიფოს ინტერესები იკვეთება, ამიტომ საქართველოსთვის არასდროს ყოფილა იოლი საკუთარი პოლიტიკური ინტერესების დაცვა. დღევანდელ ვითარებაში კი ეს უფრო გართულებულია. აქედან გამომდინარე, აუცილებელია, ვიცოდეთ, რა პროცესები მიდის როგორც მსოფლიოში, ისე რეგიონში და განვსაზღვროთ, როგორი პოზიცია უნდა დაიკავოს საქართველომ საგარეო პოლიტიკაში, რათა კრიზისულ ვითარებაში არ დაზარალდეს არც ხალხი და არც სახელმწიფო.**

საქართველოს ხელისუფლება ემხრობა ე.წ. დასავლურ კურსს, ანუ ნატოსა და ევროკავშირის გზას, აშშ-ს კი სტრატეგიულ პარტნიორად მიიჩნევს, საიდუმლო არავისთვის არის, რომ ვაშინგტონს სერიოზული გავლენა აქვს საქართველოზე. დასავლეთში, კერძოდ **აშშ-ში**, ფაქტობრივად, სამოქალაქო ომია — ბოლო რამდენიმე თვეა, თითქმის ყველა შტატში დაპირისპირებაა სხვადასხვა ჯგუფს შორის, დემონსტრატები იკავებენ სახელმსიფო შენობებს, ხშირია შეტაკება პოლიციასთან და ა.შ. ურთულესი ვითარებაა ევროპაშიც. **საფრანგეთში,** უკვე წელიწადზე მეტია, „ყვითელი ჟილეტების“ აქციები არ წყდება, საპროტესტო აქციებია **გერმანიასა** და **ესპანეთშიც. ბრიტანეთმა** კი დატოვა ევროკავშირი, რომელშიც ჩვენ, დიდი ხანია, გვეპატიჟებიან, მაგრამ არავინ იცის, რას მიიღებს საქართველო ევროკავშირში ინტეგრაციით, სადაც უამრავი პრობლემაა და რომელიც უკვე დაშლის პირასაა. მაგრამ ევროპელები დაპირებებს არ იშურებენ, მეტიც, ქმნიან ორგანიზაციებს, რომელთა საშუალებით ცდილობენ, დააჩქარონ ე.წ. ევროინტეგრაცია, იგულისხმება ევროკავშირის ინიციატივით შექმნილი პროექტი „აღმოსავლური პარტნიორობა“, რომელშიც შედის **უკრაინა, ბელარუსი, საქართველო, მოლდოვა, სომხეთი** და **აზერბაიჯანი.** აღნიშნული პროექტის ერთ-ერთი „კურატორი“ არის **დონალდ ტუსკი** — პოლონეთის ყოფილი პრემიერი, ევროსაბჭოს ყოფილი თავმჯდომარე და ახლა უკვე ხელმძღვანელი ევროპის სახალხო პარტიისა, რომელიც უმსხვილესი ტრანსნაციონალური პარტიაა ევროკავშირში. ვინც ოდნავ მაინც ერკვევა ევროკავშირის პოლიტიკური ფიგურების საქმიანობაში, მისთვის ცნობილია, რომ დონალდ ტუსკი მჭიდროდ არის დაკავშირებული აშშ-თან, კერძოდ, დემოკრატიული პარტიის ლიდერ **ჯო ბაიდენთან,** რომელიც მსოფლიოში „ფერადი რევოლუციების“ მთავარი ორგანიზატორია. გადავიდეთ ფაქტებზე: კიევში „მაიდანი“, ანუ მორიგი „ფერადი რევულიცია“ წარმატებით განხორციელდა, რასაკვირველია, ამერიკელი პოლიტიკოსების მხარდაჭერით, რომლებიც აქციებზე სიტყვით გამოდიოდნენ და ფუნთუშებს ურიგებდნენ დემონსტრანტებს, რომლებიც „მოლოტოვის კოქტეილებს“ ესროდნენ კიევის პოლიციას და რომლებმაც მოქმედი პრეზიდენტი ქვეყნიდან გააგდეს. ხელისუფლების დამხობას უკრაინაში ეკონომიკური კრიზისი მოჰყვა, ხოლო მის საშინაო და საგარეო პოლიტიკას ამერიკელები განაგებენ ბაიდენის მეთაურობით — უკრაინა აშშ-ის კოლონიად გადაიქცა. **ყველას ახსოვს ბაიდენის ვიზიტი კიევში, როცა მან სამთავრობო სხდომა ჩაატარა, როგორც ქვეყნის რეალურმა მმართველმა.**

2020 წლის ზაფხულში „აღმოსავლური პარტნიორობის“ კიდევ ერთ წევრ სახელმწიფოს „ესტუმრა“ რევოლუციის ტალღა — ბელარუსში რაც ხდება, ყველა საერთაშორისო ნორმის დარღვევაა დასავლეთის ქვეყნების მხრიდან, როდესაც ისინი არ ცნობენ ბელარუსი ხალხის მიერ კანონიერად არჩეულ პრეზიდენტს, **ალექსანდრე ლუკაშენკოს,** და ბელარუსის პრეზიდენტად **სვეტლანა ტიხონოვსკაიას** აღიარებენ. ეს ძალიან ჰგავს ვენესუელაში განვითარებულ მოვლენებს, სადაც საპრეზიდენტო არჩევნებში ნიკოლას მადურომ გაიმარჯვა, მაგრამ აშშ-მა პრეზიდენტად ხუან გუაიდო აღიარა. ბელარუსშიც ანალოგიური სცენარით მოქმედებენ რეჟისორები, იგულისხმება ჯო ბაიდენი და მისი ჯგუფი დონალდ ტუსკთან ერთად. არავის აქვს ილუზია, რომ ბაიდენს, რომლის სახელიც თვით აშშ-ში არაერთ კორუფციულ სკანდალს უკავშირდება, კეთილშობილური მიზნები ამოძრავებს, როდესაც ცდილობს, რიგ ქვეყნებში ლეგიტიმური ხელისუფლება შეცვალოს. უამრავი ფაქტით დასტურდება, რომ ბაიდენს, მაგალითად, უკრაინაში ბიზნესინტერესები აქვს და ის არაერთი ტრანსნაციონალური კომპანიის საშუალებით ცდილობს უკრაინის რესურსების მითვისებას. იგივე მიზნები აქვს ბელარუსში.

„აღმოსავლური პარტნიორობის“ წევრები არიან **სომხეთი** და **აზერბაიჯანი,** რომლებიც ყარაბაღის კონფლიქტში არიან ჩართულნი, იქ საომარი მოქმედებები მიმდინარეობს. ხოლო კიდევ ორ წევრ ქვეყანაში — საქართველოსა და მოლდოვაში, საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნები უნდა ჩატარდეს, შესაბამისად, 31 ოქტომბერსა და 1 ნოემბერს. ვხედავთ, რომ **„აღმოსავლური პარტნიორობის“ ყველა წევრ სახელმწიფოში რევოლუციური და კონფლიქტური ვითარებაა, თითქოს ვიღაცის ერთიანი გეგმა ხორციელდება და ეს ტალღა მომავალი არჩევნების ფონზე, შესაძლოა, საქართველოსა და მოლდოვასაც მიუახლოვდეს.** ამერიკელებს, კერძოდ, ჯო ბაიდენს, დევიდ კრამერსა და სხვებს, საქართველოშიც ჰყავთ დასაყრდენი პოლიტიკური ძალები — „ნაციონალური მოძრაობა“ და „ევროპული საქართველო“, რომლებმაც გასული წლის ზაფხულში პარლამენტზე მიიტანეს იერიში და სახელმწიფო გადატრიალების მოწყობას ცდილობდნენ. ამ ძალებს 31 ოქტომბრის არჩევნებში გამარჯვების შანსი, ფაქტობრივად, არ აქვთ, ამიტომ, შესაძლოა, უარყონ არჩევნების შედეგები, ხელისუფლება დაადანაშაულონ გაყალბებაში და, არ არის გამორიცხული, გაიმეორონ პარლამენტზე იერიში.

რა შეილება მოხდეს? **რევოლუციის სცენარები ცნობილია. მაგალითად, როგორც ბელარუსში, ასევე აქაც, ოპოზიცია იმოქმედებს ამერიკელი კურატორების ხელმძღვანელობით. „ნაციონალური მოძრაობისა“ და „ევროპული საქართველოს“ ხელმძღვანელობით, ე.წ. ოპოზიციამ, შესაძლოა, არ ცნოს 31 ოქტომბრის არჩევნები ლეგიტიმურად და ქუჩაში გავიდეს, ხოლო ბაიდენისა და კრამერის პოლიტიკურმა ჯგუფებმა აშშ-დან და ევროპიდან მხარი დაუჭირონ „ოპოზიციას“ და თბილისში მივიღოთ მორიგი „ფერადი რევოლუცია“.** გასათვალისწინებელია სომხეთ-აზერბაიჯანის კონფლიქტის ფაქტორიც, მით უმეტეს, რომ საქართელოს მიმართ გარკვეული ბრალდებებიც გაისმა კონფლიქტში ჩართული მხარეების მხრიდან, მარნეულსა და ახალქალაქში აქციებიც ტარდება, ხოლო ლეიბორისტი **შალვა ნათელაშვილი** ამბობს, რომ საქართველოში დაუყოვნებლივ უნდა გაიხსნას აშშ-ის სამხედრო-საზღვაო ბაზები და განლაგდეს ბირთვული იარაღი. **ოპოზიცია უხმობს ამერიკელ კურატორებს, რომ სამხედრო ძალით დაეხმარონ, ამიტომ არ უნდა გამოვრიცხოთ, რომ ამერიკელების მარიონეტები შეეცდებიან, საქართველოც ჩაითრიონ ყარაბაღის კონფლიქტში. ეს არც ისე მარტივი იქნება, მაგრამ გამორიცხული არაფერია. იმედია, საქართველოს ხელისუფლება გონივრულად იმოქმედებს და პროვოკაციებს აღკვეთს.**

საინტერესოა ქართველი პოლიტიკოსების თვალსაზრისი პროექტ „აღმოსავლურ პარტნიორობაზე“. მაგალითად, პარტია „ქართული დასის“ ლიდერი **ჯონდი ბაღათურიას** აზრი ასეთია: „აღმოსავლური პარტნიორობა“ მოსამზადებელი კურსებია ნატოში შესასვლელად და ყველა წევრი ქვეყნისთვის ასე აღიქმება, ხოლო **„ფერადი რევოლუციები“ იგეგმება ტრანსნაციონალური კორპორაციების, მსოფლიო პლუტოკრატების მიერ, რომლებიც აშშ-შიც კი ცდილობენ რევოლუციის მოწყობას და, თუ იქ გამოსდით, რატომ ვერ გამოუვათ საქართველოში ან უკრაინასა და ბელარუსში?“**

„პატრიოტთა ალიანსის“ ლიდერ **გოჩა თევდორაძის** აზრით, სააკაშვილ-ბოკერიას ჯგუფი „ფერადი რევოლუციების“ ორგანიზატორ ბაიდენს უჭერს მხარს: „მართლაც უცნაური დამთხვევაა, რომ ეს პროცესები მიდის იმ სახელმწიფოებში, რომლებიც შედიან პროექტ „აღმოსავლურ პარტნიორობაში“, მაგალითად: უკრაინა, ბელარუსი, ახლა სომხეთი და აზერბაიჯანი. საქართველოშიც იძაბება ვითარება არჩევნების ფონზე. ვხედავთ, რომ სააკაშვილი და ბოკერია ბაიდენისა და კრამერის პოზიციებს იცავენ. ამასთანავე, ვხედავთ, რომ „ქართული ოცნება“ ორმაგ თამაშს თამაშობს და გაურკვეველი პოზიცია აქვს. „პატრიოტთა ალიანსის“ პოზიცია კი გაცხადებულია, ჩვენ მხარს ვუჭერთ **ტრამპს.** ამ რთული პერიოდის გავლა საჭიროა გონივრული მმართველობით, რათა ქვეყნის ინტერესები არ დაზიანდეს“.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხი: ნებისმიერი რევოლუცია ქვეყნის გარედან ფინანსდება, ამიტომ საჭიროა, ყველა დაფინანსება, რომლებიც დასავლეთიდან საქართველოში ხორციელდება, იყოს მაქსიმალურად გამჭვირვალე, რადგან დიდია ალბათობა იმისა, რომ ბაიდენ-კრამერის ფონდების საშუალებით შემოდიოდეს ფინანსები რადიკალური პოლიტიკური ძალების, ანუ „ნაციონალური მოძრაობისა“ და „ევროპული საქართველოს“ დასაფინანსებლად, ამიტომ მკაცრი კონტროლი უნდა დაწესდეს კორუფციული სქემების აღსაკვეთად; მოსახლეობას უნდა ჰქონდეს დეტალური ინფორმაცია, რა სესხებსა და გრანტებს იღებს სახელმწიფო უცხოეთიდან, რადგან სახელმწიფო სესხი მოქალაქეების გადასახდელია და სრული უფლება გვაქვს, ვიცოდეთ.

**გიორგი ირემაძე,**
საინფორმაციო სააგენტო „პატრიოტის“ მთავარი რედაქტორი

**P.S. მსოფლიო ეკონომიკურ-პოლიტიკური კრიზისი უკვე დაწყებულია, რომელსაც პანდემიაც ხელს უწყობს და პროცესები უფრო სწრაფად ვითარდება, ამიტომ საქართველოსთვის მომავალ არჩევნებს დიდი მნიშვნელობა აქვს. იმედია, მკითხველისთვის სასარგებლო იქნება სტატიაში მოყვანილი ფაქტები და 31 ოქტომბერს გაიმარჯვებს ჯანსაღი აზრი, რომელზეც დამოკიდებულია საქართველოს მომავალი.**

patrioti-tv.ge

მწვანე სიმართლე
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ᲓᲐ ᲒᲐᲘᲕᲡᲝ ᲡᲐᲓᲐᲠᲑᲐᲖᲝᲔᲑᲘ ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝ ᲮᲐᲠᲘᲡᲮᲘᲡ ᲥᲐᲚᲐᲚᲓᲖᲔ ᲛᲐᲦᲐᲚ ᲞᲝᲚᲘᲒᲠᲐᲤᲘᲣᲚ ᲓᲝᲜᲔᲖᲔ ᲓᲐᲑᲔᲭᲓᲘᲚᲘ ᲑᲠᲝᲨᲣᲠᲔᲑᲘᲗ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲛᲐᲪ ᲠᲐᲢᲝᲛᲦᲐᲪ ᲘᲛ ᲙᲐᲠᲘᲡ ᲖᲦᲣᲠᲑᲚᲡ ᲕᲔᲠ „ᲒᲐᲓᲐᲐᲑᲘᲯᲔᲡ", ᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐᲜᲐᲪ ᲓᲐᲢᲝᲕᲔᲡ... ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲥᲐᲠᲛᲐᲪ ᲗᲣ ᲓᲐᲣᲑᲔᲠᲐ, ᲛᲔᲠᲔ ᲔᲖᲝᲔᲑᲨᲘ ᲛᲝᲤᲠᲘᲐᲚᲔ ᲐᲛ „ᲪᲜᲝᲑᲘᲡ ᲤᲣᲠᲪᲚᲔᲑᲡ" ᲛᲔᲔᲖᲝᲕᲔ ᲣᲫᲔᲑᲜᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲤᲔᲠᲘᲡ ᲐᲓᲒᲘᲚᲡ.**

ᲠᲣᲑᲠᲘᲙᲐᲡ ᲣᲫᲦᲕᲔᲑᲐ ᲓᲐᲠᲔᲯᲐᲜ ᲐᲜᲓᲠᲘᲐᲫᲔ

# ᲕᲘᲜ ᲓᲐᲣᲕᲚᲘᲡ ᲤᲔᲠᲮᲣᲚᲡᲐ ᲓᲐ ᲑᲣᲥᲜᲐᲡ 31 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲡ?

**რამდენიმე დღეც და დასრულდება ეს წინასაარჩევნო ბაკქანალია — განუკითხაობა, რომელიც, ალბათ, არც არჩევნების საბოლოო შედეგების გამოქვეყნების შემდეგ დასრულდება, უფრო პირიქით: მერე უკეთ დავინახავთ, რა შენაძლება ადამიანს, რომელსაც შუბლის ძარღვი გაწყვეტილი აქვს ან, საერთოდ, არც ჰქონია. ახლა კი კიდევ ერთხელ შევჩერდეთ იმაზე, თუ რას ჰპირდებიან პოლიტიკური პარტიები ამომრჩეველს, როგორი მონდომებით „ილვწიან" მიზნის მისაღწევად. მათი წარმომადგენლები, რომლებსაც სანაცვლოდ გროშებს ჩაუყრიან მუჭში, სახლის კარზეც კი უკაკუნებენ ყოველდღიური პრობლემებით გულდამძიმებულ მოქალაქეებს და ღიმილიანი სახით გასაუბრებას სთავაზობენ. ვინ თანხმდება, უბრალოდ, ცნობისმოყვარეობის დასაკმაყოფილებლად, ვინ — გულის მოფხანვის მიზნით გაუბამს საუბარს, ვინ კიდევ ცხვირწინ მიუხურავს კარს და ისევე გაწბილებულს დატოვებს დაუპატიჟებელ სტუმარს, როგორც მისი გამომგზავნი ტოვებდა პარლამენტში მოხვედრის შემდეგ...**













ჰოდა, მათ შორის, ვინც წინასაარჩევნოდ პარტიებს თუნდაც იმ ორიოდე გროშისთვის მიეკედლა, სარეკლამო ფურცლების დარიგებაში რომ უხდიან, ბევრს ურჩევნია, ჩუმად მივიდეს ამა თუ იმ კართან, დატოვოს ეს „ავბედითი" ფურცლები და შემდეგ ისევ ფეხაკრეფით გაეცალოს იქაურობას.

ასე გაივსო სადარბაზოები საუკეთესო ხარისხის ქაღალდზე მაღალ პოლიგრაფიულ დონეზე დაბეჭდილი ბროშურებით, რომლებმაც რატომღაც იმ კარის ზღურბლს ვერ „გადააბიჯეს", რომელთანაც დატოვეს... მაგრამ ქარმაც თუ დაუბერა, მერე ეზოებში მოფრიალე ამ „ცნობის ფურცლებს" მეეზოვე უძებნის შესაფერის ადგილს.

და მაინც: რას ფიქრობს ხალხი?

„ბევრს ჭიქა კენჭიც ეყოფა, უგუნურს — დრამის წონანიო", ზოგჯერ „ახალსა ნამუდრაგალსა ძველის სჯობიან ჩანჩალიო", თუმცა ხალხს ისიც გაუგონია, რომ „ბებერსა, სასძლოდ მორთულსა, უფრთხილდი, მოერიდეო".

თვალი გადავავლოთ პარტიების წინასაარჩევნო გზავნილებსაც:

ლოგიკურია, რომ **ᲛᲛᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲐ** აღმშენებლობის გაგრძელებას გვთავაზობს და ციფრებში გვთავაზობს თავის საარჩევნო დაპირებებს;

**„ᲔᲠᲗᲘᲐᲜᲘ ᲜᲐᲪᲘᲝᲜᲐᲚᲣᲠᲘ ᲛᲝᲫᲠᲐᲝᲑᲘᲡ"** მთავარი საარჩევნო დაპირება კი ოლიგარქის რუსული მენტალობის მმართველობის დასრულებაა, ასევე ეკონომიკის განვითარება და მართლმსაჯულების რეფორმები; მთავარი საარჩევნო სლოგანი კი „მდიდარ საქართველოს" და „ძლიერ ოჯახს" გვპირდება;

**„ᲔᲕᲠᲝᲞᲣᲚᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ"** გარდამტეხი ცვლილებების კომპასად წარმოგვიდგენს თავს და აშშ-ის მოდელზე დაფუძნებულ მართლმსაჯულების რეფორმებს გვთავაზობს, ასევე დროებით უცხოელი მოსამართლეების ჩამოყვანასაც გვპირდება;

**„ᲚᲔᲚᲝ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡᲗᲕᲘᲡ"** მარშალის გეგმას გვთავაზობს საქართველოს ასაღორძინებლად და ძლიერი საშუალო კლასის შექმნასა და საქართველოს რეგიონის პოლიტიკურ, ფინანსურ, ლოჯისტიკურ და კულტურულ ცენტრად ქცევას გვპირდება;

**„ᲡᲢᲠᲐᲢᲔᲒᲘᲐ ᲐᲦᲛᲐᲨᲔᲜᲔᲑᲔᲚᲘ"** ირწმუნება, რომ საქმის მკეთებელთა გუნდია, რომელიც კონტრასტს ქმნის ივანიშვილის „ფულის მკეთებელთა" გუნდთან;

**„ᲞᲐᲢᲠᲘᲝᲢᲗᲐ ᲐᲚᲘᲐᲜᲡᲘᲡ"** წინასაარჩევნო კამპანია უკვე არაერთხელ მოექცა კრიტიკის ქარცეცხლში, მათ შორის, მოსკოვისგან მოთხოვნილი სავარაუდო დაფინანსებისა და ანტითურქული აგიტაციისთვის;

**„ᲔᲠᲗᲘᲐᲜᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ"** ლიდერი, „ვარდების რევოლუციის" ერთ-ერთი შემოქმედი ნინო ბურჯანაძე კი ამომრჩეველს „ძალასა და გამოცდილებას" სთავაზობს;

**ᲙᲝᲜᲡᲔᲠᲕᲐᲢᲝᲠᲔᲑᲘ** — ტრადიციული ღირებულებების დაცვისთვის თავგადაკლულ ბრძოლას გვპირდებიან, ოღონდ რუსეთის გარეშე. თანაც პარტია წელს დამოუკიდებლად სინჯავს ნიადაგს წინასაარჩევნო გზავნილით „მეტი კონსერვატორი – მეტი სტაბილურობა";

**ᲚᲔᲘᲑᲝᲠᲘᲡᲢᲣᲚᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲐ** თავის შალვა ნათელაშვილიანად ოლიგარქიის დასრულებასა და ცხოველებზე ზრუნვისკენ მოგვიწოდებს...

როგორც ილია იტყოდა ასეთ შემთხვევაში, „ერთადერთი ბაზარი, საცა უვაჭრელად, ესე იგი ფასის გამოურჩხრეკლად და გამოურკვევლად გადის ამისთანა სასაცილო საქონელი, ჩვენის ბულვარის აკადემიაა".

მოდი აქ შევჩერდეთ და ახლა ზოგადად ძირითად ტენდენციებზეც ვთქვათ ორიოდ სიტყვა:

როგორც ჩანს, პოლიტიკოსებს სჯერათ, რომ წარსულის ტრავმებმა კვლავ მნიშვნელოვანი როლი უნდა ითამაშოს ამომრჩეველთა გადაწყვეტილებებში, „ოლიგარქის მმართველობის" დასრულების სურვილი კი ოპოზიციური ძალების გამაერთიანებელი შეიქნა (თუმცა დროებით, მაგრამ მაინც);

როგორც ჩანს, არჩევნებში „ქართულ ოცნებას" ერთგვარი ამერიკული ოცნება დაუპირისპირდება, რამდენადაც ოპოზიციური პარტიები წინასაარჩევნოდ შთაგონებას ამერიკულ და დასავლურ მოდელებში ეძებენ; შედარებით ახალი და მცირე ზომის პარტიები კი ცდილობენ, ამომრჩეველს თავი დიდი ხნის ნანატრ „მესამე ძალად" წარუდგინონ.

ბევრი გვპირდება ეკონომიკის გადარჩენასა და სიღარიბის დასრულებას, მაგრამ ხალხს მათი ნაკლებად სჯერა, რადგან „დაძველდა, ბატონებო, ეგ იარაღი, გაცვდა, იმიტომ, რომ თავდაპირველადვე ხანგრძლიობის უნარი და ღონე არა ჰქონია, ქარისაგან მობერილი იყო და ქარმავე წაიღო და საწყაოდ ავისა და კარგისა, მართლისა და ტყუილისა დარჩა სიავე და სიკარგე, სიმართლე და სიცრუე და სხვა არაფერი".

**ᲠᲐᲡ ᲰᲞᲘᲠᲓᲔᲑᲘᲐᲜ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲔᲑᲘ ᲐᲛᲝᲛᲠᲩᲔᲕᲔᲚᲡ, ᲠᲝᲒᲝᲠᲘ ᲛᲝᲜᲓᲝᲛᲔᲑᲘᲗ «ᲘᲚᲕᲬᲘᲐᲜ» ᲛᲘᲖᲜᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲦᲬᲔᲕᲐᲓ. ᲛᲐᲗᲘ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲐᲓᲒᲔᲜᲚᲔᲑᲘ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲡᲐᲪ ᲡᲐᲜᲐᲪᲕᲚᲝᲓ ᲒᲠᲝᲨᲔᲑᲡ ᲩᲐᲣᲧᲠᲘᲐᲜ ᲛᲣᲭᲨᲘ, ᲡᲐᲮᲚᲘᲡ ᲙᲐᲠᲖᲔᲪ ᲙᲘ ᲣᲙᲐᲙᲣᲜᲔᲑᲔᲜ ᲧᲝᲕᲔᲚᲓᲦᲘᲣᲠᲘ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲔᲑᲘᲗ ᲒᲣᲚᲓᲐᲛᲫᲘᲛᲔᲑᲣᲚ ᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲔᲔᲑᲡ ᲓᲐ ᲦᲘᲛᲘᲚᲘᲐᲜᲘ ᲡᲐᲮᲘᲗ ᲒᲐᲡᲐᲣᲑᲠᲔᲑᲐᲡ ᲡᲗᲐᲕᲐᲖᲝᲑᲔᲜ. ᲕᲘᲜ ᲗᲐᲜᲮᲛᲓᲔᲑᲐ, ᲣᲑᲠᲐᲚᲝᲓ, ᲪᲜᲝᲑᲘᲡᲛᲝᲧᲕᲐᲠᲔᲝᲑᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲙᲛᲐᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲚᲐᲓ, ᲕᲘᲜ — ᲒᲣᲚᲘᲡ ᲛᲝᲤᲮᲐᲜᲕᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ ᲒᲐᲣᲑᲐᲛᲡ ᲡᲐᲣᲑᲐᲠᲡ, ᲕᲘᲜ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲪᲮᲕᲘᲠᲬᲘᲜ ᲛᲘᲣᲮᲣᲠᲐᲕᲡ ᲙᲐᲠᲡ ᲓᲐ ᲘᲡᲔᲕᲔ ᲒᲐᲬᲑᲘᲚᲔᲑᲣᲚᲡ ᲓᲐᲢᲝᲕᲔᲑᲡ ᲓᲐᲣᲞᲐᲢᲘᲟᲔᲑᲔᲚ ᲡᲢᲣᲛᲐᲠᲡ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲛᲘᲡᲘ ᲒᲐᲛᲝᲛᲒᲖᲐᲕᲜᲘ ᲢᲝᲕᲔᲑᲓᲐ ᲮᲝᲚᲛᲔ ᲞᲐᲠᲚᲐᲛᲔᲜᲢᲨᲘ ᲛᲝᲮᲕᲔᲓᲠᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ...**

არჩევნებში მონაწილე პარტიებისა და მათი კანდიდატების ძირითადი ნაწილი ძველი პოლიტიკოსები და პარლამენტარები არიან, ნაწილი კი პირველად ცდილობს ქვეყნის საკანონმდებლო ორგანოში მოხვედრას, მაგრამ აქ მთავარი მათი ძველ-ახლობა კი არ არის, არამედ რისი გამკეთებლები არიან ქვეყნისთვის. „საქმისა თუ აზრის ავკარგიანობის გარჩევა მარტო ძველახლობითა, ღირსების აწონ-დაწონვა მარტო იმით, რომ ეს გუშინდელია და ეს დღევანდელი, ჭეშმარიტების უარყოფა მარტო იმით, რომ ძველია, და ტყუილის ჭეშმარიტებად გაყვანა მარტო იმით, რომ ახალია, რაც გნებავთ ბრძანეთ და, სასაცილოზედაც მეტია. აგეთი სასწორი, აგეთი გარჩევა კარგისა და ავისა, მართლისა და ტყუილისა მარტო იმის მომავლინებელია, რომ კაცს არც კარგი ესმის, არც ავი, არც მართალი უცვნია, არც ტყუილი და ამაოდა ჰფქვავს მინდმოკლებულ წისქვილსავით".

როგორც ილია ამბობს, „ამ ბუქნისა და ფერხულისაგან აყენებული მტვერი ბევრს თვალს უბნელებს და ამ თვალთა დაბნელებაშია კიდეც ზოგიერთების იმედი გამარჯვებისა", რომელთაც აქედანვე ჰგონიათ, რომ საქმე „გათავებულია და დამში მოსული".

ქვემოთ მკითხველს ვთავაზობთ ილიას წერილს „ბულვარის აკადემია", რომელშიც ავტორი თუმცა არჩევნებზე არ საუბრობს, მაგრამ ეს პუბლიკაცია საყურადღებოა იმდენად, რამდენადაც ერთმანეთთან დაპირისპირებული მხარეების ურთიერთდამოკიდებულებაზე, ერთმანეთისთვის სახელის გატეხვის მცდელობაზე ამახვილებს ყურადღებას, რომ „კილვა და ძაგება ძველი იარაღია უღონობისა, გაცვეთილი ფანდია სახსარმოკლებულ ფალავნისა", **ᲠᲐᲪ ᲐᲡᲔ ᲓᲐᲛᲐᲮᲐᲡᲘᲐᲗᲔᲑᲔᲚᲘᲐ ᲓᲦᲔᲕᲐᲜᲓᲔᲚᲘ ᲕᲐᲘᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲝᲡᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ.** ▶

„საქმისა თუ აზრის ავკარგიანობის გარჩევა მარტო ძველახლობითა, ღირსების აწონ-დაწონვა მარტო იმით, რომ ეს გუშინდელია და ეს დღევანდელი, ჭეშმარიტების უარყოფა მარტო იმით, რომ ძველია და ტყუილის ჭეშმარიტებად გაყვანა მარტო იმით, რომ ახალია, რაც გნებავთ ბრძანეთ და, სასაცილოზედაც მეტია. აგეთი სასწორი, აგეთი გარჩევა კარგისა და ავისა, მართლისა და ტყუილისა მარტო იმის მომავლინებელია, რომ კაცს არც კარგი ესმის, არც ავი, არც მართალი უცვნია, არც ტყუილი და ამაოდა ჰფქვავს მინდმოკლებულ წისქვილსავით“.

მწარე სიმართლე
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ბულვარის აკადემია

## როგორც ილია ამბობს, «ამ ბუქნისა და ფერხულისაგან აყენებული მტვერი ბევრს თვალს უბნელებს და ამ თვალთა დაბნელებაშია კიდეც ზოგიერთების იმედი გამარჯვებისა», რომელთაც აქედანვე ჰგონიათ, რომ საქმე «გათავებულია და დამში მოსული»




## «მაშ «ტააშ-ტაში» ამ ახალსა და მაშინ ნახეთ ის წვრილფეხობის აკადემია, თავის აკადემიკოსთან ერთად, როგორ აიკრეფს კალთებს და რა ფერხულს და ბუქნას დაუვლის!.. რა თქმა უნდა, ჭკვათამყოფელი ნაწილი საზოგადოებისა, გონებაგახსნილი მსმენელი ნანვითა და ნაღვლით უყურებს ამ ლიტერატურულს ბუქნას დარბაისელის აკადემიისას»




ერთგვარის ყალიბის მწერალნი არიან ჩვენში, რომელთაც ერთი სასაცილო ზნე სჭირთ, როცა საპოლემიკოდ გამობძანდებიან ხოლმე მოედანზედ. როცა ჰსურთ, **თავის მოპირისპირეს წუნი რამ დასდონ, ვითომ სახელი გაუფუჭონ, საზოგადოებაში აბრუ გაუტეხონ, ამისთვის მარტო ერთი იარაღი აქვთ: აიღებენ და რის და ვის ათვალწუნებაც უნდათ, იმას მიაკერებენ ხოლმე მარტო ერთს სიტყვას: „ძველიაო“ და საქმე, მათის ფიქრით, გათავებულია და დამში მოსული.** რა თქმა უნდა, ამნაირის ფარ-ხმლით მეომარი დიდის ტყვია-წამლის პატრონი არ უნდა იყოს, იმიტომ რომ **თვითონ ეგ იარაღი მეტისმეტი ძველია და დღეს მარტო ბავშვებსღა აქვთ ხელში სათამაშოდ** და მარტო იმათი შესაფერია და მოსახდენი. გონებაში ჩავარდნილ, ჭკვათამყოფელ კაცისათვის კი სათაკილოა მაგისთანა იარაღის ხელში ჭერა, იმიტომ რომ **არასფერი ქვეყანაზედ არც იმით დაიწუნება, რომ ძველია, არც იმით მოიწონება, რომ ახალია. ამ სადა ჭეშმარიტებას დიდი ლარი და ხაზი არ უნდა, არც მეტისმეტი გონების გახსნილობა, რომ კაცმა ახალი ტალახი ძველს ვარდს არ ამჯობინოს მარტო იმის გამო, რომ ტალახი ახალი და ვარდი კი ძველი.** ხომ ესეა, მაგრამ ზემოხსენებულ ყალიბის მწერლებმა იმოდენა მოედანი მოიპოვეს ჩვენს უმეცარ წვრილფეხობაში, რომ ჩვენის ბულვარის აკადემიაში ეხლა კარგა საკმაოდ დიდი წრეა მკითხველებისა, რომელიცა ჰკმარობს ავისა და კარგის გასარჩევად მარტო ორს სიტყვას: „ძველია, ახალია“.

ზემოხსენებულ ყალიბის მწერლებს ეს ორი სიტყვა დაუხვევიათ ხელზე და, სხვა ყველაფერში რომ უღონონი არიან, თვითონ „ახალობით“ იწონებენ თავს და სხვას კი „ძველობით“ ჰწუნობენ. მოგახსენეთ, ამისთანა მანერამ მწერლობაში, დიდი ხანია, იქაც თავისი დრო მოიჭამა, საცა დაიბადა და საცა პირველ გაჩნდა ქვეყნის სასაცილოდ. სასაცილოდ ვამბობთ იმისათვის, რომ **საქმისა თუ აზრის ავკარგიანობის გარჩევა მარტო ძველახლობითა, ღირსების აწონ-დაწონვა მარტო იმით, რომ ეს გუშინდელია და ეს დღევანდელი, ჭეშმარიტების უარყოფა მარტო იმით, რომ ძველია და ტყუილის ჭეშმარიტებად გაყვანა მარტო იმით, რომ ახალია, რაც გნებავთ ბრძანეთ და, სასაცილოზედაც მეტია. აგეთი სასწორი, აგეთი გარჩევა კარგისა და ავისა, მართლისა და ტყუილისა მარტო იმის მომავლინებელია, რომ კაცს არც კარგი ესმის, არც ავი, არც მართალი უცვნია, არც ტყუილი და ამაოდა ჰფქვავს მინდმოკლებულ წისქვილსავით.** სასაცილოზედ მეტი არ არის, მაშ რა ეშმაკი და ქაჯია!.. ერთადერთი ბაზარი, საცა უვაჭრელად, ესე იგი ფასის გამოუჩხრეკლად და გამოურკვევლად გადის ამისთანა სასაცილო საქონელი, ჩვენის ბულვარის აკადემიაა. არც საკვირველია. **„ბევრს ჭიქა კენჭიც ეყოფა, უგუნურს — დრამის წონანი“,** სწორედ ამ აკადემიაზედ არის ზედგამოჭრილი; ბევრს არას დაგიდევთ, ცოტასა ჰკმარობს და თუნდაც არ იკმაროს, ბევრის მოსათავებელი გოგრაც არა აქვს. თუნდა ჰქონდეს კიდეც, რად უნდა? მეტი ბარგია. აქ ოღონდ სთქვით ვისზედმე და რაზედმე „ძველია“ და კმარა კიდეც: ორს კურდღელს ერთს გამოდგომაზედ დაიჭერთ. ჯერ იმას, რომ „ძველობით“ ხსენებულს მაშინვე შეჰბოჭვენ და სამარცხვინო ბოძზედ გააკვრენ: „დახე, დახე, ძველი ყოფილა და არ ვიცოდითო“. აღარავინ ჰკითხულობს: „კაცო, რა ვუყოთ, რომ ძველია! იქნება კარგია, იქნება მართალი მაგ ძველშია. თქვე დალოცვილებო, ერთი საქმესაც ჩახედეთ გულში!.. ერთი მოსჩხრიკეთ, სინჯეთ, მთელს სიგრძე-სიგანეზედ მოატარეთ ეგ თქვენი გონების თვალი და!.. “

თქვენც არ მომიკვდეთ, იმ წვრილფეხობის აკადემიაში ამ მჩხვრიმალისათვის ყურიც არავინ შეიბერტყოს, „ძველია“ და რაღა კითხვა უნდა, არ ევარგებაო. დაჰკვრენ კვერს და დაასმენ ბეჭედსა. ამ სახით, ძველობით ხსენებული ხომ სამარცხვინო ბოძზეა გაკრული საჯაროდ და ერთი კურდღელი ეს არის, რომელსაც იგი აკადემია დააჭერინებს ხოლმე „ძველობით“ წუნმდებელს მწერალსა. ეს მწერალი ამავე დროს მეორე კურდღელსაც იჭერს წვრილფეხობის აკადემიის მწევრებითა. რაკი მწერლის მიერ ათვალწუნებული აზრი, საგანი თუ კაცი ძველი ყოფილა, აშკარაა, თვითონ წუნმდებელი მწერალი, მისი აზრი, ახალი იქნება და, რაკი ახალია, კარგი უნდა იყოს. მაშ „ტააშ-ტაში“ ამ ახალსა და მაშინ ნახეთ ის წვრილფეხობის აკადემია, თავის აკადემიკოსთან ერთად, როგორ აიკრეფს კალთებს და რა ფერხულს და ბუქნას დაუვლის!... რა თქმა უნდა, ჭკვათამყოფელი ნაწილი საზოგადოებისა, გონებაგახსნილი მსმენელი ნანვითა და ნაღვლით უყურებს ამ ლიტერატურულს ბუქნას დარბაისელის აკადემიისას, მაგრამ მაინც ამ ბუქნისა და ფერხულისაგან აყენებული მტვერი ბევრს თვალს უბნელებს და ამ თვალთა დაბნელებაშია კიდეც ზოგიერთების იმედი გამარჯვებისა. **ჩვენ ყოველ ამას ვამბობთ იმიტომ კი არა, რომ ყოველივე „ძველი“ მოგვეწონდეს და ყოველსავე „ახალს“ ვწუნობდეთ. ავკარგიანობა ახალშიაც არის და ძველშიაც. ისიც ძალიან კარგად ვიცით, რომ „რა ვარდმან თვისი ყვავილი, გაახმოს დაამჭკნაროსა, იგი წავა და სხვა მოვა ტურფასა საბაღნაროსა“. ეს ყოვლად მხსნელი წესი და რიგია ადამიანის წინმსვლელობისა და ქვეყნიერობის ბრუნვა-ტრიალისა.**

მაგრამ ისიც დასავიწყარი არ არის, რომ **ზოგჯერ „ახალსა ნამუდრაგალსა ძველის სჯობიან ჩანჩალი“.** აი სად არის ის ბეწვის ხიდი, რომელზედაც გავლას სალი ჭკუა უნდა, მართლის სიყვარული და ვაჟკაცური გამდებაობა, ნამეტნავად ჩვენში, საცა უფროს-ერთო მარტო იმისათვის ჰთრთის და ჰძრწის, ბულვარის აკადემია რას მეტყვისო, მომიწონებს თუ დამიწუნებსო, ესე იგი ახლობაში ჩამომართმევს თუ ძველობაშიო. ტკივილი ამაშია! თუნდ ესეც არ იყოს, რით ვერ გაიგეს, რომ ეგეთი საპოლემიკო იარაღი ჭკვათამყოფელთათვის არა სჭრის. იგი გამოუდეგარი და ყოვლად უხეირო იარაღია და მერე სხვისგან ნათხოვარი, სხვის გამონაცვალი. მაგას ერთს დროს ძალიან ხშირადა ჰხმარობდნენ რუსეთში, მაგრამ მალე ჰნახეს, რომ მარტო ბეღურების საფრთხალად თუ გამოდგება და დიდი ხანია, თავი დაანებეს, ხოლო გამონაცვალს ჩვენები მიესივნენ და დაეპატრონენ. **დაძველდა, ბატონებო, ეგ იარაღი, გაცვდა, იმიტომ, რომ თავდაპირველადვე ხანგრძლიობის უნარი და ღონე არა ჰქონია, ქარისაგან მობერილი იყო და ქარმავე წაიღო და საწყაოდ ავისა და კარგისა, მართლისა და ტყუილისა დარჩა სიავე და სიკარგე, სიმართლე და სიცრუე და სხვა არაფერი.**

ნუთუ ამის გამოცნობას დიდი ჭკუა უნდა, რომ ავკარგიანობა, ტყუილმართლობა არც ახალს ახლობით მიეწებება, არც ძველს ძველობით. ავსაც და კარგსაც, ტყუილსაც და მართალსაც თავისი საკუთარი ბუნება აქვს და თვითვეული თვისდა ბუნებისამებრ უნდა გაირჩეს და გამოიზომოს და არა სიახლით და სიძველითა. **ყველას, ძველია თუ ახალი, მინამ მსჯავრს დასდებდეთ, კბილი კი არ უნდა უსინჯოთ, ბუნება უნდა გამოუჩხრიკოთ და მარტო მაშინ დაეჭდევა თქვენს მსჯავრს ადამიანის საკადრისი ღირებულობა და ფასი.** ძველობით ხსენება სხვისა, ამით კილვა და ძაგება ძველი იარაღია უღონობისა, გაცვეთილი ფანდია სახსარმოკლებულ ფალავნისა. მწერლისა თუ მთქმელის არარაობის, ცარიელობის უტყუარი ნიშანი მაგ იარაღის ხმარებაა. რაკი მაგგვარს იარაღს ხელი წაავლო კაცმა, იმას თავი დაუკარით და „მშვიდობის მგზავრობა დაულოცეთ“. იგი წასულია, გარდასულია და ვერც სიმარდე წერისა, ვერც სუსხიანობა კალმისა ვერ იხსნის ამისთანა მწერალს ამ სამწუხარო ბედისაგან. ნუ ენდობით და ერიდენით მაგ უღონო ღონესა. მაგ იარაღის მხმარებელი მწერალი გადაბერებულს გასათხოვარსა ჰგავს, ანუ, უკეთ ვსთქვათ, საპატარძლოდ მორთულს ბებერსა, და ტყუილად კი არ არის ნათქვამი: „ბებერსა, სასძლოდ მორთულსა, უფრთხილდი, მოერიდეო“.

**ტფილისი, 1887 წელი, 13 ოქტომბერი**



ახლოეთი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**თუ რამ იყო ბოლო პერიოდის საბჭოთა სინამდვილეში გაუგებარი და ურთიერთგამომრიცხავი, პედერასტიისადმი დამოკიდებულებაზე შეიძლება ითქვას: ერთი მხრივ, მამათმავლობის დასჯა-აკრძალვის მკაცრი კანონები; მეორე მხრივ, ნახევარკაცების (ძველი ტერმინია) სუბკულტურის ფოლკლორად შერაცხვა და პროპაგანდა.**

# ევროპაში ბავშვებს სკოლიდანვე ხრწნიან

## საქართველო რიგში დგას?!

**დიდი ბრიტანეთის სკოლებში 2021 წლის სექტემბრიდან დაიწყებენ ახალი საგნის შესწავლას ლგბტ-ურთიერთობისა და სექსუალურობის საკითხებზე. დაწყებითი კლასებიდან მოყოლებული. იძულებით, როგორც ტრადიციული პროგრამების კურსისას, — იუწყება გამოცემა Vaticannews.ve.**

ბოლო პერიოდამდე სექსუალური აღზრდა ბრიტანეთის სკოლებში მხოლოდ ნებაყოფლობით იყო დაშვებული, მაგრამ ახალი სასწავლო წლიდან ბავშვები ვალდებულნი იქნებიან, დაესწრონ სექსუალური აღზრდის გაკვეთილებს.

მოთხოვნა კატეგორიულია!

პროგრამის ახალი ვერსიის დანერგვის სახელმძღვანელო დოკუმენტში ნათქვამია, რომ ყველა მოსწავლე ვალდებულია, ლგბტ-ურთიერთობის შესახებ ყველა ინსტრუქცია მაინცდამაინც სკოლაშივე მიიღოს და სიცოცხლის ბოლომდე პირნათლად შეასრულოს.

ორგანიზაცია QFSTED-მა, რომელიც სასკოლო მოღვაწეობას აკონტროლებს, ახალი პროგრამის საყოველთაო დანერგვა უზრუნველყო. სკოლა, რომელშიც არ ასწავლიან ლგბტ-ურთიერთობებს, შეფასებული იქნება ისეთ სასწავლებლად, რომელიც არ უპასუხებს დადგენილ კანონებს, შეიკვეცება მისი რეიტინგი და დაადგენენ, რომ მის მართვას სჭირდება გადახედვა-გაუმჯობესება.

ამჟამად ინგლისში მიმდინარეობს სოციალური კამპანია იმ მშობლების, რომლებსაც არ სურთ, რომ სკოლა გენდერულ იდეოლოგიურ პროპაგანდასთან იყოს დაკავშირებული.

**ცოტა ხნის წინათ იუწყებოდნენ, რომ სასამართლომ კანონიერად ცნო ლგბტ კრიტიკის გამო სკოლიდან მასწავლებლის დათხოვნის აღმაშფოთებელი ფაქტი.**

აი, ასეთი „ტოლერანტობა" სუფევს „დემოკრატიის ისტორიულ ციტადელში" — ნისლიან ალბიონში დღეს, XXI საუკუნის ოციანი წლების დასასრულს.

ჩვენ რა გვაწუხებს?

გვაწუხებს ის, რომ, **დღეს თუ არა, ხვალ უფროსი სტრატეგიული ძმები და მასწავლებლები მოგვთხოვენ ამ „ღირებულების" ჩვენს ყოფაში დანერგვას — ბავშვების სულების გარყვნას სასკოლო ასაკიდან; სიწმინდის, კაცობის ისტორიული ტრადიციებისთვის ხაზის გადასმას, რომლებითაც ჩვენი ერი ვაჟკაცობას, კაცურკაცად ყოფნის კულტს იცავდა.**

### საქართველოს ისტორიული სინამდვილე

**თუ რამ იყო ბოლო პერიოდის საბჭოთა სინამდვილეში გაუგებარი და ურთიერთგამომრიცხავი, პედერასტიისადმი დამოკიდებულებაზე შეიძლება ითქვას:**

**ერთი მხრივ, მამათმავლობის დასჯა-აკრძალვის მკაცრი კანონები; მეორე მხრივ, ნახევარკაცების (ძველი ტერმინია) სუბკულტურის ფოლკლორად შერაცხვა და პროპაგანდა.**

თქვენ წარმოიდგინეთ!

ეს საკითხი ისტორიკოსებს შესწავლილი აქვთ ძველი ქალაქური ყოფისთვის დამახასიათებელი ელემენტების — კინტოსა და ყარაჩოხელის ფენომენის მაგალითზე.

გავიხსენოთ:

„ბევრს ყარაჩოხელები და კინტოები ერთმანეთში ერევა. **კომუნისტების მმართველობის პერიოდში რატომღაც ხდებოდა კინტოების უაზრო იდეალიზება. ყველას ისეთი შთაბეჭდილება ექმნებოდა, თითქოს კინტო წმინდა ქართული მოვლენა იყო, რეალურად კი სულ სხვა რამესთან გვაქვს საქმე..."**

კინტო ძველ თბილისში ხელზე მოვაჭრე იყო, განეკუთვნებოდა წვრილ ვაჭართა კლასს. თბილისის ყოფას XX საუკუნის 30-იან წლებამდე შემორჩა. კინტოს აქვს გადატანითი მნიშვნელობა — ცუღლუტი, ლაზღანდარა, მასხარა.

ამ თემისადმი მიძღვნილ ლიტერატურაში ვკითხულობთ, რომ კინტოების კასტა შუა საუკუნეების ირანში ჩამოყალიბდა: ერთნი იყვნენ ე.წ. ხელის ბიჭები, რომლებიც დიდგვაროვნების კარზე მსახურობდნენ ან ქალაქის წყლის მზიდავებად და თამბაქოს გამყიდველებად მუშაობდნენ; მეორენი ვაჭრობითა და თაღლითობით ირჩენდნენ თავს. ერთ-ერთი ძველი ირანელი ისტორიკოსი წერდა: „კინტომ რომ არ მოიტყუოს, ალბათ, მოკვდება. მათ ტყუილი და აფერისტობა გვამში აქვთ გამჯდარი..."

**ზოგი მკვლევარის აზრით, კინტოები ირანში, ძირითადად, სომხები იყვნენ.** სპარსეთის იმპერია გატენილი იყო ათასი ჯურისა და ჯიშის დეკლასირებული ელემენტებით. არ გამორიცხავენ, რომ **მათ შორის გადაჯიშებული და დასაჭურისებული ქართველებიც იყვნენ. მათ გარდერობში გამორჩეული იყო „უბეგანიერი, მონაოჭებული შავი სატინის შარვალი". მოკლედ, ეს იყო ცუღლუტების, ლაზღანდარა, მასხარა ნახევარკაცების კასტა.**



კინტოები

**დღეს თუ არა, ხვალ უფროსი სტრატეგიული ძმები და მასწავლებლები მოგვთხოვენ ამ «ღირებულების» ჩვენს ყოფაში დანერგვას — ბავშვების სულების გარყვნას სასკოლო ასაკიდან; სიწმინდის, კაცობის ისტორიული ტრადიციებისთვის ხაზის გადასმას, რომლებითაც ჩვენი ერი ვაჟკაცობას, კაცურკაცად ყოფნის კულტს იცავდა**

გთხოვთ ყურადღებას!

**ირანელი მოგზაური მეჯოდ-ოს-სალთანი 1865 წელს წერდა: „კავკასიაში ბევრი ირანული ყოფის ხალხია. ტფილისში ყველგან გადააწყდებით ირანელი კინტოებივით გამოწყობილ ნახევარკაცებს, რომლებიც ხალხს ატყუებენ".**

ხოლო **დავით ორბელიანი**, ქართლის მეფის სახლთუხუცესი 1768 წლიდან, მეწინავე სადროშოს სარდალი 1772 წლიდან, ასპინძის ბრძოლის გმირი, რომელიც დიპლომატიური მისიით რამდენიმეჯერ ჩავიდა სპარსეთში (ჩამოიტანა „ყარამანიანის" ხელნაწერი და ქართულად თარგმნა, წერდა ლექსებს), ხაზგასმით აღნიშნავდა: **„რაც თურქებმა ვერ ქნეს, იმას კინტოები გვიშვრებიან! ქალაქელებს რყვნას ასწავლიან. ჩვენ კი ხმას არ ვიღებთ".**

ნაცნობი სიტუაციაა...

ზოგიერთი მთავარზე უმთავრესი ტელეარხის „ტელესახე" გაგახსენდებათ უბეგანიერ, მონაოჭებულ შარვალში გამოწყობილი, ბოროტი ცრუპენტელა, საუკუნეების წინათ ჩათესლილი კასტის წარმომადგენელი, ანუ ახვარი, უპატიოსნო, გამოუსადეგარი, არაფრის მაქნისი, ნარჩომი არსება, უდიერი და უსინდისო ჩიკორა კაცი.

„ახვარი" არაბულად ნიშნავს საქონელს, პირუტყვს.

ასეთებს ქართული სიწმინდის მუდმივი მეციხოვნენი ებრძოდნენ ყოველთვის. გაზეთ „კვალში" ამოიკითხავთ **იაკობ გოგებაშვილის** შეფასებას: „ტფილისში იმდენი სასირცხვო ხალხი ცხოვრობს, სათვალავი რო აერევა კაცსა. ქალაქში კინტო-მატრაბაზები ყველას ყვლიფავენ და შავზე თეთრს იმტკიცებიან".

„კინტო ბაზრის წიაღში შეიქმნა, როცა ვაჭრობამ ხელობას გაუსწრო", ანუ ტენდენციად ჩამოყალიბდა, რისი მოწმენიც დღესა ვართ — ვაჭრობა გახდა პირველი ხელობა.

**ცოტაც და, თბილისში ახალი კინტოები დაგვასხდებიან თავზე, ამჯერად თავიანთი გარყვნილი „სექსუალური ტოლერანტობით".**

ყარაჩოხელები კი წმინდა ქართული მოვლენაა. ქართული და აღმოსავლური ქვეყნების კულტურული ურთიერთობის სინთეზია.

რაინდები არიან.

ქართველ მეცნიერებს ზუსტად აქვთ ჩამოყალიბებული: „ყარაჩოხელი გარეგნულად წარმოსადეგი პიროვნებაა, მხარბეჭიანი, ბრგე, დარბაისელი, გულმართალი, გაჭირვებულის მომვლელი, ქვრივ-ობლებისა და ავადმყოფების დამხმარე, ქალაქზე მზრუნველი ჩასპანდი". ამ სიტყვას (ჩასპანდს) **იოსებ გრიშაშვილი** განმარტავდა, როგორც ყოჩაღს, მარდს, შნოიანსა და მოხერხებულს.

კინტო ძველად კუდიანს ნიშნავდაო.

დღეს მოამაგე კაცები ჩვენს შორის თუ გამოჩნდებიან, ნაცაფთრების ხროვა კოლექტიურად თავს დააცხრება.

ყარაჩოხელის ეს გადაგვარებული სახეობა.



ყარაჩოხელები

**ირანელი მოგზაური მეჯოდ-ოს-სალთანი 1865 წელს წერდა: «კავკასიაში ბევრი ირანული ყოფის ხალხია. ტფილისში ყველგან გადააწყდებით ირანელი კინტოებივით გამოწყობილ ნახევარკაცებს, რომლებიც ხალხს ატყუებენ»**

**P.S. თუ რამ გაუგებარი დარჩა კინტოს დახასიათებაში, იმასაც გაგიშიფრავთ წინასწარ ბოდიშის მოხდით.**

**ვარაუდობენ, რომ, დიდი ალბათობით, კინტოს გეისიყვარულს ადასტურებს ერთი სიმღერის ტექსტი, რომელიც ჟურნალისტმა ლაშა გაბუნიამ აღმოაჩინა რენტგენის ფირფიტაზე ჩაწერილი:**



**„აღარ ვიცი, რა ვქნა მე,**
**აღარ ვიცი, რა ვუყო,**
**გული მხოლოდ ერთი მაქვს,**
**ორს კი როგორ გავუყო?**
**მუჰამედ და აბდულიც**
**სიყვარულს მეფიცება,**
**ორივეს შეყვარება**
**აბა, როგორ იქნება?**
**ერთმა შარფი დამპირდა**
**სიყვარულისთვის,**
**მეორე კი თავს იკლავს**
**ჩემი გულისთვის.**
**მე ორივე მომწონხართ,**
**აბა რა ვქნა, რა გიყოთ?**
**სიყვარული ორივეს,**
**მითხარ, როგორ გაგიყოთ?**
**მუჰამედ და აბდული,**
**ასე ნუღარ მაწვალებთ,**
**ჩემს გულსა და სიყვარულს**
**მხოლოდ ერთს ვანაცვალებ".**

**წადი, კინტოჯან, ევროპაში, იქ გასწავლიან.**

**ა.ს.**

ᲐᲦᲕᲡᲘᲚᲜᲘ ᲐᲠᲘᲐᲜ ᲧᲝᲕᲔᲚᲒᲕᲐᲠᲘ ᲣᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲝᲑᲘᲗ, ᲑᲝᲠᲝᲢᲔᲑᲘᲗ, ᲐᲜᲒᲐᲠᲔᲑᲘᲗᲐ ᲓᲐ ᲡᲘᲐᲕᲘᲗ, ᲡᲐᲕᲡᲔᲜᲘ ᲨᲣᲠᲘᲗ, ᲛᲙᲕᲚᲔᲚᲝᲑᲘᲗ, ᲨᲣᲚᲘᲗ, ᲕᲔᲠᲐᲒᲝᲑᲘᲗ, ᲣᲖᲜᲔᲝᲑᲘᲗᲐ ᲓᲐ ᲛᲐᲑᲔᲖᲦᲐᲠᲝᲑᲘᲗ. ᲪᲘᲚᲘᲡᲛᲬᲐᲛᲔᲑᲔᲚᲜᲘ, ᲦᲕᲗᲘᲡ ᲛᲝᲫᲣᲚᲔᲜᲘ, ᲨᲔᲣᲠᲐᲪᲮᲛᲧᲝᲤᲔᲚᲜᲘ, ᲐᲛᲞᲐᲠᲢᲐᲕᲐᲜᲜᲘ, ᲛᲙᲕᲔᲮᲐᲠᲜᲘ, ᲑᲝᲠᲝᲢᲒᲐᲛᲖᲠᲐᲮᲕᲔᲚᲜᲘ, ᲛᲨᲝᲑᲚᲔᲑᲘᲡ ᲣᲠᲩᲜᲘ.

*(მოციქულ პავლეს წერილი რომაელთა მიმართ, 1,29-30)*

ᲔᲡ ᲣᲜᲓᲐ ᲕᲘᲪᲝᲓᲔᲗ
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



## ᲕᲐᲘᲜᲨᲢᲐᲘᲜᲡ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ 140 ᲬᲚᲐᲛᲓᲔ ᲞᲐᲢᲘᲛᲠᲝᲑᲐ ᲛᲘᲣᲡᲐᲯᲝᲜ

**ᲰᲐᲠᲕᲘ ᲕᲐᲘᲜᲨᲢᲐᲘᲜᲡ ᲑᲠᲐᲚᲘ ᲒᲐᲣᲞᲐᲢᲘᲣᲠᲔᲑᲘᲡ ᲔᲥᲕᲡᲘ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲔᲞᲘᲖᲝᲓᲘᲗ ᲓᲐᲣᲛᲫᲘᲛᲓᲐ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲪ 2004-ᲓᲐᲜ 2010 ᲬᲚᲐᲛᲓᲔ ᲒᲐᲜᲐᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲐ. იგი შეიძლება 140 წლით ჩააყუდონ. სასაცილოა და წარმოუდგენელი, მაგრამ კანონით არის ნაკარნახევი.**

ვაინშტაინის მიერ ძალადობის გამო ასზე მეტმა ქალმა იჩივლა. მათ შორის მსახიობებმა: **ᲣᲛᲐ ᲗᲣᲠᲛᲐᲜᲛᲐ, ᲐᲜᲯᲔᲚᲘᲜᲐ ᲯᲝᲚᲘᲛ, ᲒᲕᲘᲜᲔᲢ ᲞᲔᲚᲢᲠᲝᲣᲛ** და სხვებმა, რომლებმაც ასეთი ძალადობით გაიკვალეს გზა ვარსკვლავური მომავლისკენ. ესეც უნდა ითქვას.

## 19 ᲬᲚᲘᲡ ᲡᲢᲣᲓᲔᲜᲢᲘ ᲒᲝᲒᲝᲜᲐ ᲒᲐᲐᲣᲞᲐᲢᲘᲣᲠᲔᲡ ᲓᲐ ᲪᲝᲪᲮᲚᲐᲓ ᲓᲐᲬᲕᲔᲡ



**თენიაში, ალჟირში, მხეცურად მოკლეს სტუდენტი გოგონა ჩაიმა სადუ. იგი მოიტაცა, გააუპატიურა და ცოცხლად დაწვა ნაცნობმა მამაკაცმა სახელად რაიანმა. ნიშანდობლივია, რომ ეს მანიაკი ერთხელ უკვე იყო ნასამართლევი ამ გოგონაზე თავდასხმის გამო.**

Daily Star წერს, რომ დამწვარი სხეულის ნარჩენები იპოვეს 2 ოქტომბერს მიტოვებულ ბენზინგასამართ სადგურზე ალჟირის დედაქალაქიდან ორმოც კილომეტრში. მოძალადემ გოგონა სიცოცხლეს გამოასალმა წინა გაუპატიურებიდან ოთხი წლის შემდეგ, ანუ 2016 წელს, როცა იგი სამი წლით ციხეში ჩასვეს. დაღუპულის დედას მიაჩნია, რომ ახალი დანაშაულით მოძალადემ შური იძია ციხეში გატარებული წლების გამო. უბედური ქალი მოითხოვს, რომ ამჯერად მანიაკს სასიკვდილო განაჩენი გამოუტანონ.

დამნაშავე ჩაბარდა ადგილობრივ ხელისუფლებას და აღიარა მკვლელობა. ამ საზარელმა ფაქტმა აღაშფოთა ალჟირისა და საფრანგეთის საზოგადოებრიობა.

ამას წინათ ინდოეთში გავრცელდა ინფორმაცია, რომ გარდაიცვალა ექვსი წლის გოგონა, რომელიც უცნობებმა გაიტაცეს და გააუპატიურეს.



## ᲨᲕᲔᲓᲔᲗᲨᲘ ᲛᲘᲒᲠᲐᲜᲢᲡ 9 ᲬᲚᲘᲡ ᲒᲝᲒᲝᲜᲐᲡ ᲒᲐᲣᲞᲐᲢᲘᲣᲠᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ 11 ᲬᲔᲚᲘ ᲛᲘᲣᲡᲐᲯᲔᲡ

**მიგრანტი მამაკაცი სომალიდან არის. იგი ცნეს დამნაშავედ დამამძიმებელ პირობებში. დანაშაული ჰუმანური მოსაზრებით შეკედლებულმა ლტოლვილმა სტოკჰოლმიდან 170 კილომეტრით დაშორებულ ნორჩეპინგში ჩაიდინა, — იუწყება გაზეთი Fria Tider.**

15 აპრილს გოგონა შინ ბრუნდებოდა მას შემდეგ, რაც სკოლაში შემთხვევით თითი იტკინა. გზად 39 წლის სომალელ ახმედს გადაეყარა. ამ გარყვნილმა ტყეში შეათრია და გააუპატიურა. თან დააშინა, ხმა არ ამოიღო, თორემ ოჯახს ამოგიწყვიტავო.

შვედეთის მოქალაქეობა სომალელმა 2014 წელს მიიღო. ამიერიდან კი 11 წელიწადს ციხეში გაატარებს, — იუწყება Nyhe Idag.

მამაკაცი ნასამართლევია 12 წლის გოგონას გაუპატიურებისთვის.

# ᲜᲔᲝᲚᲘᲑᲔᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲖᲜᲔᲝᲑᲐ

## ᲐᲠᲐᲡᲠᲣᲚᲬᲚᲝᲕᲐᲜᲔᲑᲛᲐ 5 ᲬᲚᲘᲡ ᲑᲘᲭᲘ ᲒᲐᲐᲣᲞᲐᲢᲘᲣᲠᲔᲡ



**ხუთი წლის ბიჭი ნაპრანუმის აბორიგენების თემიდან, რომელიც ავსტრალიის ჩრდილო-დასავლეთის სანაპიროზე სახლობს, 10-13 წლის ოთხმა ბავშვმა პლაჟზე შეიტყუა და გააუპატიურა.**

ბიჭი ისე ცუდად შეიქნა, რომ ექიმების სასწრაფო დახმარება დასჭირდა. ნიშანდობლივია, რომ ეს არასრულწლოვანთა მიერ უმცროს ბავშვებზე სექსუალური ძალადობის გამონაკლისი შემთხვევა არ არის, — ხაზგასმით აღნიშნავს The Daily Mail.

მასმედიის მონაცემებით, ინციდენტი 2020 წლის 1 ივლისს მოხდა. ნაპრანუმის თემი შეძრა 5 წლის ბიჭზე არასრუწლოვანების კოლექტიურმა თავდასხმამ. ყმაწვილები დააპატიმრეს.

მედია იუწყება, რომ თავდასხმა ისე დაუნდობელი იყო, რომ აუცილებელი შეიქნა მსხვერპლის დაუყოვნებლივ გადაყვანა კერნსის საავადმყოფოში, რომელიც სანაპიროდან 800 კილომეტრით არის დაშორებული.

ეს სექსუალური დანაშაული დაემთხვა 14 წლის წინანდელ საზარელ ფაქტს, როცა 13-დან 25 წლამდე 9 მამაკაცმა 10 წლის გოგონა კოლექტიურად გააუპატიურა მეზობელ ორუკუნის თემში, რომელიც ნაპრადუმიდან სამხრეთით 40 კილომეტრით არის განლაგებული და ავსტრალიის ულარიბეს, დანაშაულის ჩადენისა და უმუშევრობის მაღალი დონით გამოირჩევა.

ასეთი ინციდენტი რუსეთშიც ხდება. მაგალითად, შარშან, ზაფხულში კალუგის მხარეში 14 წლის ყმაწვილმა 6 წლის ბიჭი გააუპატიურა.

საგამოძიებო კომიტეტის მონაცემებით, მოძალადე არასრუწლოვანი რამდენიმე წელიწადს კოლონიაში გაატარებს.

ბავშვთა კლინიკური ფსიქოლოგიის სპეციალისტმა ასეთი შემთხვევები ორი მიზეზით ახსნა: პირველი. მშობლების მხრიდან სუსტი კონტროლი, რომელიც აუცილებელია წინაპუბერტატულ პერიოდში შესვლის გამო, როცა ამოქმედებას იწყებს ჰორმონები.

მეორე მიზეზი შეიძლება იყოს ფსიქოლოგიური ტრავმა — სექსუალური ძალადობა ან მშობლების მიერ აგრესიული და მკაცრი მოპყრობა. თავისი ქცევით ბავშვი ცდილობს, გამოხატოს, რომ ძლიერია.

სექსუალური ძალადობა ყმაწვილურ პერიოდში ხორციელდება არა სურვილის მისაღწევად და საკუთარი სიამოვნებისთვის, არამედ სუსტზე დომინირების მიზნითა და მსხვერპლზე კონტროლის დასამყარებლად. ამ შემთხვევაში მთავარ როლს თამაშობს სოციალური პრობლემები, კონფლიქტების დაძლევისა და თანატოლებთან ურთიერთობის დამყარების უუნარობა.

## ᲜᲝᲠᲕᲔᲒᲘᲔᲚᲛᲐ ᲞᲔᲓᲝᲤᲘᲚᲛᲐ 270 ᲛᲡᲮᲕᲔᲠᲞᲚᲘ ᲒᲐᲐᲣᲞᲐᲢᲘᲣᲠᲐ



**27 წლის ნორვეგიელს 16 წლით ციხეში ყოფნა მიესაჯა სექსუალური ძალადობის ბრალდებით, მათ შორის არასრულწლოვანი ბიჭების გაუპატიურებისთვის.**

ბრალდების მხარე აცხადებს, რომ ეს არის ნორვეგიაში ყველაზე მრავალრიცხოვანი შემთხვევა.

რამდენიმე წლის განმავლობაში ფეხბურთის ყოფილი მსაჯი ინტერნეტში თავს ქალიშვილად წარმოადგენდა — სანდრად და ძალადობდა 460 ბიჭზე სექსუალური ვიდეოჩანაწერების მისაღებად, მაგრამ გაუპატიურება მათგან 270 მსხვერპლს შეეხო, — იუწყება the local.no. სასჯელი უმკაცრესია, რომელიც კი ოდესმე გამოუტანიათ ამ სკანდინავიურ ქვეყანაში.

პედოფილი დააპატიმრეს 2016 წლის ივნისში, მაგრამ შემდეგ გაათავისუფლეს, რამაც დანაშაულებრივი „საქმიანობის" გაგრძელების საშუალება მისცა, იმავე წელს მეორე დაპატიმრებამდე.

სასჯელის მოხდის გარდა, იგი იძულებული იქნება, თავის მსხვერპლთ 18,6 მილიონი ნორვეგიული კრონა გადაუხადოს, რაც 1,9 მილიონი დოლარის ეკვივალენტია.

## ᲑᲠᲐᲖᲘᲚᲘᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘᲡ ᲗᲐᲜᲐᲛᲔᲑᲠᲫᲝᲚᲡ ᲓᲣᲜᲓᲣᲚᲔᲑᲨᲘ ᲑᲐᲜᲙᲜᲝᲢᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲙᲕᲠᲐ ᲣᲞᲝᲕᲔᲡ

**პოლიციის მიერ ჩატარებული ოპერაციისას, რომელიც მიმართული იყო იმ ადამიანების წინააღმდეგ, რომლებმაც უკანონოდ მიითვისეს კორონავირუსთან საბრძოლველად გამოყოფილი თანხები, ბრაზილიის პრეზიდენტ ჟაირ ბოლსონარუს თანამებრძოლს, ჩიკო როდრიგესს, უპოვეს ბანკნოტების შეკვრა, რომელიც დუნდულებში ჰქონდა დამალული.**

როგორც „გარდიანი" წერს, ბრაზილიელებმა ეს ამბავი გაავრცელეს ჰეშტეგით „ქრთამი უკანალში". ბოლსონარუსს, რომელიც ცდილობდა, თავი წარმოეჩინა კორუფციასთან ჯვაროსნული ლაშქრობის მონაწილედ, რეპუტაცია კიდევ ერთხელ შეუბღალეს, როცა მის თანამებრძოლს დუნდულებში ფულის შეკვრა უპოვეს.

**ᲩᲘᲙᲝ ᲠᲝᲓᲠᲘᲒᲔᲡᲘ** — სენატში პრეზიდენტის წარმომადგენლის მოადგილე, პოლიციელებმა მისი სახლის ჩხრეკისას დამალული ბანკნოტებით დააკავეს. ბრაზილიური პრესის მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, სენატორმა რორაიამას შტატიდან, ჩიკო როდრიგესმა, ტრუსში 30 ათასი რეალი დამალა.




**russian.rt.com-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა**
**ᲜᲘᲙᲐ ᲙᲝᲠᲘᲜᲗᲔᲚᲛᲐ**

მსოფლიო

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„ამერიკის ელჩი მოლდოვაში — დერეკ ჰოგანი ერევა მოლდოვის საშინაო საქმეებში. დაუფარავად ხვდება მინისტრებს. მას აქვს თავისი პირდაპირი ფუნქციები ქვეყანაში, სადაც მუშაობს, და ამით უნდა იყოს დაკავებული. სხვა ელჩები მორიდებულად იქცევიან და არანაირ მითითებებს არ გვაძლევენ“.

# ბელარუსი, ყირგიზეთი, მოლდოვა... რას უპირებს ძია სემი საქართველოს?

## აშშ ძველი მეთოდებით განაგრძობს არასასურველი პოლიტიკოსებისა და რეჟიმების დამხობას — «აშშ-ის ელჩი დაუფარავად ერევა მოლდოვის საშინაო საქმეებში»



დერეკ ჰოგანი



ბორის შაპოვალოვი

**მოლდოველმა ისტორიკოსმა და პოლიტოლოგმა ბორის შაპოვალოვმა კომენტარი გააკეთა რუსეთის საგარეო დაზვერვის დირექტორ სერგეი ნარიშკინის განცხადებაზე, რომელმაც აშშ მოლდოვაში „ფერადი რევოლუციის“ მზადებაში დაადანაშაულა.**

მოლდოველი პოლიტოლოგი დაეთანხმა რუსეთის საგარეო დაზვერვის შეფის მოსაზრებას და აღნიშნა, რომ, თუ ისეთი რანგის ადამიანი, როგორიც რფ-ის საგარეო დაზვერვის ხელმძღვანელია, აკეთებს განცხადებას, რომ ამერიკელები რევოლუციურ სცენარს მოლდოვისთვისაც ამზადებენ (ბელარუსისა და ყირგიზეთის შემდეგ), სადაც ნოემბერში საპრეზიდენტო არჩევნები უნდა გაიმართოს, ეს ნიშნავს, რომ მას ამისთვის სერიოზული საფუძველი აქვს.

პოლიტოლოგის თქმით, ამერიკის ელჩი მოლდოვაში — **დერეკ ჰოგანი** ერევა მოლდოვის საშინაო საქმეებში. „ის დაუფარავად ხვდება მინისტრებს. მას აქვს თავისი პირდაპირი ფუნქციები ქვეყანაში, სადაც მუშაობს, და ამით უნდა იყოს დაკავებული. სხვა ელჩები მორიდებულად იქცევიან და არანაირ მითითებებს არ გვაძლევენ“, — განაცხადა შაპოვალოვმა.

სერგეი ნარიშკინის განცხადებით, მისმა უწყებამ მოიპოვა ინფორმაცია, რომ აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტმა, როდესაც მოქმედი პრეზიდენტის, **იგორ დოდანის,** გამარჯვების შანსი შეაფასა მომავალ საპრეზიდენტო არჩევნებში (არჩევნები გაიმართება 1 ნოემბერს), თავის საელჩოს კიშინიოვში დაავალა, რომ **„ოპოზიცია განეწყო მასობრივი საპროტესტო აქციების მოსაწყობად არჩევნების შედეგების ანულირების მოთხოვნით, თუ იგორ დოდანს კვლავ აირჩევდნენ“.**

რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრ **სერგეი ლავროვის განცხადებით კი,** უკვე ყველასთვის ცხადია, რომ აშშ ცდილობს, სხვებს ასწავლოს და ამას ზოგჯერ „მაიდნის“ დახმარებით აკეთებს.

როგორც ჩანს, **აშშ ტრადიციებს არ ღალატობს და სხვა ქვეყნების საშინაო საქმეებში უხეშად ერევა — ელჩებისა და უცხოეთიდან დაფინანსებული მეხუთე კოლონის (არასამთავრობო ორგანიზაციების) მეშვეობით მისთვის არასასურველი სახელმწიფო მეთაურების მოშორებას და მათ ადგილზე მორჩილი პირების დასმას ცდილობს.** ასე დაამხეს 2003 წელს საქართველოში ე.წ. ვარდების რევოლუციით **შევარდნაძის** ხელისუფლება და მოიყვანეს **მიხეილ სააკაშვილი,** შემდეგ უკრაინაში **იანუკოვიჩი** შეცვალეს **პოროშენკოთი.** ამჟამად საპროტესტო აქციები მიმდინარეობს ბელარუსში, ხოლო მზადდება მოლდოვასა და... კვლავ საქართველოში.

**eadayli.com-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა**

**ნიკა კორინთელმა**



# პუტინი: «თქვენს დაკრძალვაზე, ვეცდებით, არ გავცივდეთ!»

**რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა 22 ოქტომბერს სადისკუსიო კლუბ „ვალდაიში“ სიტყვით გამოსვლისას მკაცრად უპასუხა რუსეთის არაკეთილმოსურნეებს, რომლებიც რუსეთის „ჩაქრობას“ ელოდებიან.**

პუტინმა რუსეთის არაკეთილმოსურნეებს უპასუხა ფრაზით: „თქვენს დაკრძალვაზე, ვეცდებით, არ გავცივდეთ!“.

**„ჩვენი ქვეყნის განმტკიცებისას, როცა ხედავ, რა ხდება მსოფლიოში, სხვა ქვეყნებში, მინდა, ვუთხრა მათ, ვინც კიდევ ელოდება რუსეთის ნელ-ნელა ჩაქრობას: ასეთ შემთხვევაში ჩვენ გვაშფოთებს მხოლოდ ერთი რამ — თქვენს დაკრძალვაზე, ვეცდებით, არ გავცივდეთ!“** — განაცხადა პუტინმა სამ ზესახელმწიფოზე: სსრკ-ზე, აშშ-სა და დიდ ბრიტანეთზე საუბრისას, რომლებმაც შექმნეს ომისშემდგომი მსოფლიო წესრიგი. პრეზიდენტის თქმით, „ზოგიერთი დღეს რუსეთის ჩამოწერას ცდილობს“.

ამასთანავე, პუტინმა დასძინა, რომ რუსეთი ადეკვატურად აფასებს თავის ინტელექტუალურ, სამხედრო, ტერიტორიულ და ეკონომიკურ შესაძლებლობებს და მზად არის, „ტექტონიკური ძვრებისთვის მსოფლიოში“.

**torwar.ru-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა**

**ნიკა კორინთელმა**

# ლიბიის გაპარტახება — ევროპული დემოკრატიის მაგალითი

**2011 წლის 20 ოქტომბერს ნატოს მიერ მხარდაჭერილმა „ბოევიკებმა“ სიცოცხლეს გამოასალმეს ლიბიის ლიდერი მუამარ კადაფი. მისი სიკვდილის შემდეგ ქვეყანა, ფაქტობრივად, რამდენიმე ტერიტორიად დაიშალა, რომლებსაც სხვადასხვა დაჯგუფება აკონტროლებს. ნავთობით მდიდარი რეგიონი ექსტრემისტების ხელში აღმოჩნდა. მოსახლეობა სიღარიბის ზღვარზეა. პოლიტოლოგების აზრით, ლიბიამ, როგორც ერთიანმა ქვეყანამ, არსებობა, პრაქტიკულად, შეწყვიტა.**

ავტოკოლონა, რომლის ერთ-ერთი ავტომობილით კადაფი ქალაქიდან გაღწევას ცდილობდა, დაბომბა ნატოს ავიაციამ, რომელიც ლიბიაში სამხედრო ოპერაციას 2011 წლის მარტიდან აწარმოებდა. დაბომბვის შედეგად ლიბიის ლიდერი ორივე ფეხში და თავში დაიჭრა. დაჭრილი კადაფი სადრენაჟო ნაგებობაში დაიმალა, მაგრამ დასავლეთის მიერ მართულმა ამბოხებულებმა ტყვედ აიყვანეს და მხეცურად მოკლეს კაცი, რომელიც 42 წლის განმავლობაში მართავდა ლიბიას.

კადაფიმ დაამხო მონარქია და ქვეყანაში დაამყარა ახალი პოლიტიკური რეჟიმი — ჯამაჰირია, რომელიც განსხვავდებოდა მონარქიისგანაც და რესპუბლიკისგანაც.

**ნავთობის მოპოვებით მიღებულ შემოსავალს კადაფის მთავრობა მოსახლეობის სოციალური მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად მიმართავდა. ქვეყანაში ხორციელდებოდა საცხოვრებელი სახლების მშენებლობის მასშტაბური პროგრამები, ვითარდებოდა ჯანდაცვისა და განათლების სისტემები. ხელისუფლების სათავეში მოსვლის შემდეგ კადაფიმ ლიბიიდან გააძევა საერთაშორისო კორპორაციები და დახურა ნატოს ბაზები.**

**კადაფის მმართველობის პერიოდში ლიბიაში**

*** მშპ მოსახლეობის ერთ სულზე შეადგენდა 14192 დოლარს;**

*** ოჯახის თითოეულ წევრს სახელმწიფო აძლევდა 1000 დოლარს;**

*** უმუშევრობის დახმარება შეადგენდა 730 დოლარს;**

*** მედდის ხელფასი იყო 1000 დოლარი;**

*** ახალდაქორწინებულებს აძლევდნენ 64 ათას დოლარს ბინის შესაძენად;**

*** ბიზნესის დამწყებს სახელმწიფო ეხმარებოდა 20 ათასი დოლარით;**

*** განათლება და ჯანდაცვის სერვისები უფასო იყო;**

*** მრავალშვილიანი ოჯახებისთვის ფუნქციობდა მაღაზიათა ქსელი, რომელშიც კვების პროდუქტებზე ფასები სიმბოლური იყო;**



*** აფთიაქების ნაწილიდან წამლები უფასოდ გაიცემოდა;**

*** არ არსებობდა ელექტროენერგიისა და ბინის გადასახადები;**

*** აკრძალული იყო ალკოჰოლური სასმელები;**

*** ავტომობილისა და ბინის შესაძენად გაიცემოდა უპროცენტო კრედიტები;**

*** ბენზინი წყალზე იაფი ღირდა: 1 ლ — 0,14 დოლარი.**

აი ეს ქვეყანა გაასწორეს მიწასთან დასავლელმა დემოკრატებმა. აი ასე ეხმარებიან ისინი სხვა ქვეყნებს.

**news-front.info-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა**

**ნიკა კორინთელმა**



ლიბია კადაფის მმართველობის დროს



ლიბია «ამერიკული დემოკრატიის» დროს

სპორტი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

Formula 1

**ფორმულა-1“-ის ისტორიაში ყველაზე ტიტულოვანი პილოტია 7-გზის ჩემპიონი მიხაელ შუმახერი, მაგრამ მან ბოლო გამარჯვება 16 წლის წინათ მოიპოვა და, სამწუხაროდ, ახალი გამარჯვებები აღარ ექნება.**

# «ფორმულა-1»: ჰემილტონი გამარჯვებების რაოდენობით შუმახერს გაუთანაბრდა. არის თუ არა ის საუკეთესო ისტორიაში?

**„მერსედესის“ გუნდის პილოტმა, ბრიტანელმა ლუის ჰემილტონმა „ფორმულა-1“-ის რბოლებში 92-ე გამარჯვება მოიპოვა აიფელის გრან-პრიზე ნიურნბურგრინის ტრასაზე. ამით ის ამ ჩემპიონატში მოგებული ტურნირების რაოდენობით გაუტოლდა ლეგენდარულ მიხაელ შუმახერს. ნიშნავს თუ არა ეს, რომ ჰემილტონი ახლა ისტორიაში საუკეთესო პილოტია — ჰემილტონი განაგრძობს ასპარეზობას, შუმახერმა კი კარიერა 2013 წელს დაასრულა, თანაც მძიმედ დაშავდა სამთო-სათხილამურო კურორტზე მთიდან თხილამურებით დაშვებისას.**





ლუის ჰემილტონი გამარჯვებას ზეიმობს

**ჰემილტონი სტარტზე მეორე იყო, რადგან წინა პიტ-სტოპი ბოტასმა მოიგო და ის დიდი ხნის განმავლობაში ლიდერობდა რბოლაში, მაგრამ მე-13 წრეზე ცუდად მოუხვია და ჰემილტონმა გადაასწრო. ამის შემდეგ რბოლის ბოლომდე ჰემილტონს ლიდერობა ხელიდან არ გაუშვია. უფრო მეტიც, მას ახლა აქვს შანსი, მეშვიდედ მოიპოვოს მსოფლიო ჩემპიონობა და დაეწიოს შუმახერს ჩემპიონის ტიტულების რაოდენობით**

ნიურბურგრინგის ტრასაზე ბრიტანელმა ბოლო წრეებზე რამდენიმე რეკორდი დაამყარა, მაგრამ ბოლო წრეზე უკეთესი დრო „რედბულის“ წევრმა, **მაქს ფერსტაპენმა,** აჩვენა, მაგრამ მეორე ადგილი დაიკავა. ფინიშზე მესამე იყო „რენოს“ პილოტი **დენიელ რიკარდო.** რბოლის დასაწყისში ყველა ელოდა, რომ პირველობისთვის ბრძოლა წარიმართებოდა ჰამილტონსა და მის პარტნიორ **ვალტერი ბოტასს** შორის.

ჰემილტონი სტარტზე მეორე იყო, რადგან წინა პიტ-სტოპი ბოტასმა მოიგო, და ის დიდი ხნის განმავლობაში ლიდერობდა რბოლაში, მაგრამ მე-13 წრეზე ცუდად მოუხვია და ჰემილტონმა გადაასწრო. ამის შემდეგ რბოლის ბოლომდე ჰემილტონს ლიდერობა ხელიდან არ გაუშვია. უფრო მეტიც, მას ახლა აქვს შანსი, მეშვიდედ მოიპოვოს მსოფლიო ჩემპიონობა და დაეწიოს **შუმახერს** ჩემპიონის ტიტულების რაოდენობით. მან უნდა იასპარეზოს 6 რბოლაში, რომლებიც „ფორმულა-1“-ის ახალ ტრასაზე გაიმართება პორტიმაოში (პორტუგალია). ტრასამ მოწონება დაიმსახურა, და, სინოპტიკოსების ცნობით, ამინდიც კარგი უნდა იყოს, ნიურბურგრინგისგან განსხვავებით.

### განსაკუთრებული პრიზი

ეს პრიზია მიხაელ შუმახერის ვაჟის, **მიკის,** მიერ ნაჩუქარი მამის ძველი ჩაფხუტი, რომელიც პილოტს 2012 წელს ეხურა, როცა „მერსედესის“ გუნდის ღირსებას იცავდა. **„არც კი ვიცი, რა ვთქვა,** — აღიარა ჰემილტონმა, — **ის ხომ ყოველთვის ჩემი კერპი იყო, მე აღმაფრთოვანებდა, რასაც ის აკეთებდა, როგორც პილოტი. და, იმის გათვალისწინებით, რა ხანგრძლივად იყო საუკეთესო, ვერასდროს წარმოვიდგენდი, რომ ვინმე, მით უმეტეს მე, შუმახერის რეკორდს ოდესმე მიუახლოვდებოდა... ეს, რა თქმა უნდა, უდიდესი პატივია ჩემთვის, მაგრამ მე ვერასდროს შევძლებდი ასეთი წარმატების მოპოვებას ჩემი ბრწყინვალე გუნდის გარეშე“,** — უთხრა ბრიტანელმა პილოტმა მიკს, **— მადლობა შენ და ნება მომეცი, უღრმესი პატივისცემა დაგიდასტურო მიხაელის მიმართ“.**



ჰემილტონმა ამ სეზონში 11 რბოლიდან 7 მოიგო



ჰემილტონი მიხაელ შუმახერის ჩაფხუტით



მსოფლიოს 7-გზის ჩემპიონი მიხაელ შუმახერი ტიტულების მხრივ ჯერჯერობით ჩემპიონია, მაგრამ დიდხანს გაგრძელდება მისი ჩემპიონობა?

### ვინ არის ყველა დროის საუკეთესო პილოტი?

ამის გარკვევა თითქოს ადვილია — დაითვალე გრან-პრის რბოლებში მოპოვებული გამარჯვებები და შეადგინე სია, მაგრამ პილოტებს ბევრი პარამეტრით აფასებენ. ეს პარამეტრები დროთა განმავლობაში იცვლება, როგორც იცვლება რბოლის წესები და ბოლიდები.

ამასთანავე, ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ პილოტებს ერთნაირი დრო არ ჰქონიათ წარმატების მისაღწევად. და ვინ იცის, რა წარმატებას მიაღწევდა **აირტონ სენა** და თვითონ **მიხაელ შუმახერი** (თუმცა მას სპორტიდან წასვლაზე უკვე ნათქვამი ჰქონდა), ტრაგიკული ავარია და მთიდან თხილამურებით დაშვებისას უბედური შემთხვევა რომ არ მომხდარიყო. ამასთანავე, არის კიდევ ქარიზმა, სტილი და ბევრი სხვა რამ, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, ვიდრე მოპოვებული პოზიცია და დაგროვებული ქულები.

**და მაინც, შევეცადოთ, შევადგინოთ ყველაზე-ყველაზე პილოტების სია, რომელშიც შეგეძლებათ, თქვენი თვალსაზრისით შეუცვალოთ ადგილები პილოტებს.**

* „ფორმულა-1“-ის ისტორიაში ყველაზე ტიტულოვანი პილოტია 7-გზის ჩემპიონი **მიხაელ შუმახერი,** მაგრამ მან ბოლო გამარჯვება 16 წლის წინათ მოიპოვა და, სამწუხაროდ, ახალი გამარჯვებები აღარ ექნება.

* **ლუის ჰემილტონი** — მსოფლიოს 6-გზის ჩემპიონი, რომელიც, დიდი ალბათობით, დაეწევა შუმახერს.

* არგენტინელი **ხუან მანუელ ფანხიო** — 5-გზის მსოფლიო ჩემპიონი. ბოლო გამარჯვება 1957 წელს მოიპოვა, სამაგიეროდ, მისმა რეკორდმა ტიტულების რაოდენობის მიხედვით 45 წელს გაძლო.

* მეოთხე და მეხუთე ადგილები შეიძლება გაიყონ ფრანგმა **ალენ პროსტმა** და გერმანელმა **სებასტიან ფეტელმა.** ორივე 4-ჯერ იყო მსოფლიო ჩემპიონი. ამასთანავე, სებასტიან ფეტელმა ოთხივე ტიტული ზედიზედ მოიგო.

* ბრაზილიელი **აირტონ სენა** 3-ჯერ იყო მსოფლიო ჩემპიონი, მაგრამ ვინ იცის, რამდენ ტიტულს მოიპოვებდა, 1994 წელს ავტოავარიაში რომ არ დაღუპულიყო. სამხრეთ ამერიკელებისთვის სენა, რა თქმა უნდა, ყოველთვის პირველი იქნება.

* სია შეიძლება დავასრულოთ (თუმცა კიდევ ბევრია შესანიშნავი პილოტი) ავსტრიელი **იოჰან რინდტით,** რომელსაც მსოფლიო ჩემპიონობა სიკვდილის შემდეგ მიანიჭეს. ეს მოხდა 1970 წელს, როცა ის იტალიის გრან-პრიზე ასპარეზობისას დაიღუპა, მაგრამ მანამდე დაგროვებული ქულები ეყო ჩემპიონის ტიტულის მოსაპოვებლად.

მოამზადა
**ნიკა კორინთელმა**



# ამერიკელთა მესამედი ავტორიტარიზმზე ოცნებობს

**გავლენიანმა ამერიკულმა გამოცემა Foreign Policy-მ გამოაქვეყნა ჩიკაგოსა და პენსილვანიის უნივერსიტეტების პროფესორების — მაიკლ ალბერტუსისა და გაი გროსმანის სტატია. მათ ჩაატარეს კვლევები, რომელთა შედეგებმაც უსიამოვნოდ განაცვიფრეს მეცნიერები. გაირკვა, რომ აშშ-ში მოიმატა განწყობამ ქვეყანაში ავტორიტარიზმის დამყარების სასარგებლოდ.**

„გამოკითხულთა 31 პროცენტი მისაღებად მიიჩნევს ქვეყნის სათავეში ძლიერ ლიდერს, რომელსაც არ დასჭირდება კონგრესისთვის ანგარიშის გაწევა და ხელახლა არჩევაზე ფიქრი“, — განაცხადეს ალბერტუსმა და გროსმანმა. სხვა სიტყვებით, ასე ფიქრობს ამერიკელთა მესამედი. და, თუ ისინი ფაქტის წინაშე დადგებიან, შეიძლება ავტორიტარიზმის მომხრეებმა მოსახლეობის ნახევარიც კი შეადგინონ.

ასეთი ტენდენციაა არა მხოლოდ აშშ-ში, არამედ მსოფლიოში.

ფორმალურად დემოკრატიული სახელმწიფო აშშ ეწევა ექსპანსიურ პოლიტიკას, აჩაღებს ომებს და აწყობს „ფერად რევოლუციებს“. მას ოდნავ აკავებს საკუთარი რიტორიკა ადამიანის უფლებებსა და დემოკრატიაზე, „მსოფლიო ლიდერის“ იმიჯის შენარჩუნება და, თუკი ვაშინგტონმა შეწყვიტა ამ ნორმებისა და წესების დაცვა თვით ამერიკაში, მაშინ წარმოიდგინეთ, რა შეიძლება გააკეთოს საზღვრებს გარეთ.

**Riafan.ru-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა**
**ლუკა მაისურაძემ**

# საქართველოში შემოსული ფულადი გზავნილების მიხედვით კვლავ რუსეთი ლიდერობს

**საქართველოს ეროვნული ბანკის ინფორმაციით, 2020 წლის სექტემბერში ქვეყანაში შემოსული ფულადი გზავნილების ნაკადების მოცულობამ 192.7 მლნ აშშ დოლარი (611.4 მლნ ლარი) შეადგინა, რაც 28,7 პროცენტით, ანუ 43.0 მლნ აშშ დოლარით მეტია 2019 წლის სექტემბრის ანალოგიურ მაჩვენებელზე.**

ცენტრალური ბანკის ცნობით, უცხოეთიდან საქართველოში ფულადი გზავნილების 94,7 პროცენტი იმ 19 უმსხვილეს ქვეყანაზე მოდის, რომლებიდანაც ასეთი გზავნილების მოცულობამ სექტემბერში 1 მლნ აშშ დოლარს გადააჭარბა. იმავე 19 ქვეყანაზე შარშან სექტემბერში მთელი ფულადი გზავნილების 946 პროცენტი მოდიოდა.

**გზავნილების მოცულობიის მიხედვით კვლავ რუსეთი ლიდერობს. მიმდინარე წლის სექტემბერში ყველაზე მეტი ფულადი გზავნილი — 35.13**



**მლნ დოლარი — საქართველოში სწორედ რუსეთიდან შემოვიდა; მეორე ადგილზე 29.21 მლნ დოლარით იტალიაა; შემდეგ მოდის აშშ 22.65 მლნ დოლარით; მეოთხე ადგილზე 21.45 მლნ აშშ დოლარით საბერძნეთია; ხოლო მეხუთეზე — ისრაელი 13.98 მლნ აშშ დოლარით.**

ამასთანავე, ეროვნული ბანკის ინფორმაციით, 2020 წლის სექტემბერში საქართველოდან საზღვარგარეთ 25.1 მლნ დოლარი (79.5 მლნ ლარი) გაიგზავნა, რაც 2019 წლის სექტემბრის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით 22,4 პროცენტით მეტია.

# გერმანიის საიდუმლო მზადება ბირთვული ომისთვის

## ჟურნალისტებმა საერთაშორისო საიდუმლო სწავლება «მდგრადი შუადღის» შესახებ შეიტყვეს

**ჟურნალ Bild-ის ჟურნალისტების ინფორმაციის თანახმად, გერმანიის სამხედრო-საჰაერო ძალებმა ნატოელ პარტნიორებთან ერთად ჩაატარეს სწავლება „მდგრადი შუადღე“. სწავლება ითვალისწინებდა სხვადასხვა ქმედებას ბირთვული ომის შემთხვევაში.**

გამოცემა იუწყება, რომ სწავლება ჩატარდა ჩრდილოეთ რეინ-ვესტფალიაში განლაგებულ საავიაციო ბაზა ნერფენიხში. ამ ადგილებში ინახება ამერიკული წარმოების B61 ტიპის წყალბადის ბომბი. ამას გარდა, ბიუხელეში ჩატარდა მანევრები „მედეგი გვარდია“, რომლის ფარგლებშიც სწავლობდნენ ავიაბაზის დაცვას თავდასხმის შემთხვევაში.

Bild-ში გამოქვეყნებული სტატიის ავტორები აღნიშნავენ, რომ ნატო სერიოზულად არის შეშფოთებული ატომური ომის საფრთხით, რომელმაც მკვეთრად მოიმატა მას შემდეგ, რაც აშშ-მა დატოვა საშუალო და მცირე სიშორის მოქმედების რაკეტების ლიკვიდაციის შეთანხმება.

**ria.ru-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა**
**გიორგი გაჩეჩილაძემ**



# საჩუქარი ქართველი მკითხველისთვის

## — ჰეგელის «ლექციები რელიგიის ფილოსოფიაზე»

**გერმანულიდან ქართულად ითარგმნა, დაისტამბა და უკვე იყიდება უდიდესი გერმანელი ფილოსოფოსის — გეორგ ვილჰელმ ფრიდრიხ ჰეგელის „ლექციები რელიგიის ფილოსოფიაზე“. ეს საჩუქარი ქართველ მკითხველს რელიგიის დაუღალავმა მკვლევარმა, გერმანული ენიდან არაერთი ფილოსოფიური ნაშრომის მთარგმნელმა ვიქტორ რცხილაძემ და გამომცემლობა Carpe Diem-მა (დირექტორი ალექსანდრე ალადაშვილი) გერმანული „გოეთეს ინსტიტუტის“ დახმარებით გაუკეთეს.**

ლექციების ავტორი, დიდი გერმანელი მოაზროვნე ჰეგელი რელიგიის ფილოსოფიას ასე მოიხსენიებს: „უმაღლესი ფილოსოფია, რელიგიის ფილოსოფია“.

„ლექციების“ მიზანია, გაარკვიოს რელიგიის ცნება და მისი განვითარების პროცესი — როგორ აღმოცენდება რელიგია, რა გზით აღწევს სუბსტანციური სული ხალხის ცნობიერებას. ჰეგელის მიზანია, აჩვენოს, რომ, თუმცა არსებობს რწმენის სხვადასხვა ფორმები, რელიგიის უმაღლესი ფორმა არის ქრისტიანობა. ესაა აბსოლუტური რელიგია, რომელშიც რელიგიის ცნება სრულყოფილადაა წარმოდგენილი, ანუ ღმერთი აღარაა რაღაც მიღმური, უცნობი, ის ეცხადება ცნობიერებას, ის თვითცნობიერებაა, რომელსაც საგნად თავისი თავი აქვს.

**„სამეცნიერო წიგნი არ ექვემდებარება ვულგარიზაციას; არ შეიძლება, მისი კითხვა შევამსუბუქოთ თანმიმდევრული და დეტალური კომენტარების მეშვეობით, არ შეიძლება მისი ტექსტის თარგმნა უფრო „ნათელ“ და ლაკონურ ენაზე“.**




ჰეგელის ნაშრომს ახლავს მთარგმნელის წინასიტყვაობა, რომელშიც განხილულია ჰეგელის ფილოსოფიის არაერთი საინტერესო საკითხი. საკუთრივ თარგმანი **ვიქტორ რცხილაძეს** შესრულებული აქვს ზედმიწევნით, ავტორის ურთულესი ენისა და სტილის მკაცრი დაცვით. ამასთანავე, მთარგმნელს მოხმობილი აქვს მე-20 საუკუნის ფრანგი ჰეგელიანელის — **ერიკ ვეილის** ციტატა: **„სამეცნიერო წიგნი არ ექვემდებარება ვულგარიზაციას; არ შეიძლება, მისი კითხვა შევამსუბუქოთ თანმიმდევრული და დეტალური კომენტარების მეშვეობით, არ შეიძლება მისი ტექსტის თარგმნა უფრო „ნათელ“ და ლაკონურ ენაზე“.**

**წიგნი იყიდება თბილისში, მაღაზია „ლატერნაში“ (ცოტნე დადიანის № 7, სავაჭრო ცენტრი „ქარვასლა“, მე-2 სართული) და რუსთაველის №N16-ში.**

თუ გსურთ, გაზეთი „საქართველო და მსოფლიო“ მიიღოთ სახლიდან გაუსვლელად და ისარგებლოთ უფასო საკურიერო მომსახურებით, შეგიძლიათ დაუკავშირდეთ შემდეგ კომპანიებს:
„ელვა.ჯი“ — ტელ: 2 38 26 73; 2 38 26 74
„მაცნე“ — ტელ: 599 982 773; 2 14 74 22

www.geworld.ge
ესტუმრეთ ჩვენს საიტს
პოლიტიკა ეკონომიკა საზოგადოება ადამიანის უფლებები ისტორია

სარედაქციო კოლეგია
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
ავტორებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე. რედაქციის პოზიცია შეიძლება არ ემთხვეოდეს ავტორთა მოსაზრებებს.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 234-32-95; e-mail: geworld@inbox.ru

ISSN 2233-3894